

მოლაპარაკებების ახალი (ბოლო) შანსი
A3



"დედოფშინის" ქართული ვარიანტი
A4



SILENT HILL - ფილმი
A5

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი    შაბათი, 3 ივნისი, 2006 წელი. №121 (1273)    ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## ამბები

### ორი ცოლის ერთი ქმრის აღსარება

ხულოელმა ადემ ცეცხლაძემ მეორე ცოლი შვილის გაჩენისათვის შეირთო. იგი 20 წელზე მეტია, ორ ცოლთან ერთად ცხოვრობს და, როგორც თავად აცხადებს, საკმაოდ მშვიდი ოჯახი აქვს.

A2

## ამბები

### ოპოზიციამ თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე კონსულტაციები დაიწყო

საპარლამენტო ოპოზიციაში მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე შესათანხმებლად კონსულტაციები მიმდინარეობს.

A2

## რევიუ

### აფხაზეთში შეხვედრამდე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ რამდენიმე თვის წინ გამოცხადებული მუსიკალური კონკურსის "ჩემი აფხაზეთი" გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალმა მოკრძალებულად და ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩაიარა.

A2

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 3/06 | 4/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 32 |
| ტყიბული | 32 | 32 |
| სოხუმი | 35 | 36 |
| დმანისი | 28 | 28 |
| გორი | 30 | 30 |
| ონი | 25 | 25 |
| ზუგდიდი | 39 | 40 |
| ახმეტა | 32 | 31 |
| გაგრა | 32 | 33 |
| სამტრედია | 37 | 37 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7980 |
| ევრო | 2.3027 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3511 |
| რუბლი | 0.0669 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| ტენდერი | A 8 |

# რუსეთმა "ერთა თვითგამორკვევის" პრინციპი აღმოაჩინა

### საქართველოზე შეტევა გრძელდება

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთის რიტორიკა საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით რადიკალურად შეიცვალა - დღეს ოფიციალური მოსკოვი პრიორიტეტად "ერთა თვითგამორკვევის" პრინციპს ასახელებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღიარებაზე უარს ამბობს. ეს მხოლოდ შანტაჟია თუ ნიადაგის მომზადება საქართველოს ტერიტორიის ანექსიის გასაფორმებლად?*

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გუშინ დაადასტურა, რომ საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის, კამინინის განცხადება (**"ერთა თვითგამორკვევის უფლება ტერიტორიულ მთლიანობაზე ნაკლებად პატივსაცემი პრინციპი არ არის"**) შემთხვევითი არ ყოფილა. ლავროვმა საქართველოს მოუწოდა, სამხრეთ ოსეთის "თვითგამორკვევის უფლება" აღიაროს. **"თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ნაწილია და ეს უფლება ხალხის ნების გამოხატვით ხორციელდება, -**

გაგრძელება A3 გვერდზე

# "სასწაულების დავიჭერე"

### "ცენტრ პოინტი ჯგუფმა" ახალგაზრდა მომღერალს ბინა აჩუქა




## დღეს "24 საათში"

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №7
3-4 ივნისი, 2006



მახლას! 7

გულახდილად
საბედისწერო შეცდომებს არ იმეორებენ


4

ბუზღუნა
უშველეთ სასწრაფოს!


6

შვიდნახადი
თეთრი აჩრდილი 6

დროთა კავშირი
ანბანი და პოლიტიკა 10

საკითხავი

## "ბარბაროსები" ღვინის ქვეყანაში



# სეპარატიზმის მხარდაჭერის ფასი

### რუსეთი არ აპირებს ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პოზიციების დათმობას

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის გუშინდელი განცხადების თანახმად, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ულტიმატუმისა, რუსეთი არ იჩქარებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიიდან სამხედრო ძალების გაყვანას.

ქართული მხარის მოთხოვნით, გუშინ საღამოს ექვს საათამდე ცხინვალის რეგიონი 500 რუს სამხედრო მოსამსახურეს უნდა დაეტოვებინა, ხოლო აფხაზეთი ათას სამხედროს.

**"რუსი სამხედროები სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო მისიას ბოლომდე შეასრულებენ, ანუ იმ დრომდე, ვიდრე პოლიტიკური შეთანხმება არ მიიღწევა,"** - განმარტა ივანოვმა და ამასთან არ გამორიცხა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების პროვოცირებას შეეცდება.

ორი დღით ადრე ბაქოში ვიზიტით მყოფმა იგივე ივანოვმა იმავე შინაარსის განცხადება დნესტრისპირეთთან მიმართებაში გააკეთა. **"რუსეთის სამხედრო მონაწილეობა დნესტრისპირეთში გაგრძელდება კონფლიქტის პოლიტიკურად დარეგულირებამდე,"** - განაცხადა რუსული თავდაცვის უწყების შეფმა.

არადა დნესტრისპირეთის მიწის რუსული სამხედრო ჩექმისგან გასაწმენდად ევროპა მზადაა 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. როგორც ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა კიშინიოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რუსული სამხედროების სამშობლოში გასაცილებლად საჭირო თანხა ეუთო-ს ბიუჯეტში მოიძებნება. **"დნესტრისპირეთიდან რუსი სამხედროების გასვლას სამი თვე უნდა, ეს საკმაოდ ადვილად შესასრულებელი პროცედურაა,"** - მიიჩნევს დე გუხტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტში საარჩევნო საკითხებს "არჩევენ"

*"საარჩევნო კანონმდებლობა ის თემაა, რომელიც პარლამენტის ნებისმიერ დარბაზს შეავსებს," - ამტკიცებს დეპუტატი ლევან ბეჟაშვილი. გუშინ მისი სიტყვების სიმართლეში ყველა დარწმუნდა, ვინც საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე გამართულ საკომიტეტო მოსმენას დაესწრო. აუდიტორია იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ დაგვიანებული დეპუტატებისთვის დასაჯდომი ადგილი ვერ მოიძებნა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე კი იძულებული გახდა, ოპოზიციონერ დეპუტატთა შორის მოკალათებულიყო. ამის შემხედვარე პარლამენტარებს, ვიდრე სიტუაციაში გაერკვეოდნენ, თავი სიზმარში ეგონათ.*

გიორგი ასანიშვილი

ორი კომიტეტის (იურიდიულ საკითხთა და რეგიონული პოლიტიკის) გაერთიანებული სხდომა ხალხმრავალი რომ იყო, სულაც არ არის გასაკვირი: მის მუშაობაში, დეპუტატების გარდა, ცესკო-ს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. განხილვა საკმაოდ ემოციურ ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა, მთლიანობაში, კორექტულად წარიმართა. უმრავლესობამ და ოპოზიციამ ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება მოახერხა, ზოგიერთი სადავო მუხლის გარშემო კი კონსულტაციები ახლო მომავალში გაიმართება. თუმცა, ოპოზიცია მაინც უკმაყოფილო დარჩა - კანონპროექტის ინიციატორმა პალიკო კუბლაშვილმა პოლიტიკური ოპონენტების რამდენიმე შეთავაზების გაზიარებაზე უარი თქვა.

კანონპროექტის მიხედვით, ამომრჩევლის პირადობის მოწმობის ნომერი უკვე აღარ წარმოადგენს საარჩევნო სიაში სავალდებულო წესით შესატან მონაცემს. **"მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი არ არის მოქალაქის იდენტიფიკაციის საშუალება. პირადობის მოწმობის გამოცვლის შემთხვევაში, მისი ნომერი შეიძლება შეიცვალოს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# მკვლელობა კოჯრის ტყეში

*თბილისის შს მთავარი სამმართველოს მკვლელობების განყოფილებამ ორი წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიება დაასრულა და ის თბილისის პროკურატურამ სასამართლოს გადაუგზავნა.*

2004 წლის ნოემბერის ბოლოს სამართალდამცველებმა კოჯრის ხევში ორი ცხედარი იპოვეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იყვნენ თბილისელი თეიმურაზ ბეჟუაშვილი და რუსუდან ფირცხალავა. იქვე ტყეში იყო ავტომობილი "ფოლკსვაგენიც", რომელიც ბეჟუაშვილს ეკუთვნოდა. რამდენიმედღიანი ოპერატიული მუშობის შემდეგ სამართალდამცველებმა მკვლელობისთვის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ბრიგადის უმცროსი სერჟანტი ნიაზ ჩხვიმიანი და ამავე ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის დაცვის ასეულის რიგითი ალეკო ზაკუტოვი დააკავეს. ჩხვიმიანმა დაპატიმრებისთანავე დუმილის უფლება აირჩია, ზაკუტოვმა კი დანაშაული აღიარა და ეს ჩვენებაშიც დააფიქსირა.

ზაკუტოვის ჩვენებით, მკვლელობას, რომელიც 2004 წლის 15 ნოემბერს მოხდა, სხვა დანაშაული უძღოდა. ასეულის რიგითის თქმით, დანაშაულის წინა დღეს მასთან ნიაზ ჩხვიმიანი მივიდა და 500 დოლარის შოვნაში დახმარება სთხოვა. სერჟანტს ვალი ჰქონდა სასწრაფოდ დასაბრუნებელი და თანხის საშოვნელად კოჯორში, კახა ბობოხიძის აგარაკის გაქურდვა ჰქონდა განზრახული.

ზაკუტოვი და ჩხვიმიანი შეათანხმდნენ და ბინის გასაქურდად მიმავალმა ჩხვიმიანმა თან ბრიგადის ტერიტორიაზე დამალული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და "რგდ"-ს ტიპის ხელყუმბარაც წაიღო.

როგორც ბრალდებული იხსენებს, სახლში შესვლისთანავე სიგნალიზაციის სისტემა ჩაირთო, თუმცა იგი კედლიდან ჩამოაგდეს და ბინის ქურდობა გააგრძელეს. როგორც გაირკვა სიგნალიზაციის ჩართვის შეტყობინება შევიდა დაცვის სამსახურის "ბიზნეს დაცვის" სამორიგეო ნაწილში, რომლის თანამშრომლები იაკონ ნათელაშვილი და ირაკლი გუგუნავა დაცვის ობიექტზე გავიდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოპოზიციამ თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე კონსულტაციები დაიწყო

საპარლამენტო ოპოზიციაში მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე შესათანხმებლად კონსულტაციები მიმდინარეობს.

ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობის მომავალი არჩევნები მაჟორიტარული პრინციპით ჩატარდება, რომლის შემდეგადაც, თბილისის მერს დედაქალაქის საკრებულო აირჩევს.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ასახელებენ იმ კანდიდატურებს, რომელთაგან ერთ-ერთს მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნებისთვის მთელი ოპოზიცია მხარს დაუჭერს.

კერძოდ თბილისის მერობის სავარაუდო კანდიდატები არიან: კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე კობა დავითაშვილი, რომელიც ერთიან კანდიდატად დასახელების შემთხვევაში თბილისის მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარულ ოლქში თბილისის ამჟამინდელ მერს გიგი უგულავას დაუპირისპირდება; ასევე "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი გოგი თოფაძე და პარტია "ახალი მემარჯვენეების" ხელმძღვანელი დავით გამყრელიძე.

კონსულტაციები, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება. აღსანიშნავია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციიდან კონსულტაციებში პარტია "თავისუფლება" მონაწილეობს. ასევე წინასწარი ინფორმაციით, გაერთიანებულ ოპოზიციას საკუთარ კანდიდატურას რესპუბლიკური პარტიაც შესთავაზებს. ეს ან დავით უსუფაშვილი ანდა თინათინ ხიდაშელი იქნება.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები "გაუგებარს" უწოდებენ პარტია "საქართველოს გზის" ლიდერის სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მან უარი თქვა წამყვან ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებზე და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს.

პარალელურად საპარლამენტო ოპოზიცია აქტიურად განიხილავს ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას არჩევნების ბოიკოტირების შესახებ.

*მედიანიუსი*

# ნატოს შტაბ-ბინაში 12 ივნისს საქართველოს დღე გაიმართება

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში 12 ივნისს, პირველად ისტორიაში, საქართველოს დღე გაიმართება.

ბრიუსელში, ალიანსის შტაბ-ბინაში, საქართველოს შესახებ ფოტო-გამოფენა გაიხსნება, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდება. გარდა ამისა, ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, დაგეგმილია წიგნებისა და სუვენირების წარმოდგენა. შესაძლოა, გაიმართოს ქართული ღვინის დეგუსტაციაც.

ღონისძიების ორგანიზატორი კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროა.

როგორც "ინტერპრესნიუსისათვის" საქართველოს მთავრობის აპარატში გახდა ცნობილი, ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩასატარებლად, სარეზერვო ფონდიდან 83 000 ლარი გამოიყო.

*ინტერპრესნიუსი*

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს, ხოლო სტუმარია იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი.*

**ირაკლი იმნაიშვილი:** თქვენს მიერ დღეს გაკეთდა განცხადება. გვითხარით ამ განცხადების შინაარსი.

**ირინა სარიშვილი:** მიზეზი არის ის არაჯანსაღი აჟიოტაჟი, რაც ხელისუფლებამ, ოპოზიციის გარკვეულ ნაწილთან ერთად, ფონდის გარშემო შექმნა. გუშინ ყველაფერმა პიკს მიაღწია. გუშინ ბატონი კირკიტაძისგან მივიღე წერილი, რომ თურმე მე ვალდებული ვყოფილვარ, 10 დღის ვადაში კირკიტაძეს ჩავაბარო ანგარიში ფონდის მუშაობისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ტელევიზიის საშუალებით შევახსენე კირკიტაძეს, რომ ის ამ საქმეებთან საერთოდ არაფერ შუაშია და ამის გარკვევა შესაბამისი სტრუქტურების პრეროგატივაა. რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, ფონდი რეგისტრირებული არსად არ არის. იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაციის გასავლელად რამდენჯერმე, მივმართეთ, მაგრამ საბუთები, სხვადასხვა მიზეზებით, უკან დაგვიბრუნეს. რაც მთავარია, შინაურულად მირჩიეს, იქნებ ფონდს სხვა სახელი დაარქვა, რომ რეგისტრაციაში გავატაროთო.

**ი.ი.** აქვს თუ არა ფონდს საბანკო ანგარიში?

**ი.ს.** არც საბანკო ანგარიში გვაქვს. ანგარიში როგორ გვექნება, როდესაც ფონდი რეგისტრირებული არ არის. ამდენად, ჩვენ ვართ კერძო პირები, რომლებთანაც სახელმწიფოს ვერანაირი შეხება ვერ ექნება, ვიდრე კონკრეტული ადამიანი კრიმინალს არ ჩაიდენს.

**ი.ი.** ჩვენ გვაქვს საქმე ფონდთან, რომელიც რეალურად არ არსებობს.

**ი.ს.** როდესაც რეგისტრაციაზე უარი მითხრეს, მაშინვე გავაკეთე განცხადება, რომ თუ სახელმწიფოს აინტერესებს, რა საქმიანობას ეწევა ფონდი, უნდა გაატაროს რეგისტრაციაში. თუ არადა, ფონდის მუშაობას ეს ხელს არ შეუშლის. რა თქმა უნდა, მსხვილმასშტაბიან პროექტებს თუ არ ვიგულისხმებთ.

**ი.ი.** რადიო "უცნობის" მსმენელებს აინტერესებთ, რა საქმიანობას ეწევა ფონდი?

**ი.ს**. აბსოლუტურად ყველა ჟურნალისტს დაურიგდა იმ ღონისძიებების კონკრეტული ჩამონათვალი, რაც ფონდმა გაატარა. ეს გახლავთ საქველმოქმედო კონცერტები, ყოველთვიური დახმარებები აფხაზეთიდან ლტოლვილი 80 ოჯახისთვის, ბავშვთა სახლებისთვის, პენსიონერებისთვის, ხან ერთჯერადი, ხანაც მრავალჯერადი დახმარებები.

**ი.ი.** მთლიანობაში რა თანხაა დახარჯული?

**ი.ს.** თანხის რაოდენობას არ დავასახელებ, ამის უფლება მაქვს. მე შემიძლია, წარმოგიდგინოთ იმ ოჯახების სია, ვისაც ჩვენ ვეხმარებით.

**ი.ი.** თითო ოჯახი რა რაოდენობის დახმარებას იღებს?

**ი.ს.** 50 ლარიდან ზევით, გააჩნია ოჯახს. ერთი შემთხვევა გვაქვს, ინვალიდი ბავშვის ოჯახს პენსიის სახით დავუნიშნეთ 500 ლარი.

**ი.ი.** საიდან მოდის ეს ფული?

**ი.ს.** ქართველი ბიზნესმენებისგან, საქართველოში მყოფი ქართველი ბიზნესმენებისგან.

**ი.ი.** ბედავენ და რიცხავენ?

**ი.ს.** ბედავენ, რადგან ისინი მე ძალიან კარგად მიცნობენ და იციან, რომ თუ პირობას დავდებ, მათი სურვილის შემთხვევაში, მათ სახელს და გვარს არ დავასახელებ. მაგრამ აქ ვაწყდებით კურიოზს - ყველა ბიზნესმენს, თუ ის რაიმე ქველმოქმედებას ეწევა, ხელს უნდა აძლევდეს, რომ მისი სახელი ხმამაღლა ითქვას. ამ ქვეყანაში იმდენად ანარქიული გარემოა შექმნილი და განუკითხავი სიტუაციაა, რომ ბიზნესმენი თვითრეკლამაზეც კი უარს ამბობს.

**ი.ი.** თუ ბიზნესმენები თქვენ გენდობიან, რატომ ჰქვია ფონდს იგორ გიორგაძის და არა ირინა სარიშვილის სახელი. ისინი იგორ გიორგაძესაც ენდობიან?

**ი.ს.** რა თქმა უნდა. ამ ფონდის სახელწოდებიდან გამომდინარე, თუ ისინი ჩვენ კონკრეტული ღონისძიებების ჩასატარებლად გვაძლევენ თანხებს, ბუნებრივია, პირველ რიგში ენდობიან იგორ გიორგაძეს. მე მენდობიან ადამიანურად.

აქ ლაპარაკია იმაზე, თუ ვის უკან რა ძალა შეიძლება იდგეს. ადამიანი, რომელიც არ იზიარებს იგორ გიორგაძის შეხედულებებს, მის ფონდს ფულს არ მისცემს.

**ი.ი.** თუ ადამიანი გრძნობს, რომ იგორ გიორგაძე შესაძლოა მოვიდეს, ის გადაიხდის თანხას და მერე იტყვის, მეც ხომ თქვენთან ვიყავიო.

**ი.ს.** ამას რა მნიშვნელობა აქვს?

**ი.ი.** აქვს მნიშვნელობა.

**ი.ს.** ჩვენი ბიზნესმენები თითქმის ყოველთვის პოლიტიკური სპექტრის ყველა ნაწილს აფინანსებდნენ. სხვათა შორის, არც მხარდამჭერთა რაოდენობა გაზრდილა იმის ხარჯზე, რომ ამდენ ადამიანს ერთად, უცებ შეუყვარდა იგორ გიორგაძე. გაიზარდა იმის ხარჯზე, რომ გამოჩნდა ამ ხელისუფლების შეცვლის რეალური საშუალება და არა ლამაზად მოლაპარაკე ხალხის, რომელიც რეალურად არანაირი ნაბიჯის გადადგმას არ აპირებს.

# პარლამენტში საარჩევნო საკითხებს "არჩევენ"

პირველი გვერდიდან

**ამიტომ, საარჩევნო სიაში ამ მონაცემის დაფიქსირება აუცილებლობას მოკლებულია. შესაბამისად, პირადობის მოწმობის ნომრის ნაცვლად, სიებში ჩაიწერება მოქალაქის პირადი ნომერი, რომელიც მუდმივია და პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა,"** - აცხადებს პალიკო კუბლაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი პირადობის მოწმობის ნომრის "შენარჩუნების" მიზანშეწონილობაზე დაჟინებით საუბრობდა, კანონპროექტის ინიციატორმა მათი თვალსაზრისი არ გაიზიარა.

სამაგიეროდ, უმრავლესობა დაეთანხმა ოპოზიციის მოთხოვნას - გაუქმდეს ე.წ "წარგზავნილის" ინსტიტუტი. იგი გულისხმობს საუბნო კომისიის წევრის ფუნქციების გადაცემას ზემდგომი ორგანოს - საოლქო საარჩევნო კომისიის - წარმომადგენლისთვის, რომელიც არჩევნების დღეს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება იქნეს მივლენილი საუბნო კომისიაში.

**"სწორედ ასეთ წარგზავნილებს მიჰყავთ არჩევნები საუბნო კომისიებში,"** - ამტკიცებს არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი თამარ ჟვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ "წარგზავნილის ინსტიტუტის" მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებაა გამოხატული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების შეფასებებშიც. ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უკან დაიხია და შესაბამისი მუხლი საარჩევნო კოდექსიდან ამოიღო.

სამაგიეროდ, კვლავ დავის საგნად რჩება მარკირების საკითხი. მამუკა კაციტაძე, ოპოზიციური პარტიების სახელით, მარკირების გაუქმებას ითხოვს. არასამთავრობო ორგანიზაციების შეხედულებები კი ორად იყოფა: ნაწილი ეთანხმება ოპოზიციის მოთხოვნას, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მარკირების გაუქმება მხოლოდ მაშინ იქნება მიზანშეწონილი, როდესაც საარჩევნო სიები რეალურს მიუახლოვდება.



"გარჩევა" იურიდიული კომიტეტის სხდომაზე.

თუმცა, გუშინ ყველაზე მწვავე კამათი საარჩევნო კოდექსის იმ მუხლის გარშემო გაიმართა, რომელიც მთავრობის წევრებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს. ოპოზიცია შიშობს, რომ ამ შემთხვევაში მოხდება საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა. თავისი ვარაუდის საილუსტრაციოდ, კახა კუკავას ასეთი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ, წინასაარჩევნო პერიოდში კახა ლომაია ქუთაისში ჩავიდა და პედაგოგებს შეხვდა. განათლების სფეროსთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შემდეგ, მინისტრმა პოლიტიკური აგიტაცია დაიწყო, რის უფლებასაც მას საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები მისცემს.

**"გამოდის, რომ ლომაიას მგზავრობის, დარბაზის დაქირავების და სხვა ხარჯები, რომელიც მმართველი პარტიისთვის ხოტბის შესხმას მოხმარდება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს? რაში გჭირდებათ ამის შემოღება?"** - კითხულობს კახა კუკავა. იგი ხელისუფლებო გუნდს იმასაც შეახსენებს, რომ, თავის დროზე, "ნაციონალებმა" მკაცრად გააკრიტიკეს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ვერტმფრენით ჩაფრინდა კოდორის ხეობაში.

თავის მხრივ, უმრავლესობა აცხადებს, რომ მინისტრებისთვის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების მიცემა მხოლოდ არსებული რეალობის დაკანონებაა და მეტი არაფერი. ამასთან, ისინი ირწმუნებიან, რომ საარჩევნო კანონმდებლობა სახელმწიფო ბიუჯეტში ხელის ფათურის საშუალებას არავის მისცემს...

სადავო და დასაზუსტებელი საკითხების ნუსხა იმდენად დიდია, რომ საარჩევნო კოდექსში მეორე მოსმენით შესატანი ცვლილებების პლენარულ სხდომაზე გატანის წინ მომავალ კვირაში კიდევ ერთი საკომიტეტო მოსმენა გაიმართება.

# ორი ცოლის ერთი ქმრის აღსარება

## "ოჯახური უღელი სამს უკეთ მიაქვს!"

*საქართველოში ორცოლიანობა კანონით აკრძალულია. ორცოლიანობას მართლმადიდებლური ეკლესიაც კრძალავს. მართალია, მუსლიმური სარწმუნოებით მრავალცოლიანობა დაშვებულია, მაგრამ ქრისტიანული ტრადიცია იმდენად მტკიცედ შემორჩა, რომ აჭარაში ასეთი შემთხვევა თითქმის არ გვხვდება. თუმცა გვხვდება გამონაკლისიც. ხულოელმა ადემ ცეცხლაძემ მეორე ცოლი შვილის გაჩენისათვის შეირთო. იგი 20 წელზე მეტია, ორ ცოლთან ერთად ცხოვრობს და, როგორც თავად აცხადებს, საკმაოდ მშვიდი ოჯახი აქვს.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

თავდაპირველად ცეცხლაძეების ოჯახი ჟურნალისტის სტუმრობამ ააფორიაქა. ქმარმა ცოლებს განუცხადა კიდეც, როგორც ჩანს, ერთი თქვენგანი უნდა დამატოვებინონო.

ნებისმიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მასპინძელი სიტყვა "კანონიერება"-ს ხშირად იშველიებდა: "მეორე ცოლი კანონის სრული დაცვით მოვიყვანე; ბავშვი კანონიერად ავიყვანე", და ა.შ. ოჯახის უფროსი, როცა დარწმუნდა, რომ ცოლს არავინ ართმევდა, გამხიარულდა. თავისი ცხოვრების დეტალებზე და მეორე ცოლის შერთვის მიზეზებზე გულწრფელად გვესაუბრა.

ადემ ცეცხლაძე სოფელ ოქრუაშვილებში ცხოვრობს. იგი უკვე 66 წლისაა და არც ღრმა სიბერისა ეშინია. ორი ცოლი, ანუ როგორც თავად ამბობს, "ორი ერთმანეთზე უერთგულესი მეგობარი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი" ჰყავს.

პირველი ცოლი, ნათელა ხმალაძე 20 წლის ასაკში შეირთო. "სიხარულით ცაში ვფრინავდი, ბევრი შვილი მინდოდა გამეჩინა," - გაგვანდო ადემ ცეცხლაძემ. მაშინ ერთ უღელში სამი ადამიანის შებმა ვერც კი წარმოედგინა.

დრო გავიდა, ცეცხლაძეების ოჯახს შვილი არ უჩნდებოდა. შედეგი არც მკურნალობამ გამოიღო. "...აჭარელი კაცი გვარის გამგრძელებლის გარეშე როგორ შეიძლება?" - ეს კითხვა ქმართან ერთად ცოლსაც გაუჩნდა და ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს: ოჯახში კიდევ ერთი ქალი უნდა შემოსულიყო.

სამანიშვილებისაგან განსხვავებით, ცეცხლაძეები განათხოვს, შვილებიან ქალს ეძებდნენ. პირველი ქორწინებიდან 21 წლის შემდეგ, 41 წლის ასაკში ადემ ცეცხლაძემ მეორე ცოლი - ფატი მელაძე შეირთო.

"არ ვიცი, მაშინ რას ვფიქრობდი, ცოლიან კაცს რომ მივყვებოდი... გავბედე და გავყევი. იმის შიში, რომ მეორე ცოლთან ურთიერთობას ვერ ავაწყობდი, არ მქონია. არც იმაზე მიფიქრია, რომელიმეს ეჭვიანობა არ დაგვეწყო. დღეს ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯით კმაყოფილი ვარ," - გვითხრა ფატიმ.

ოჯახის უღელს, უკვე 25 წელია, სამნი ეზიდებიან. "როგორ გგონიათ, ორი უკეთ გასწევს უღელს თუ სამი? არ შემომედავოთ, სამს უკეთ მიაქვს!" - აცხადებს ორი ცოლის ერთი ქმარი.

როგორც ადემ ცეცხლაძემ გვითხრა, მეორე ცოლის მოყვანის უფლება პირველ ცოლთან ოფიციალური განქორწინებით მოიპოვა. ნათელა ხმალაძე ცალკე კომლად ირიცხება, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზეა, "მისი მიტოვება არც მიფიქრია. ეს მე და ნათელამ ჩვენი მომავლისთვის გავაკეთეთ," - აგვიხსნა ადემმა.

არც სამუღელა ოჯახს გაუმართლა. "ვერც მეორე ცოლმა გამოჩეკა ბავშვები," - ამბობს ცეცხლაძე. მიუხედავად ამისა, თავისი ცოლებით ამაყობს: "კაცი ეზოში რომ ჩეიარს, ორი ცოლი თუ მყავს, ვერ მიხვდება. აუგი ერთმანეთის მიმართ არასოდეს დასცდენიათ." მასპინძელმა "საიდუმლოდ" გაგვანდო, რომ "ჩუმად, ერთი-ერთზე ჭამენ ერთმანეთს". ქალბატონები კი აცხადებენ: "ჩვენ ახლო მეგობრებივით ვართ".

ცეცხლაძეებმა შვილი აიყვანეს (ადემის ძმისშვილი). თამაზი უკვე 16 წლისაა. მამა და ორი დედა ახლა შვილის მომავალზე ზრუნავენ და ამბობენ, რომ ბედნიერი ოჯახი აქვთ.

# ისნის რაიონში "სახალხო ბანკის" ახალი სერვის-ცენტრი პენსიონერებმა გახსნეს

2 ივნისს ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე "სახალხო ბანკის" კიდევ ერთი ახალი სერვის-ცენტრი გაიხსნა. სერვის-ცენტრის გახსნა "სახალხო ბანკის" ხელმძღვანელობამ პენსიონერებს მიანდო.



როგორც პენსიონერმა მარგო გაგილაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ახალი სერვის-ცენტრის ამოქმედება ბევრად გააადვილებს პენსიის მიღებას და საბოლოოდ აღმოფხვრის რიგების პრობლემას.

საქართველოში "სახალხო ბანკის" დღემდე მოქმედ 160 ფილიალს 25 ივნისამდე დედაქალაქის მასშტაბით დამატებით კიდევ 12 ახალი ფილიალი და 24-საათიანი მომსახურების 10 მინი-ბანკი, ანუ საბანკო პავილიონი დაემატება.

საფილიალო ქსელის ასეთი სწრაფი ტემპებით ზრდა "სახალხო ბანკის" მომსახურების კიდევ უფრო დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება, რაც ბანკის მენეჯმენტის უმთავრესი სტრატეგიაა, ეს კი თავის მხრივ ბანკის სწრაფ განვითარებასა და წარმატებაზე მეტყველებს.

## მოკლედ

### რუსეთი გუდაუთაში საზენიტო-სარაკეტო სისტემის განლაგებას უარყოფს

რუსეთი უარყოფს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი თარგამაძის განცხადებას გუდაუთაში ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების საზენიტო-სარაკეტო სისტემის "ც-300"-ის არსებობის შესახებ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ნიკოლაი ბარანოვმა თარგამაძის ნათქვამს "გამაოგნებელი" უწოდა.

გუდაუთაში წინათ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 50-ე ბაზა იყო დისლოცირებული. რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის მიერ სტამბოლში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, მოსკოვმა აღნიშნული ბაზის გაყვანის ვალდებულება იკისრა. რუსული მხარის მტკიცებით, 2001 წელს სამხედრო ბაზამ არსებობა შეწყვიტა. ამჟამად ყოფილი სამხედრო ბაზის ობიექტების ნაწილს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული სამშვიდობოები იყენებენ. **მედიანიუსი**

### მოსწავლეთა უმრავლესობისთვის სასწავლო წელი დასრულდა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველი და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა უმრავლესობისთვის 2005-2006 სასწავლო წელი გუშინ დასრულდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველი კლასის მოსწავლეების ნაწილმა (მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეების ნაწილთან ერთად) სწავლა 11, ნაწილმა კი 25 მაისს დაასრულა. ეს ის სკოლებია, სადაც პროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაა დაგეგმილი. რაც შეეხება იმ სკოლებს, სადაც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირება მიმდინარეობს, პირველკლასელები სწავლას აქ პოლიტირების გეგმის შესაბამისად დაასრულებენ. **მედიანიუსი**

### პრეზენტაცია სოცდაზღვევის ფონდში

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გუშინ ახალი ვებგვერდის და პენსიონერთა მონაცემთა ბაზის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც პრეზენტაციაზე ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ განაცხადა, ვებგვერდზე www.susif.ge განთავსდება ყველა ის სიახლე, რაც პენსიების დანიშვნა-ცვლილებასთან იქნება დაკავშირებული. ვებგვერდზე განთავსებულ პენსიონერთა ერთიან ბაზაში, დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება მიიღოს ინფორმაცია ელექტროენერგიაზე შეღავათით მოსარგებლე არაპენსიონერ პირთა, საოჯახო-სოციალური დახმარების მიმღებთა და სხვა კატეგორიის მოქალაქეთა შეღავათების შესახებ. სოფრომაძის თქმით, "პროექტი 2005", რომლის ფარგლებშიც მონაცემთა ბაზა შეიქმნა, ასევე მოიცავს სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციას. გარდა ამისა, ვებგვერდზე აისახება ფონდის 72 ფილიალში პენსიონერთა ოდენობა და პენსიების გაცემასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია. ვებსაიტზე მიმდინარე რეფორმის და ავტომატიზირებული მართვის სისტემის დანერგვის თაობაზე ინსტრუქციები ფონდის ფილიალებსაც დაეგზავნათ. **ინტერპრესნიუსი**

### ჯანმრთელობისა და სოციალური ხარჯები

როგორც ფინანსთა მინისტრმა, ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, იანვარ-მაისს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულ სექტორს 285,2 მილიონი ლარი ერგო. აქედან საპენსიო უზრუნველყოფაზე- 174,2 მილიონი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე- 42,2 მილიონი ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციაზე- 1,4 მილიონი ლარი, ხოლო უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებაზე 1,7 მილიონი ლარი გაიხარჯა. 5,2 მილიონი ლარი ელექტროენერგიის მოხმარებაზე კომპენსაციებს, 20,2 მილიონი ლარი კი დევნილთა შემწეობებს მოხმარდა. ენერგეტიკის სფეროს ხუთი თვის განმავლობაში 128 მილიონი ლარი გამოეყო, აქედან ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფისა და ტარიფების შენარჩუნების ღონისძიებებს - 94,3 მილიონი ლარი, ხოლო სარეაბილიტაციო ღონისძიებებს- 22 მილიონი ლარი. 46,1 მილიონი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურისთვის დაიხარჯა, მათ შორის, გზების შეკეთებაზე- 21,9 მილიონი ლარი, ნატახტარი-აღაიანის გზის მონაკვეთის რეკონსტრუციაზე- 11,6 მილიონი ლარი, ხოლო სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოებზე- 4,4 მილიონი ლარი. სერიოზული თანხა, 106,6 მილიონი ლარი, განათლების სფეროსაც ერგო. მათ შორის ვაუჩერიზაციის პროგრამაზე 76 მილიონი ლარი, სასწავლო დაწესებულებათა რეაბილიტაციაზე 2,6 მილიონი ლარი, ხოლო მეცნიერების ხელშემწყობ პროგრამებზე 5,7 მილიონი ლარი გაიხარჯა. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# სეპარატიზმის მხარდაჭერის ფასი

პირველი გვერდიდან

რუსი ექსპერტები უკანასკნელ ხანებში თანხმდებიან იმაზე, რომ ადრე თუ გვიან რუსეთი იძულებული იქნება გადავიდეს თამაშის იმ წესებზე, რომლებიც კარგა ხანია მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში მოქმედებს. ამ წესების თანახმად, ეკონომიკური ზემოქმედება გაცილებით უფრო ეფექტური გახდა, ვიდრე ნებისმიერი სამხედრო ძალა, რომლის დემონსტრირებაც ასე უყვარს რუსეთს.

პოტენციალი რუსეთს, რასაკვირველია აქვს. თუმცა, მოსკოვი რომ მსოფლიოში აპრობირებული ამ ეკონომიკური თამაშისთვის ჯერ "პატარაა", ამას დნესტრისპირეთში უკანასკნელ ხანებში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს. ორიოდე თვის წინ უკრაინამ სოლიდარობა გამოუცხადა მოლდოვას და უარი თქვა საკუთარ ტერიტორიაზე დნესტრისპირეთის დე-ფაქტო რესპუბლიკიდან მომავალი იმ ტვირთების გატარებაზე, რომელთაც მოლდოვაში გაცემული საბუთები არ აღმოაჩნდებოდათ. ამ ფაქტს დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ ბლოკადა უწოდა და დახმარებისთვის რუსეთს მიმართა.

რუსეთი ტირასპოლს დაეხმარა, მაგრამ ძალიან ძუნწად. რუსული ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა - დნესტრისპირეთი ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. გაიმარჯვა კიშინიოვმა. დნესტრისპირელი მეწარმე, რომელსაც არც რუსული ფულის იმედი აქვს და პატრიოტიზმიც საკმაოდ ძვირი უჯდება, იძულებული გახდა მოლდავურ საბაჟოზე დარეგისტრირებულიყო და ბიზნესიც მოლდავური წესებით "ეკეთებინა".

მოსკოვს არც ეკონომიკური შესაძლებლობა და არც გამბედაობა არ ეყო, რომ მისი მფარველობის ქვეშ მყოფი დე-ფაქტო რესპუბლიკისთვის სათანადო დახმარება გაეწია. სათანადო დახმარება კი, სპეციალისტების აზრით, იქნებოდა ის, რომ რუსეთს ყოველ სამ თვეში ერთხელ ტირასპოლისთვის 200 მილიონი დოლარი გადაეხადა.

ძვირი სიამოვნებაა. ამბობენ, რომ კიდევ უფრო ძვირი დაუჯდება რუსეთს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკუთარ თავზე აღება. ამიტომ, ვიდრე რუსეთი ამ მეამბოხე რესპუბლიკების "შესაძენად" ფულს შეაგროვებს, რუსი ჯარისკაცი დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ლეგენდებს დაიცავს. ეს გაცილებით უფრო იაფი ჯდება.

# რუსეთმა "ერთა თვითგამორკვევის" პრინციპი აღმოაჩინა

პირველი გვერდიდან

განაცხადა ლავროვმა, - **რუსეთი ჩეჩნეთში რეფერენდუმს არ შეუშინდა და ეს რეფერენდუმი შედგა".**

რუსი დიპლომატების მიერ ჩამოყალიბებული ახალი კონცეფციის თანახმად, სამხრეთ ოსეთი არის არა საქართველოს ნაწილი, არამედ ტერიტორია, რომლის სტატუსი მოლაპარაკების გზით უნდა დადგინდეს. თანაც - მოლაპარაკებისა "ოთხმხრივი" შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატით, რომლის სამი მხარე, ამა თუ იმ ფორმით, რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს. ბოლო განცხადებები "თვითგამორკვევაზე" მიანიშნებს, თუ რა სტატუსის მიღწევას ელის რუსეთი ამ "მოლაპარაკებების" შედეგად.

**"მოსკოვის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია პოსტსაბჭოთა სივრცეზე რადიკალურად შეიცვალა. ახლა, დსთ-ს პროდასავლურ სეგმენტზე გავლენის შესანარჩუნებლად, რუსეთი მზადაა დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების აღიარებისათვის,"** - აღნიშნავს რუსული გაზეთი "კომერსანტი".

**"რუსეთმა არაღიარებული რესპუბლიკების მიმართ ახალ პოლიტიკაზე გადასვლა "დიდი რვიანის" სამიტის წინ გადაწყვიტა. ეს კი ნიშნავს, რომ კრემლს სურს, მისი დემონსტრაციული ჟესტები არა მხოლოდ თბილისსა და კიშინიოვში, არამედ მსოფლიოს წამყვან დედაქალაქებშიც შენიშნონ. ამით მოსკოვი ცდილობს, გააკეთოს განაცხადი თავის ექსკლუზიურ უფლებაზე პოსტსაბჭოთა სივრცეზე და იმ ფაქტზე, რომ ზესახელმწიფოს სტატუსის დასაბრუნებლად მზად არის მეზობელი პატარა სახელმწიფოების საზღვრებს გადახედოს,"** - წერს "კომერსანტი".

რუსული "ნეზავისიმაია გაზეტა", "ინფორმირებულ წყაროებზე" დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ რუსი დიპლომატების ბოლო განცხადებები **"არ ნიშნავს, თითქოს რუსეთი მზადაა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. ეს რთული და გრძელი პროცესია".** გაზეთის მიმომხილველის აზრით, ეს განცხადებები მხოლოდ რეაქციაა საქართველოს ქმედებებზე რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ.

ზოგიერთი მიმომხილველი იმასაც აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება რუსეთის მიერ არარეალურია. მოსკოვის ინტერესს წარმოადგენს ამ რეგიონებში მხოლოდ საკუთარი შეიარაღებული ძალების და კინფლიქტების დარეგულირების ექსკლუზიური უფლების შენარჩუნება.

**"რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკურ, სამხედრო და პროპაგანდისტულ ინტერვენციას ახორციელებს,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ.

მისი თქმით, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები არის **"ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტის მცდელობა, რომლის შესახებაც დიდი ხანია საუბრობენ რუსი დიპლომატები, ოსი სეპარატისტები და წერს რუსული პრესა."**

ხაინდრავას ინფორმაციით, ამ ეტაპზე ცხინვალის რეგიონში 1500 რუსი სამხედრო, უკანონო შეიარაღებული ფორმირების 6 ათასამდე წევრი და უამრავი სამხედრო ტექნიკა იმყოფება; მთელი რეგიონი კი სამხედრო ობიექტად არის გადაქცეული.

მისი აზრით, აუცილებელია ყველა შესაძლო ბერკეტის ამოქმედება, რათა ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების ესკალაცია შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

14 ივნისს ბრიუსელში დონორთა კონფერენცია ჩატარდება, რომელზეც ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხები განიხილება; **"ეს კი, ბუნებრივია, რუსი დიპლომატებისა და ოსი სეპარატისტების გეგმებში არ შედის, ამიტომ ისინი ყველანაირად ცდილობენ ამ კონფერენციის ჩაშლას, რადგან, როგორც კი ეს პროცესები საერთაშორისო მასშტაბებსა და ხასიათს მიიღებს, ყველა მათი გეგმა წარსულში დარჩება,"** - მიაჩნია სახელმწიფო მინისტრს.

**"დღეს ჩვენი მიზანია იმ ატმოსფეროს შექმნა, რომელიც რუსეთის უპრეცედენტო ზეწოლის დაძლევის შესაძლებლობას მოგვცემს. როგორც კი გვექნება ოსებთან და აფხაზებთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების საშუალება, ჩვენი მოლაპარაკებები, ურთიერთგაგებაზე დაყრდნობით, პრობლემების მოგვარების გზების პოვნის საშუალებას მოგვცემს,"** - განაცხადა გიორგი ხაინდრავამ.

საქართველოს პარლამენტში დასრულდა დადგენილების პროექტზე მუშაობა, რომლის მიხედვითაც, საკანონმდებლო ორგანო ცხინვალის რეგიონში შექმნილ მდგომარეობას შეფასებას აძლევს. დადგენილების პროექტი საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებში ერთობლივად მომზადდა.

პროექტის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანო შემაშფოთებელს უწოდებს ცხინვალის რეგიონში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ როტაციის წესის დარღვევის ფაქტს და აცხადებს, რომ მსგავსი ქმედება რეგიონში მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ჩაშლისაკენ და კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციის შეჩერებისკენაა მიმართული.



აშშ-სა და ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ელჩებთან შეხვედრის დროს.

დადგენილების პროექტში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებები ლახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავებისკენაა მიმართული.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათ დროულად მოახდინონ კონფლიქტის ზონის ინსპექტირება, რადგან დაგვიანება რეგიონში გაუთვალისწინებელი კონფლიქტის დაწყებას გამოიწვევს.

დადგენილების პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები გააგრძელებენ უკანონო ქმედებებს ცხინვალის რეგიონში, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო იძულებული იქნება მიმართოს მთავრობას, რათა მან ადეკვატური ზომები მიიღოს.

საქართველოს პარლამენტმა შესაძლოა ცხინვალის რეგიონში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებს სამშვიდობო მანდატი შეუწყვიტოს. როგორც გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, პარლამენტში უკვე მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო მომავალ კვირას განიხილავს.

ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსი სამშვიდობოები თავის მისიას სამხრეთ ოსეთში ბოლომდე შეასრულებენ. **"ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი სამშვიდობოები კონფლიქტის ერთ მხარეს ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი. ისინი თავის მანდატს ბოლომდე შეასრულებენ, ვიდრე არსებობს რაიმე პოლიტიკური შეთანხმება და მოლაპარაკება,"** - აღნიშნა ივანოვმა.

მისივე თქმით, სამშვიდობოები მანდატის ჩარჩოებს მკაცრად იცავენ. მინისტრს მიაჩნია, რომ რუსი სამშვიდობოების ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ყოფნა ერთადერთი შემაჩერებელი საშუალებაა, რომ "ცივი" კონფლიქტი "ცხელი" არ გახდეს.

**"სამხედრო მოსამსახურეები თავიანთ ვალს იხდიან. ნებისმიერ წუთს, შესაძლოა, ნებისმიერი რამ მოხდეს,"** - დასძინა სერგეი ივანოვმა.

გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი აშშ-სა და ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ელჩებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი ცხინვალის რეგიონში არსებული დაძაბული ვითარებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების უკანონო როტაციასთან დაკავშირებით დიპლომატიური კორპუსის ინფორმირება იყო.

**"ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია მივიღეთ. ქართული მხარე შეშფოთებულია რუსეთის მოქმედებით. ორივე სახელმწიფო მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა დასხდეს. აშშ მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას,"** - განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩის მოადგილემ მარკ პერიმ შეხვედრის შემდეგ.

**"ერთადერთი იარაღი ჩვენს ხელში ის არის, რომ ავუხსნათ საერთაშორისო საზოგადოებრიობას - თუ რუსეთი შეძლებს ასეთი უკანონო და ძალისმიერი მეთოდებით საქართველოს გატეხვას, მაშინ ეს პროცესი გაგრძელდება. მაშინ ეს იქნება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ევროპისა და მსოფლიოს პრობლემა,"** - აღნიშნა თავის მხრივ გიორგი ხაინდრავამ.

კონფლიქტის ზონიდან 500 რუსი სამშვიდობოს გასვლას, რითაც რუსული კონტინგენტის როტაცია უნდა დასრულდეს, საქართველოს ხელისუფლება გუშინ 18 საათისათვის ელოდა. თუმცა, როგორც გუშინ გვიან საღამოს "24 საათს" გიორგი ხაინდრავამ განუცხადა, მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ამ ნაწილებმა კონფლიქტის ზონა დღეს 12 საათამდე უნდა დატოვონ.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მოლაპარაკებების ახალი (ბოლო) შანსი

## "ექვსეული" ირანს კრიზისის მოგვარების ახალ გზას სთავაზობს



თუ ოფიციალური თეირანი 6 ქვეყნის შეთავაზებას მიიღებს, ირანის ბირთვული პრობლემა მოგვარებულად ჩაითვლება.

თეა მაისურაძე

ვენაში აშშ-მ და მსოფლიოს ხუთმა წამყვანმა სახელმწიფომ - დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჩინეთმა, რუსეთმა და გერმანიამ - ირანის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ექვსეული" ირანს ბირთვული პრობლემის მოსაგვარებლად ისეთ წინადადებას შესთავაზებს, რომელზეც ეს უკანასკნელი უარს არ იტყვის: **"ირანი იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ აცნობიერებს, რა არის მისთვის კარგი და რა არა,"** - ნათქვამია შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში.

თუ ოფიციალური თეირანი 6 ქვეყნის შეთავაზებას მიიღებს, მაშინ ირანის ბირთვული პრობლემა მოგვარებულად ჩაითვლება, ხოლო ამ უკანასკნელის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, თეირანი გაერო-ს უშიშროების საბჭოსაგან სანქციებს ვერ ასცდება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგარეტ ბეკეტი მიიჩნევს, რომ ირანს ორი გზა აქვს - ის ან მიიღებს ამ შეთავაზებას, ან მკაცრი სანქციების წინაშე აღმოჩნდება.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კიდევ ერთხელ აკეთებს გამაფრთხილებელ მიმართვას ირანის მისამართით და აღნიშნავს, რომ თუ ყოველივე ამის შემდეგ თეირანი ურანის გამდიდრებას გააგრძელებს, მხარეებს შორის კონფრონტაცია უკვე უშიშროების საბჭოს აქტიური მოქმედებით დასრულდება: **"თუ ირანი გააგრძელებს თავის ქმედებებს და მსოფლიოს ეტყვის, რომ მათი (მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, - რედ.) აზრი მისთვის გასათვალისწინებელი არ არის, მაშინ საერთაშორისო საზოგადოებაც უფრო კონკრეტულ და ადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს."**

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დირექტორი ჯონ ნეგროპონტე მიიჩნევს, რომ ოფიციალური თეირანის ბირთვული პროგრამა მეტად სახიფათოა საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რადგან ამ პროცესის არშეწყვეტის შემთხვევაში, აშშ-ს გათვლებით, დაახლოებით 2010-2015 წლებში ირანი, შესაძლოა, ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფო გახდეს.

ამ შემთხვევაში, ამერიკის სტრატეგიის მიზანია, ირანს მკაცრი სანქციების თავიდან აცილების კიდევ ერთი და, რაც მთავარია, ბოლო შანსი მისცეს. შესაბამისად, ასეთი ქმედებით, აშშ იტოვებს გასამართლებელ არგუმენტს, რომ მან ძალისხმევა არ დაიშურა, რათა ირანის ბირთვული კრიზისი დიპლომატიის გზით მოეგვარებინა.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა და ჩინეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში ირანის საკითხთან დაკავშირებით ვეტოს უფლება გამოიყენეს, აშშ მათთან მოლაპარაკებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ევროპის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა, რომლებიც გასულ წელს ირანთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. შეხვედრას ირანის სავაჭრო პარტნიორების, რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ: **"ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ ვენის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით,** - განაცხადა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ნიკოლას ბარნსმა, - **ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერების საკითხში წინგადადგმული ნაბიჯია."**

საყურადღებოა, რომ მოკლე მიმართვა, რომელიც 6 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა და ევროკავშირმა შეიმუშავა, არ მოიცავს ეკონომიკურ სანქციებს ირანის წინააღმდეგ. დიპლომატების აზრით, ირანი დაუყოვნებლივ განაცხადებდა უარს ნებისმიერ მოწვევაზე და მოლაპარაკებებზე, თუ მიმართვაში ზუსტად იქნებოდა განსაზღვრული სანქციები.

ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, საგარეო საქმეთა მინისტრების მიმართვა ირანისადმი, შესაძლოა, უშიშროების საბჭოს შემდგომი "დაუკონკრეტებელი ნაბიჯების" საფუძველი გახდეს, ვინაიდან ეს დოკუმენტი მეტად ზოგადი სახისაა და კონკრეტულ წინადადებებს არ მოიცავს, თუნდაც, შემდგომ დღეებში ირანისათვის შესათავაზებელი წინადადების დეტალებს.

დიპლომატთა განცხადებით, მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი ბირთვული ენერგიისა და სხვა ეკონომიკური სარგებლის მიღების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს: **"ჩვენ მზად ვართ, განვაახლოთ მოლაპარაკებები იმ შემთხვევაში, თუ ირანის მხრიდან ურანის გამდიდრების და სხვა მასთან დაკავშირებული პროცესების გაგრძელების საშიშროება აღარ წამოვა,"** - აცხადებს გაეროს ბირთვული მეთვალყურეობის სააგენტოს წარმომადგენელი.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი პოზიტიურად შეხვდა სწორხაზოვანი მოლაპარაკებების დაწყების იდეას, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამს აშშ-ს განცხადებებზე, რომელთა მიხედვითაც ოფიციალურმა თეირანმა ურანის გამდიდრება მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდა შეაჩეროს. შეგახსენებთ, რომ ოფიციალური თეირანის განცხადებით, ირანის ბირთვული სამუშაოები მშვიდობიანი მიზნებისთვის ხორციელდება და დიდი რაოდენობით ელექტროენერგიის გამომუშავებას ისახავს მიზნად: **"ირანი მიესალმება დიალოგს დასავლეთის მიერ შემოთავაზებული პირობების ჩარჩოებში, თუმცა ჩვენ ჩვენს უფლებებზე უარს არ ვიტყვით,"** - განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკიმ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი კვლავ ირანის დამცველის როლში გვევლინება, შესაბამისად, ოფიციალური მოსკოვი ირანის წინააღმდეგ ნებისმიერი გარემოების შემთხვევაში სანქციების მიღების თაობაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ვენის შეხვედრის დეტალებზე კომენტირებისას განაცხადა, რომ თუ ოფიციალური თეირანი "ექვსეულის" შეთავაზებას მიიღებს, მაშინ შეჩერდება გაეროს უშიშროების საბჭოს მუშაობა ირანის საკითხთან დაკავშირებით: **"თუმცა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ირანის საკითხთან დაკავშირებით არის შემუშავებული, კვლავ უშიშროების საბჭოს სამუშაო მაგიდაზე დარჩება. ამ უკანასკნელს უფლება აქვს, დაუბრუნდეს მის განხილვას, თუ ოფიციალური თეირანი შეთავაზებას არ მიიღებს."**

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ რეზოლუციის პროექტში სანქციების შესახებ არანაირი საუბარი არ არის. სერგეი ლავროვის განცხადებით, ვენის შეხვედრაზე დიპლომატები შეთანხმდნენ, რომ არც ერთ შემთხვევაში ირანის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული სამხედრო ძალა: **"შემიძლია ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ ვენის შეხვედრაზე წარმოებული მოლაპარაკების ყველა დეტალი ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას სრულიად გამორიცხავს."** მანვე აღნიშნა, რომ ირანს "ექვსეულის" შეთავაზებაზე გადაწყვეტილების მიღების ვადებთან დაკავშირებით ულტიმატუმი არ აქვს წაყენებული. **"თუმცა მე ვფიქრობ, რომ ოფიციალურმა თეირანმა გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის განმავლობაში უნდა მიიღოს,"** - განაცხადა ლავროვმა. ამასთანავე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ რეალობას არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირანმა გადაწყვეტილება 7 დღის განმავლობაში უნდა მიიღოს.

ამრიგად, საერთაშორისო საზოგადოება ოფიციალურ თეირანს კიდევ ერთ შანსს აძლევს, ხოლო გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკებები ირანთან, უკვე ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

მოკლედ

### უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო მომსახურების რეფორმაზე იმსჯელეს იუსტიციის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, სადაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა - ჯონ ბოინგტონმა და ჯო ლიჩმა ქართულ მხარეს რეკომენდაციები წარუდგინეს.

შეხვედრას იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ჯუღელი და აღნიშნული სამინისტროების, ასევე, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პენიტენციარულ სისტემაში სამედიცინო მომსახურების რეფორმისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ამ ეტაპზე მიღწეულია შეთანხმება, რომ სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო მომსახურება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზრუნვის საგანი გახდება. ეს ცვლილება 2006 წლის სექტემბრისთვის უნდა განხორციელდეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები თბილისს 29 მაისს ეწვივნენ. მათ შეხვედრები გამართეს იუსტიციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან. დაათვალიერეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო ნაწილები და სამოქალაქო საავადმყოფოები.

ექსპერტებმა საქართველოში მიღებულ ინფორმაციასა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქართულ მხარეს პატიმართა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები წარუდგინეს. მათი აზრით, სასჯელაღსრულების სამედიცინო სისტემის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სწორია.

ექსპერტები ქართულ მხარეს რეფორმასთან დაკავშირებულ ვრცელ რეკომენდაციებს 2 კვირაში წარუდგენენ.

*24 საათი*

### რუსეთის გენპროკურორი თანამდებობიდან გადადგა

რუსეთის ფედერაციის საბჭომ თანამდებობიდან გადააყენა რუსეთის გენერალური პროკურორი ვლადიმერ უსტინოვი. აღნიშნული გადაწყვეტილება ფედარაციის საბჭოს პლენარულ სხდომაზე მიიღეს. როგორც პალატის სპიკერმა სერგეი მირონოვმა განაცხადა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გუშინ საღამოს ფედერაციის საბჭოს მიმართა წინადადებით უსტინოვის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. მირონოვის განცხადებით, უსტინოვის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი მისი პირადი განცხადება გახდა. გენერალური პროკურორის ვაკანსიის შევსებამდე ამ მოვალეობას გენერალური პროკურორის მოადგილე იური ბირკოვი შეასრულებს. როგორც კრემლის კულუარებიდან გახდა ცნობილი, პუტინი საკადრო ცვლილებებს კვლავაც გააგრძელეს. ამის მიზეზი კორუფციასთან ბრძოლაა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### არასამთავრობოები ჩეჩენი პატიმრის ექსტრადირების წინააღმდეგ

არასამთავრობო სექტორი საქართველოში დაკავებული ჩეჩენი მოქალაქის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საკითხს აპროტესტებს. ვინაიდან, მათი თქმით, რუსეთის ფედერაციას არ გამოუგზავნია დასაბუთებული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საქართველოში დაკავებული 75 წლის მაგომედოვი, ნამდვილად მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. "მაგომედოვს რუსეთში ელოდება სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა, ამიტომაც, მისი რუსეთში ექსტრადიცია დაუშვებელია" , - აცხადებენ არასამთავრობოები.

მაგომედოვი 2004 წლის ზაფხულში, საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის დააკავეს, ორი დღის წინ კი რუსთავის საქალაქო სასამართლომ ის ვადაზე ადრე გაათავისუფლა, რუსთავის N 1 კოლონიის ხელმძღვანელობის შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ის მაინც ორთაჭალის საპყრობილეში გადმოიყვანეს. საქმე ისაა, რომ მოსამართლემ რუსეთის გენარალური პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მაგომედოვის საექსტრადაციო სამთვიანი პატიმრობის დადგენილება გამოიტანა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამ თვეში მაგომედოვის ექსტრადირება მოხდება.

*ინტერპრესნიუსი*

### გარდაცვლილის ახლობლების საპროტესტო აქცია

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში, 14 წლის სალომე გიორგაძის ახლობლებმა და თანაკლასელებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა სოფლის მთავარი გზა გადაკეტეს და სკოლაში მასწავლებლებსა და დირექტორს შესვლის უფლება არ მისცეს. აქციის მონაწილეები სკოლის დირექტორისა და პედკოლექტივის ერთი ნაწილის სამსახურიდან გათავისუფლებას მოითხოვენ. მათ ეჭვი აქვთ, რომ სალომე გიორგაძემ სწორედ მათი ცუდი დამოკიდებულების გამო მოიკლა თავი.

აქციის მონაწილეები გიორგაძის წერილის შინაარსის გაცნობასა და გამოძიების ობიექტურად წარმართვას მოითხოვდნენ. საპროტესტო აქცია ექსცესების გარეშე დაიშალა.

მომხდარი უბედური შემთხვევის გამო იმერეთის სამხარეო პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით არის აღძრული. თუმცა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მომხდარი თვითმკვლელობად შეფასდა.

14 წლის სალომე გიორგაძემ თვითმკვლელობამდე საკლასო ოთახის დაფაზე წარწერა გააკეთა: "ყველანი ძალიან მიყვარხართ". შემდეგ სახლიდან მამის, რობერტ გიორგაძის რეგისტრირებული საფანტის თოფი აიღო და სახლიდან 300 მეტრის მოშორებით მდინარის ნაპირზე თავი მოიკლა.

*ინტერპრესნიუსი*

### ტრენინგი სახაზინო ადვოკატებისთვის

გუდაურში დასრულდა ამერიკის იურისტთა ასოციაციის ორგანიზებით მიმდინარე ტრენინგი, სადაც იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის ადვოკატებმა და სტაჟიორებმა სისხლის სამართლის საპროცესო კანომდებლობით შეთავაზებული სიახლეები განიხილეს.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის საქართველოს ოფისისა და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტები 11 საზოგადოებრივ ადვოკატსა და შვიდ სტაჟიორს ხუთი დღის მანძილზე დამცველის პროფესიულ უნარ-ჩვევებზე და დაცვის სტრატეგიაზე ესაუბრნენ.

ტრენინგის მონაწილეებმა ახალი საპროცესო კოდექსის პროექტის კონტექსტში განიხილეს სასამართლო პროცესზე მოწმის დაკითხვის მეთოდიკა, დაცვის შესავალი და დასკვნითი სიტყვის მომზადების პრინციპები და სხვა საკითხები.

*მედიანიუსი*

### რჩევები იტალიელი ოფიცრისგან

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს, ინტერპოლის ეროვნული ბიუროს იტალიელმა მეკავშირე ოფიცერმა და იტალიის რესპუბლიკის ფინანსური გვარდიის წარმომადგენელმა ნიკოლა პალმიერომ სემინარი ჩაუტარა.

სემინარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისა და იტალიის რესპუბლიკის ფინანსური გვარდიის მუშაობის სტილის მსგავსებებს და განსხვავებებს ეხებოდა.

შეხვედრაზე განხილეს ასევე ორივე სტრუქტურის საკანონმდებლო სფეროები. სემინარის პოროცესში მხარეებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

გარდა ამისა, ნიკოლო პალმიერომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოში ინტერპოლის მუშაობის საკითხს და შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკაც განიხილა.

*ინტერპრესნიუსი*

**2006 წლის 31 მაისს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, საერთაშორისო კავკასიოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ვარლამის ძე თოფურია.**

ბატონი გურამი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელთაც კავკასიოლოგია საერთაშორისო მეცნიერული ინტერესის საგნად აქციეს. ამგვარი ინტერესისა და ინტენსიური მეცნიერული თანამშრომლობის გაღვივება მნიშვნელოვნად განაპირობა აკადემიკოს გურამ თოფურიას მეცნიერულმა და პიროვნულმა თვისებებმა, მისმა კავკასიოლოგიურმა ნაშრომებმა ქართულ და უცხოურ ენებზე, მჭიდრო მეცნიერულმა კონტაქტებმა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია მეცნიერებისათვის.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

# მკვლელობა კოტრის ტყეში

პირველი გვერდიდან

დაცვის თანამშრომლებმა ქურდებს სახლიდან გასვლა მოსთხოვეს და შეშინების მიზნით ჰაერშიც გაისროლეს. საპასუხოდ ჩხვიმიანმა ჯერ ავტომატიდან გახსნა ცეცხლი, შემდეგ კი ხელყუმბარა ისროლა, რომლის აფეთქების შედეგად ირაკლი გუგუნავა ფეხში დაიჭრა. ამის შემდეგ ჩხვიმიანი და ზაკუტოვი ფანჯრიდან გადახტნენ და მიიმალნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამხედროები რამდენიმე მეტრში მდებარე კოტეჯში დაიმალნენ, საღამოს კი, ტყის გავლით ისევ სამხედრო ნაწილისკენ წავიდნენ. ზაკუტოვის ჩვენებით, მოულოდნენლად მათ ტყეში მანქანა შენიშნეს, სადაც ორი პიროვნება იჯდა და ჩხვიმიანმა და ზაკუტოვმა იქვე დაგეგმეს მათი დაყაჩაღება. გეგმის მიხედვით, ჩხვიმიანს, იარაღით უნდა შეეჩერებინა მგზავრები, ზაკუტოვს კი მანქანა უნდა გაეჩხრიკა და ღირებული ნივთები წამოეღო. სამხედროების მიახლოებისას მძღოლი, როგორც მოგვიანებით გაირკვა იგი თეიმურაზ ბეჟუაშვილი იყო, მანქანიდან გადმოვიდა. მას ჩხვიმიანმა იარაღი დაუმიზნა, ამასობაში ზაკუტოვი მანქანაში ჩაჯდა, სადაც რუსუდან ფირცხალავა იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონამ ყვირილი დაიწყო, ჩხვიმიანმა სავარძელზე დადებული მობილური ჯიბეში ჩაიდო და სხვა ნივთების ძებნა გააგრძელა. სწორედ ამ დროს ბეჟუაშვლი ჩხვიმიანს შეეწინააღმდეგა, მაგრამ სამხედრომ მას გულმკერდის არეში ესროლა და იგი მიწაზე დაეცა. იმისათვის, რომ დანაშაული დაეფარათ, ჩხვიმიანმა მოწმეს, რუსუდან ფირცხალავასაც თავში ორჯერ ესროლა და ისიც მოკლა.

ამის შემდეგ სამხედროებმა ბეჟუაშვილს ტანსაცმელი გახადეს და კვალის წაშლის მიზნით ცხედრები ხევში გადაყარეს. როგორც გაირკვა, მათ მანქანის დამალვაც უნდოდათ, მაგრამ ძრავის ჩართვისთანავე მანაქანა დაგორდა და ხეს შეეჯახა.

ჩხვიმიანი და ზაკუტოვი სამხედრო ნაწილში ღამე დაბრუნდნენ. მოპარული ნივთები და იარაღი კი იქვე ბატალიონის ტერიტორიაზე დამალეს (ეს ნივთები სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს და საქმეს ნივთმტკიცებების სახით დაურთეს).

აღნიშნული დანაშაულებისთვის ზაკუტოვის და ჩხვინიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიაძრა. აქედან, ჩხვიმიანს ყველაზე მძიმე ბრალდებით - დამამძიმებელ გარემოებაში განზრხა მკვლელობის მუხლით გაასამართლებენ და თუ მისი დანაშაული მართლმსაჯულებისთვისაც სარწმუნო აღმოჩნდება, შესაძლოა, ნიაზ ჩხვიმიანს მაქსიმუმ სამუდამო პატიმრობაც დაემუქროს. მით უმეტეს, რომ ბრალდების მხარემ მისთვის დანაშაულის შემამსუბუქებელი ვერენაირი არგუმენტი ვერ აღმოაჩინა.

*24 საათი*

# "დედოვშინის" ქართული ვარიანტი

*"ქართულ ჯარში "დედოვშინის" ქართული ვარიანტი მძვინვარებს", - განაცხადა სახალხო დამცველმა ქართულ ჯარში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის განხილვისას.*

სუბარის განცხადებით, საქართველოს ჯარი ახალი ხელისუფლების პირობებში გაცილებით უკეთესად ფინანსდება, არმიაში საყოფაცხოვრებო პირობები რადიკალურად გამოსწორდა, თუმცა პრობლემები ხელმძღვანელობისა და ჯარისკაცების ურთიერთობაში კვლავ დარჩა.

**"დედოვშინის" ქართული ვარიანტი გამოიხატება დაპირისპირებაში კუთხური ნიშნით, ასევე დაპირისპირებაში ძლიერებსა და სუსტებს შორის,"** - დააკონკრეტა მაშინ ომბუდსმენმა.

რა ხდება სამხედრო ნაწილებში? - ახლა ამ შეკითხვით მიმართავს სახალხო დამცველი შესაბამის სტრუქტურებს და 31 მაისს მომხდარი ფაქტის - თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითი ბრიგადის რიგითის, გიორგი შარიქაძის ცემის ფაქტის გამოძიებას კატეგორიულად მოითხოვს.

ნაცემი გიორგი შარიქაძე, თბილისის თსუ-ს კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობს. ექიმების განცხადებით, საავადმყოფოში მიყვანილ ჯარისკაცს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა და თითქმის ვერ მეტყველებდა.

გიორგი შარიქაძე სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა ცენტრის ექსპერტმა გასინჯა. ექსპერტის დასკვნაში ნათქვამია, რომ ჯარისკაცს აღენიშნება ქალა ტვინის დახურული ტრამვა, მუცლისა და გულმკერდის დახურული ტრამვები, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, სხეულის სხვადასხვა მიდამოს ექსკორაციები და სისხლნაჟღენთები.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეით ბრიგადაში, სადაც შარიქაძე მსახურობს და სადაც ინციდენტი მოხდა. ბრიგადის შტაბის უფროსმა ზვიად ხორგუანმა, ბრიგადის იურისტებმა კობა კედელაშვილმა და გიზო ნავროზაშვილმა განაცხადეს, რომ რიგითი გიორგი შარიქაძე სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე არავის უცემია.

საწინააღმდეგოს აცხადებს გიორგი შარიქაძე, რომელსაც სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს.

ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ გიორგი შარიქაძეს 31 მაისის შემთხვევამდე ხუთჯერ სცემეს. თავდაპირველად, ცემის მიზეზი გახდა ის, რომ ჯარისკაცები მას ტანსაცმლისა და წინდების გარეცხვას აიძულებდნენ, რაზეც შარიქაძემ უარი განაცხადა. შარიქაძე აცხადებს, რომ ცემის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო ის რამდენჯერმე სამხედრო ჰოსპიტალშიც კი მოათავსეს. ჯარისკაცის თქმით, მის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის გამო მან სამხედრო პოლიციასაც მიმართა, გამომძიებელს ჩვენება მისცა და კონკრეტული პიროვნებაც დაასახელა. 30 მაისს, შვებულებიდან ნაწილში დაბრუნებულ შარიქაძეს სწორედ ამის გამო გაუსწორეს ანგარიში - ჯერ დაემუქრნენ, შემდეგ კი სასტიკად სცემეს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ 30 მაისს, შვებულების დამთავრების შემდეგ გიორგი შარიქაძე სამხედრო ნაწილში გამოცხადდა, სადაც მას შეხვდა ჯარისკაცი, მეტსახელად "სვანი", რომელმაც პრეტენზიები განუცხადა იმის გამო, რომ შარიქაძემ სამხედრო პოლიციას ჩვენება მისცა. თანაც, დაემუქრა, რომ უახლოეს მომავალში აუცილებლად ნახავდა და ყველაფერს გაარკვევდა. მუქარით შეშინებულმა შარიქაძემ კაპიტანს ერთი დღით სახლში გაშვება სთხოვა, თუმცა რეალური მიზეზი დაუმალა და დედის ავადმყოფობა მოიმიზეზა. კაპიტანი ჯარისკაცს დაჰპირდა, რომ მეთაურებს შეუთანხმდებოდა და პასუხს აცნობებდა.



*რა ხდება სამხედრო ნაწილებში? - კითხულობს სახალხო დამცველი.*

გოგიტა ბახაიძის ფოტო

თუმცა, შეშინებული შარიქაძე პასუხს არ დაელოდა, ნაწილი დატოვა და სახლში წავიდა.

31 მაისს, დილით, გიორგი შარიქაძე ძმასთან, დავით შარიქაძესთან ერთად სამხედრო ნაწილში დაბრუნდა. დავით შარიქაძემ მეთაურები საქმის კურსში ჩააყენა და ჰკითხა, აძლევდნენ თუ არა მისი ძმის უსაფრთხოების გარანტიას. როგორც შარიქაძე აცხადებს, ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი დავით შარიქაძეს დაჰპირდა, რომ მის ძმას არავინ შეეხებოდა. საუბარს ესწრებოდნენ ნაწილის კაპიტანი, ერთი ოფიცერი და ბრიგადის იურისტი ქალბატონი. კაპიტანმა გიორგი შარიქაძე სერჟანტს ჩააბარა, რის შემდეგაც შარიქაძის ძმამ სამხედრო ნაწილი დატოვა. მისი წასვლიდან 10-15 წუთის შემდეგ, სერჟანტმა შარიქაძე ყაზარმის საკლასო ოთახში გაიყვანა და ფული მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ამ დროს ოთახში მეორე სერჟანტიც იმყოფებოდა. მათ შარიქაძე სკამზე ძალით დასვეს, გაუკავეს ხელ-ფეხი და ალაგ-ალაგ თმა გადაპარსეს, ურტყეს სახეში, მარჯვენა მხარზე და მუცელზე დანა დაუსვეს, ფული წაართვეს და გაუშვეს. გიორგი შარიქაძემ სისხლი ჩამოიბანა, მხარი შეიხვია და ეზოში ჩავიდა. მისი განცხადებით, ამ დროს მასთან მივიდა ჯარისკაცი, მეტსახელად "სვანი", და სამხედრო პოლიციაში შარიქაძის მისვლის გარჩევა დაიწყო. შარიქაძემ სთხოვა, მისთვის თავი დაენებებინა, რაზეც "სვანმა" სახეში გაარტყა. ამ დროს მიცვივდნენ იქვე მდგომი ჯარისკაცები - დაახლოებით 6-7 კაცი, შარიქაძე წააქციეს და წიხლებით ცემა დაუწყეს. საბოლოოდ, ნაცემმა შარიქაძემ მოახერხა ნაწილის დატოვება და სახლში დაბრუნდა, საიდანაც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ასეთი გახლავთ ისტორია, რომელიც მე-4 ქვეითი ბრიგადის ნაწილში განვითარდა და რომელიც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოიკვლიეს. სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ შარიქაძის ახსნა-განმარტების მიხედვით, მას ყაზარმის ეზოში, თვალსაჩინო ადგილას სცემეს და ინციდენტის შემჩნევა ხელმძღვანელობას არ უნდა გასჭირვებოდა. ქართული "დედოვშინის" მსხვერპლი აცხადებს, რომ შეუძლია იმ პირების ამოცნობა, რომლებმაც მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

სახალხო დამცველი თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეით ბრიგადაში მომხდარი ფაქტით აღშფოთებულია და აცხადებს, რომ **"შესაბამის ორგანოებს კატეგორიულად მოვთხოვ რიგითი გიორგი შარიქაძის ცემის ფაქტის გამოძიებას და იმის დადგენას, თუ რა ხდება არმიის სამხედრო ნაწილებში, კონკრეტულად მე-4 ქვეით ბრიგადაში. ამ საქმის გამოძიებას ბოლომდე მივყვები",** - აცხადებს სოზარ სუბარი.

*24 საათი*

# მმართველი ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა

იუსტიციის სამინისტროში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების მმართველი ჯგუფის დასკვნითი შეხვედრა გაიმართა, სადაც რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი განიხილეს და მოიწონეს. სამოქმედო გეგმა განსახორციელებლად სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობ კომისიას გადაეცემა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ხელმძღვანელობს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა მოიცავს საპოლიციო ორგანოების, პროკურატურის, ადვოკატურისა და სამართლებრივი დახმარების სისტემის, სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, სასჯელაღსრულების სისტემის, სახალხო დამცველის ინსტიტუტისა და იურიდიული განათლების რეფორმას. სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე თითოეული მიმართულებით შექმნილი ქვეჯგუფი მუშაობდა. მათ მუშაობას კოორდინაციას მმართველი ჯგუფი უწევდა.

სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი რეფორმის ეტაპები, განხორციელების ვადები და საჭირო დაფინანსება. რეფორმის განხორციელება უკვე დაწყებულია, მისი დასრულების ვადა კი 2009 წლით განისაზღვრა.

*24 საათი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტების "ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში" და "სომხურის, როგორც მშობლიური ენის სწავლების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში" ფარგლებში მულტიპლიკატორთათვის ტრენინგების ჩასატარებლად სასტუმრო (კვება, განსახლება და საკონფერენციო) მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - სასტუმრო და საკონფერენციო მომსახურების შესყიდვა.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი.

სასტუმრო და საკონფერენციო მომსახურება (კვება, გამაგრილებელი სასმელი ტრენინგისას და დღეში ორჯერ შესვენება-ყავით, საკონფერენციო დარბაზი, სასურველია სატრანსპორტო მომსახურება) ხორციელდება 5 ეტაპად: I ეტაპზე 27 კაცის მომსახურება 5 დღე-ღამის განმავლობაში 2-7 ივლისი, II ეტაპზე 24 კაცის მომსახურება 5 დღე-ღამის განმავლობაში 7-12 ივლისი და III ეტაპზე 27 კაცის მომსახურება 5 დღე-ღამის განმავლობაში 16-21 ივლისი; IV ეტაპზე 27 კაცის მომსახურება 5 დღე-ღამის განმავლობაში 6-11 აგვისტო და V ეტაპზე 24 კაცის მომსახურება 5 დღე-ღამის განმავლობაში 23-28 ოქტომბერი.

**შენიშვნა:** სატრანსპორტო მომსახურებაში იგულისხმება ტრენინგების მონაწილეთა ნინოწმინდიდან დანიშნულების ადგილამდე ჩაყვანა და 5 დღის შემდეგ უკან დაბრუნება.

**აუცილებელი პირობა**:

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. Gგარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 23 ივნისს 1500 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 23 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ინფორმაცია შესრულებული ანალოგიურ სამუშაოთა შესახებ.

- თუ ზემოთ დადგენილ ვადებში იურიდიული და ფიზიკური პირი არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)

**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224

**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკის კოდი** - 220101107

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000

**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# "სასწაულების დავიჯერე"

## "ცენტრ პოინტი ჯგუფმა" ახალგაზრდა მომღერალს ბინა აჩუქა

დიღომში, რობაქიძის გამზირის №7-ში "ცენტრ პოინტი ჯგუფის" მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსს ახალი მოსახლე ჰყავს - ეს გახლავთ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტ-სტაჟიორი მამუკა ლომიძე, რომელსაც მშენებელმა კომპანიამ გუშინ საზეიმო ვითარებაში გადასცა ოროთახიანი ბინა.

ეს შემთხვევა ერთადერთი არ არის, როდესაც "ცენტრ პოინტი ჯგუფი" ახალგაზრდა მომღერალს ეხმარება. რამდენიმე ხნის წინ სწორედ ამ კომპანიამ უზრუნველყო მამუკა ლომიძის გამგზავრება ავსტრიის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე, საიდანაც ფინალისტის წოდებით დაბრუნდა. კომპანიამ უკვე აიღო შეფობა ლომიძეზე და მის პატრონაჟს მომავალშიც გააგრძელებს.

**თიკა რუხაძე, კომპანია "ცენტრ პოინტი ჯგუფის" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სარეკლამო სამსახურის უფროსი:** "ცენტრ პოინტი ჯგუფისთვის" მნიშვნელოვანია კულტურის დარგის მხარდაჭერა და ეს სფერო საკუთარ პრიორიტეტებში აქვს შეტანილი. კომპანიამ უკვე არაერთ ახალგაზრდა ხელოვანს შეუწყო ხელი და ამ საქმიანობას მომავალშიც გააგრძელებს. ვიცით, რომ მამუკას დიდი მომავალი აქვს, ამიტომ მისი დახმარება ჩვენს მოვალეობად ჩავთვალეთ".



*მამუკა ლომიძე ბინის მიღებას აღნიშნავს.*

"ცენტრ პოინტი ჯგუფი" მართლაც აქტიურადაა ჩაბმული ხელოვნების სფეროს დახმარებაში. ამის დასტურად ერთი მაგალითიც კმარა - ანსამბლი "ფესვები", რომელიც უკვე დიდი ხანია კომპანიის პატრონაჟით მოღვაწეობს.

გუშინდელი საზეიმო საღამო სწორედ "ფესვებისა" და მამუკა ლომიძის მიერ შესრულებულმა რამდენიმე მუსიკალურმა ნომერმა გაალამაზა.

მამუკა ლომიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფესორ თენგიზ მუშკუდიანის ხელმძღვანელობით. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ბინის უქონლობის გამო, იგი სწორედ პროფესორთან ცხოვრობდა.

**მამუკა ლომიძე:** "ასეთ საჩუქარს არ ველოდი. შეიძლება ითქვას, რომ "ცენტრ პოინტი ჯგუფმა" ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიურპრიზი მომიწყო და სასწაულების დავიჯერე. ამ კომპანიის მადლობელი ვარ, რადგან ავსტრიის კონკურსზეც მისი დახმარებით წავედი. ასევე მადლიერი ვარ ჩემი მასწავლებლის, თენგიზ მუშკუდიანის, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ხელოვნებას მაზიარა, საკუთარ სახლშიც ოჯახის წევრივით მიმიღო".

მომღერალი ამჟამად ოპერისა და ბალეტის თეატრის სტაჟიორია. კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში შესრულებული აქვს პარტიები ოპერებიდან "დაისი", "რიგოლეტო", "ტრავიატა" და სხვა. არის ბაქოს ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ავსტრიის კონკურსის ფინალისტი. წელს კი იტალიის საელჩოსა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ "პრემიო რომას" კონკურსში გაიმარჯვა და რომში სწავლების უფლება მოიპოვა.

**მამუკა ლომიძე:** "ივნისში ვენის საერთაშორისო კონკურსზე მივდივარ, შემდეგ გერმანიაში დაგეგმილ ფესტივალში მივიღებ მონაწილეობას. ნოემბერში კი რომში გავემგზავრები, სადაც რვა თვის განმავლობაში მომღერლის ოსტატობას ავიმაღლებ."

# SILENT HILL - ფილმი

## პირამიდისთავიანების შემოსევა კინოთეატრ "ამირანში"

ია ვეკუა

ამ ქალაქში მუდმივად სქელი ნისლია ჩამოწოლილი, ქუჩები დამწვარი ადამიანების ფერფლითაა მოფენილი, მომაკვდინებელ სიჩუმეს დროდადრო სირენის ხმა არღვევს და მოცახცახე მონსტრები გზას გიღობავენ - ეს საილენთ ჰილია, მიტოვებული ქალაქი, სადაც არაფერია სიკვდილისა და შიშის გარდა. საილენთ ჰილში არასდროს არავინ ჩადის, თუმცა ეს ქალაქი თავად გიხმობს - Welcome To Silent Hill!

კინოთეატრ "ამირანს" ასეთი მაყურებელი არ ახსოვს: უკანასკნელი დროის ბლოკბასტერის "საილენთ ჰილის" თბილისურ პრემიერაზე კომპიუტერთან ჯდომით სახეგათანგული კონტინგენტი ამაოდ ცდილობდა კლავიატურასა და ჯოისტიკებზე გაცვეთილი თითების დამალვას - პრემიერაზე ძირითადად უზომოდ პოპულარული კომპიუტერული თამაშის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ.

ფილმის რეჟისორი კრისტოფ განსი აქამდე მხოლოდ ერთი ხეირიანი ბლოკბასტერის "მგლების საძმოს" შექმნით იყო ცნობილი. ასევე ნაკლებად კაშკაშებს ფილმში დაკავებული მსახიობების ვარსკვლავებიც: რადა მიტჩელი, ლორი ჰოლდენი, კიმ კოტსი. თუმცა არიან მეტ-ნაკლებად ცნობილებიც: დებორა კარა ანგერი და, რა თქმა უნდა, შინ ბინი - უძლეველი ბორომირი "ბეჭდების მბრძანებლიდან".

ფილმის სიუჟეტი მარტივია: 9 წლის მთვარეული გოგონა ხშირად ახსენებს საილენ ჰილს. ამიტომ დედა, განკურნების მიზნით, შვილის ამ ქალაქში წაყვანას გადაწყვეტს. ქალაქის შესასვლელთან ავტოკატასტროფის შემდეგ გამოფხიზლებულ დედას გოგონა მანქანაში აღარ დახვდება და იწყებს მის ძებნას, რომელიც სულ მალე ღამეულ კოშმარად გადაიქცევა. ძებნისას პოლიციელი ქალი ეხმარება, რომლისთვისაც ეს თავგადასავალი ფილმის ბოლოს ძააალიან ფატალურად დამთავრდება (საიდანღაც დამწვრის სუნი მოდის)...

პოლიციელი ქალის "ფატალურობის" გარდა ფილმში რამდენიმე საკმაოდ დასამახსოვრებელი სცენაა. მაგალითად, სუსტი ნერვების პატრონებს ვურჩევ, თვალები დახუჭონ, როდესაც კადრში ცნობილი პირამიდისთავიანი მონსტრი გამოჩნდება - იგი ერთი ხელის დაკვრით ატყავებს მსხვერპლს (ბრრრრ!). ასევე წარმატებული ფრაგმენტი, როდესაც მთავარმა გმირმა ზომბირებულ მედდებს შორის უნდა გაიაროს (ნუ გეშინიათ, გაივლის).

"საილენთ ჰილის" თბილისური ჩვენება იმითაც იყო საინტერესო, რომ სეანსმა მაყურებლის გაუთავებელი საუბრის ფონზე ჩაიარა. ზოგი შიშის დაფარვის მიზნით საუბრობდა, უმეტესობა კი ფილმსა და თამაშს ადარებდა ერთმანეთს. სამწუხაროდ, მათი უმეტესობის იმედები ნაკლებად გამართლდა, ამიტომ "საილენთ ჰილზე" წამსვლელებს მეგობრულად ვურჩევ: დაივიწყეთ თამაში და "ამირანს" მხოლოდ ფილმის სანახავად ესტუმრეთ.

■ ■ ■

კომპანია "კონამის" მიერ 1999 წელს შექმნილი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაში "საილენთ ჰილი" პირველი ჰორორ-თამაშია. ამერიკის არარსებულ ქალაქ საილენთ ჰილში განვითარებული სულისგამყინავი ისტორია უკვე ოთხი ნაწილის საფუძვლად იქცა. უკანასკნელი ნაწილი The Room 2004 წელს გამოვიდა, ხოლო მეხუთე ჯერჯერობით დამუშავების სტადიაშია.





თამაში საინტერესოა არა მხოლოდ სიუჟეტური განვითარებით, არამედ უნიკალურია იმითაც, რომ კომპიუტერული თამაშებისთვის არადამახასიათებლად მინიმალური რაოდენობის მტრის განადგურება გიწევს. თამაშის არსი პერსონაჟის მიერ დაკარგული ადამიანის ძებნაში მდგომარეობს, მიზნის მიღწევა კი მხოლოდ უზარმაზარი შენობების ასობით ოთახის შემოვლისა და უამრავი ჩახლართული თავსატეხის ამოხსნის შემდეგაა შესაძლებელი. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ თამაშის განმავლობაში ქალაქი შენობები რამდენჯერმე იცვლიან სახეს და გმირს ერთი ადგილის ხელმეორედ გავლა უწევს. თუ ამას მონსტრების წარმოუდგენელ ფორმებსა და შესაძლებლობებს დავუმატებთ (ამისთვის უკვე ნახსენები პირამიდისთავიანიც კმარა), თამაშის საუკეთესო შესაძლებლობებზე საუბარის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს.

■ ■ ■

"საილენთ ჰილი" კომპიუტერული თამაშის ეკრანიზაციის ჯერჯერობით უკანასკნელი მცდელობაა. ეკრანზე გადატანილი თამაშებიდან ასევე ცნობილია Resident Evil, Tomb Rider, DOOM, Mortal Kombat, Van Helsing. მათგან ყველაზე პოპულარული "რეზიდენტ ევილი" და "ტომბ რაიდერია", რომელთა წარმატება უმეტესწილად მილა იოვოვიჩისა და ანჯელინა ჯოლის მიერ შესრულებულმა როლებმა განაპირობა. ნებისმიერი თავმოყვარე გეიმერი აღიარებს, რომ ჯოლის უკანალის ცქერას ვირტუალური ლარა კროფტის მართვა ურჩევნია.

უკვე ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში ასევე ცნობილი თამაშების Metal Gear Solid და Max Payne კინოვერსიებიც გამოვა. ხოლო თუ ვინმე Splinter Cell-ის გადაღებას გადაწყვეტს, მაშინ თბილისშიც მოუწევს ჩამოსვლა, რადგან ამ თამაშის პირველი (ანუ კლასიკური) ნაწილის მოქმედება ჩვენს დედაქალაქში ვითარდება (სხვათა შორის, საქართველოს ვირტუალური პრეზიდენტისთვის საკმაოდ არასასიამოვნოდ).

ფილმის მიხედვით გაკეთებული თამაშების რაოდენობა გაცილებით მეტია: King Kong, The Godfather, Constantine, Terminator, Starship Troopers, Star Wars, Men in Black, Reservoir Dogs და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში საქმე გაცილებით მარტივადაა, რადგან თამაშების შექმნა მხოლოდ ბიზნესინტერესებს ემსახურება. როგორც წესი, ნებისმიერ წარმატებულ პროექტს დამატებითი, ე. წ. სუვენირული პროდუქცია მოჰყვება: მაისურებით დაწყებული და მობილური ტელეფონებით დამთავრებული. შემოსავლის მიღების ახალ, თუმცა მეორეხარისხოვან საშუალებად კი თამაშები იქცა. ალბათ ამიტომაა, რომ ვერც ერთმა ჩამოთვლილმა თამაშმა ვერ შეძლო იმ წარმატების მოპოვება, როგორც მათმა პროტოტიპმა ფილმებმა ან სულაც ორიგინალურმა თამაშებმა - Silent Hill-მა და Resident Evil-მა.

თუმცა ამ ბიზნესში ჩართულები მაინც არ ჩერდებიან და სულ რაღაც ორი კვირის წინ დახლებზე Da Vinci Code გამოჩნდა. თამაშმა უკვე მიიღო შეფასება 6.5 fair, რაც იმას ნიშნავს, რომ ფილმის მსგავს პოპულარობაზე მხოლოდ უნდა იოცნებოს.

ჩვენგან განსხვავებით, კომპიუტერული თამაშები მთელ მსოფლიოში (განსაკუთრებით, ამერიკასა და იაპონიაში) თანამედროვე კულტურის რანგშია აყვანილი. ბეჭდვითი და ინტერნეტ გამოცემების გარდა არსებობს სპეციალური ტელეარხები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში გადასცემენ უახლეს ინფორმაციას ახალი თამაშების, ტექნოლოგიური მიღწევების, მათი შემქმნელების, კლასიკური ეტაპების გავლის, ჩემპიონატებისა და რეკორდების შესახებ.

ცნობილი კომპანიები: Konami, Capcom, Ubi Soft, Namco, Rockstar და სხვები ცდილობენ, საკუთარი თამაში ყველა სახის კომპიუტერული შესაძლებლობისთვის გამოუშვან - როგორც ჩვეულებრივი კომპიუტერისთვის, ისე კონსოლებისთვის (PlayStation, GameCube, X-box). სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ფილმების მიხედვით შექმნილი თამაშები ამ კომპანიებისთვის ერთგვარი გამოსავალია, რადგან საინტერესო სიუჟეტი უკვე პრობლემაა. ამის დასტურია მაგალითად, კომპანია Namco-ს თამაში Katamari, რომლის არსი კოსმიური პერსონაჟის მიერ, რაც შეიძლება, მეტი ნაგვის შეგროვებაში მდგომარეობს და Bo-Bo, Bo-Bo, Bo-Bo-Bo, რომლის მთავარი გმირი მოწინააღმდეგეებს ცხვირის ბეწვებით კლავს, კომბო-დარტყმისთვის კი იღლიებს იყენებს (იმედია, ამ თამაშების მიხედვით ფილმს არავინ გადაიღებს)...

# აფხაზეთში შეხვედრამდე

## კონკურსის "ჩემი აფხაზეთი" გამარჯვებული რუსუდან სებისკვერაძეა

ია ვეკუა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ რამდენიმე თვის წინ გამოცხადებული მუსიკალური კონკურსის "ჩემი აფხაზეთი" გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალმა მოკრძალებულად და ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩაიარა. ვერც შეპირებული იმპროვიზებული კონცერტი ანუ გამარჯვებული ნაწარმოებები მოვისმინეთ, თუმცა იმის განცდა, რომ ამ თემატიკის შესახებ კიდევ წერენ, მღერიან და ამის ორგანიზებას სახელმწიფო სტრუქტურები ახდენენ, ცერემონიალის სიმშვიდით გამოწვეულ უხერხულობას მეტ-ნაკლებად აბათილებდა.

აფხაზეთის შესახებ მუსიკალური ნაწარმოებების კონკურსის ორგანიზებით კულტურის სამინისტროსთან ერთად აფხაზეთის კულტურისა და განათლების სამინისტროც იყო ჩაბმული. როგორც აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე სალომე კაპანაძემ განაცხადა, კონკურსის ჩატარება მხოლოდ ახალი ნაწარმოებების შექმნას არ ემსახურებოდა. "გვსურდა, გაგვეგო, რამდენად მგრძნობიარეა ქართული კულტურა ამ თემის მიმართ. კვლავ ადრინდელი სიმძლავრით გვტკივა თუ არა აფხაზეთი. დარწმუნებული ვარ, შორს არ არის დღე, როდესაც ამ კონკურსისთვის შექმნილი ნაწარმოებები აფხაზეთშიც აჟღერდება", - განაცხადა სალომე კაპანაძემ.

კონკურსში განაცხადის სახით 45 ნაწარმოები შევიდა, რამდენიმე ტურის გავლის შემდეგ მათგან მხოლოდ სამი გამარჯვებული შეირჩა, თუმცა პირველი ადგილი არ გაუციათ. მეორე ადგილი (რომელიც ჟიურის უმაღლესი შეფასება იყო) რუსუდან სებისკვერაძემ მოიპოვა. ორი მესამე ადგილი კი თამარ სალუქვაძესა და მეორე "პატრინოტის" ერთ-ერთ გამარჯვებულზე ჯუმბერ ჯანდიერზე გადანაწილდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს უკანასკნელია ცნობილი სიმღერის "გამარჯობა, აფხაზეთო, შენი" ავტორი.

**ჯუმბერ ჯანდიერი:** "ჩემი მეუღლე სოხუმელია. შვილები აფხაზეთში გავზარდე. ამიტომ იქაურობა განსაკუთრებულად მიყვარს. აქედან გამომდინერე, აფხაზეთის საკითხი, ისევე როგორც ნებისმიერი ქართველისთვის, ჩემთვისაც ძალიან მძიმე და მტკივნეულია. სწორედ ამ ტკივილით დავწერე ნაწარმოები "ზარი დააქუხე, ქართველო!" (კონკურსის მსვლელობისას მას "აფხაზეთი გვიხმობს" უწოდეს). ამ სათაურში ჩავაქსოვე ის მოწოდება, რომ ჩვენი მიწა-წყლის დასაბრუნებლად ერთმანეთს ზარით უნდა მოვუხმოთ. ნაწარმოები იმ ხალხს მივუძღვენი, ვინც აფხაზეთის ომს შეეწირა".

**თამარ სალუქვაძე:** "არ მეგულება ქართველი, ვისაც აფხაზეთის საკითხი არ აწუხებდეს. ასე ვარ მეც. ამიტომ ჩემს ნაწარმოებში მთელი ის სევდა ჩავაქსოვე, რომელიც მრავალი წელია გვაწუხებს ქართველებსაც და აფხაზებსაც. ჩემი ნაწარმოები ომში დაღუპულებს და მათ ხსოვნას მივუძღვენი. ჩემთვის, როგორც დამწყები კომპოზიტორისთვის, დიდი პატივია ისიც, რომ რუსუდან სებისკვერაძესთან და ჯუმბერ ჯანდიერთან ერთად გავიმარჯვე".

კონკურსის პირობების თანახმად, მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. კულტურის მინისტრის მოადგილის თამარ ქვარიანის განცხადებით, მონაწილეობა აფხაზეთში მცხოვრებ კომპოზიტორებსაც შესთავაზეს, თუმცა მათ უარი განაცხადეს. ქვარიანი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალ წელს კონკურსი სწორედ აფხაზეთში ჩატარდება და იქ შევხვდებით ერთმანეთს.





### 3-4 ივნისი

**თეატრი**

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
**შაბათი**
ქორეოგრაფიული სასწავლების საღამო
დასაწყისი: 19.00

**რუსთაველის თეატრი**
**შაბათი**
დავით კლდიაშვილი. "დარისპანის გასაჭირი"
რეჟისორი რობერტ სტურუა
**კვირა**
მედეა ჩახავას იუბილე და
ვარსკვლავის გახსნა
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
**შაბათი**
ნინო ბასილია. "თაგვი"
რეჟსიორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი (ვაკეში)**
**კვირა**
ანტონ ჩეხოვი. "დათვი"
რეჟსიორი რამაზ ზურაბაშვილი
დასაწყისი: 18.00

**თავისუფალი თეატრი**
**შაბათი**
"კომედიანტები"
**კვირა**
"ძმები"
რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**გალერეა**

**"კოპალა"**
თანალედროვე ქართველ მხატვართა
ნამუშევრები

**"ვერნისაჟი"**
თანალედროვე ქართველ მხატვართა
ნამუშევრები

**"ჰობი"**
ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი
მიძღვნილი გამოფენა

**ცირკი**

**შაბათი-კვირა**
ცირკი წყალზე
მოსკოვის ცირკის მსახიობთა წარმოდგენა
დასაწყისი: 12.00; 15.00
ბილეთის ფასი: 4-8 ლარი

**კლუბები**

**შაბათი**

**SWITCH.** DJs: SAN, SANDER

**2 SIDE**
Ericsson, Lado, Gio Bakanidze

**NIGHT OFFICE**
HOFMAN PROMOTIONS pres:
DJs: Ciga / Paul Arnold / Friendly / Mix'O

# რუსთაველის თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი მიმდინარე თეატრალურ სეზონს ტრადიციულად პრემიერით დახურავს.

წარმოდგენილი იქნება დრამატურგ ირაკლი სამსონაძის პიესა "ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი". სპექტაკლის რეჟისორები არიან რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე, მხატვარი - მირიან შველიძე.

თეატრის დასის ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად სპექტაკლში იამზე სუხიტაშვილი, დათო უფლისაშვილი და ზაზა პაპუაშვილი მონაწილეობენ.

მსუბუქი კომედიური ჟანრის ორმოქმედებიანი სპექტაკლი ყოველდღიურ ყოფით პრობლემებს ასახავს. თბილისელ ლიტერატორს - გურამს, ცოლად არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ახალგაზრდა ქალი (მაია) მოჰყავს. მათი ქორწინება კრახით მთავრდება, რასაც ხელს უწყობს ყველა მოქმედი პირი - მაიას დედ-მამა, გურამის ყოფილი საყვარელი, მეზობელი ნოშრევანი და ის ყოფა, რომელიც ტრადიციების მოყვარული გურამისთვის მიუღებელია.

*ინტერპრესნიუსი*

# ექსპონანტებს განადგურება ელით

"ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი" ავარიულ მდგომარეობაშია და სასწრაფო რემონტს საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მუზეუმის ისტორიულ შენობასა და მასში დაცულ უნიკალურ ექსპონატებს განადგურება ელით. ამის შესახებ მუზეუმის დირექტორმა რევაზ კოტრიკაძემ განაცხადა.

მუზეუმის შენობა ბაგრატოვანთა ყოფილი სახლია. დღეს აქ 6 ათასამდე უნიკალური ექსპონატი ინახება. მათ შორისაა ლიტერატურა, ფირფიტები და ნოტები. ფონდსაცავში კი 600 საკრავი ინსტრუმენტია განთავსებული. მათგან ყველაზე უძველესი მცხეთაში აღმოჩენილი, გედის ძვლისგან დამზადებული XV საუკუნის ძვლის სალამურის ასლია. მისი დედანი ოქროს ფონდში ინახება.

"ექსპონატების უსაფრთხოებისთვის აუცილებელია ტემპერატურის რეჟიმისა და ტენიანობის თანაფარდობა, რაც ჩვენს მუზეუმში დარღვეულია. თუ ასე გაგრძელდა, მუზეუმში დაცული ნივთები განადგურდება, რადგან ნესტი საკრავებს "აყრუებს". სამუზეუმო ნივთების ასეთ მდგომარეობაში ყოფნა დანაშაულის ტოლფასია. ქართული ფოლკლორი კულტურის გადამრჩენია. მსოფლიო გვიცნობს ამით" - განაცხადა კოტრიკაძემ. მუზეუმი მექანიკური მუსიკალური საკრავების კოლექციის ბაზაზე 1975 წელს არკადი რევაზიშვილმა დააარსა.

*ჯი-ეიჩ-ენი*


**განცხადება მარნეულის რაიონში ჩატარებული ტენდერის შესახებ**

ქ. მარნეული 18 მაისი 2006 წ.

მარნეულის რაიონული გამგეობის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში მარნეულის რაიონის სარაიონთაშორისო გზების დაგვა-დასუფთავების (გზების დაგვა და მონახვეტის გადაყრა ნაგავსაყრელზე) მომსახურების გაწევის შესახებ, სადაც დასასუფთავებელი ფართობი შეადგენდა 1 117 600 კვ მ, ყოველდღე.

მარნეულის რაიონულმა გამგეობამ გამარჯვებულად გამოავლინა შპს "მარნეულის კომუნალური მეურნეობა".

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი ქვემო ალაზნისა და ტაშისკარის საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი N3542-GE

პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068

IFB N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ქვემო ალაზნის ორი უბნისა (2304 ჰა და 2763 ჰა) და ტაშისკარის საირიგაციო სისტემების ერთი უბნის (2155 ჰა) რეაბილიტაციის NPCC/IDCDP/CW/ICB/15-2006 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში. სარეაბილიტაციო ფართობი (III უბანი -- 2304 ჰა და IV უბანი - 2763 ჰა) მდებარეობს თელავისა და გურჯაანის რაიონებში, თბილისიდან აღმოსავლეთით 110-150 კმ-ში. ობიექტთან მისვლა ხდება თბილისი-თელავის გზატკეცილიდან.

ტაშისკარის საირიგაციო სისტემა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის რეგიონში, მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე თბილისიდან 100-110 კმ-ში. სარეაბილიტაციო ფართობი (2155 ჰა) მდებარეობს ქარელის რაიონში. ობიექტთან მისვლა ხდება თბილისი-ბათუმის გზატკეცილიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები სამ ლოტად დალუქულ კონვერტებში, ქვემო ალაზნის (კონტრაქტი N1 და N2) და ტაშისკარის (კონტრაქტი N3) საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციისათვის შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

ლოტი 1: კონტრაქტი N1 - ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია (2304 ჰა), III უბანი (კონტრაქტი N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006/01).

სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს მაგისტრალური არხისა და მეორე რიგის გამანაწილებლების (83,4 კმ) აღდგენას 2304 ჰა ფართობზე:
- ღია არხები -- 4,15 კმ;
- დახურული მილსადენების ქსელი -- 79,25 კმ.
- არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეკეთებასა და ახლების მშენებლობას:
- წყალამღებები მაგისტრალურ არხზე -- 23 ცალი;
- წყალგამშვებები მეორე რიგის გამანაწილებლებზე -- 31 ცალი;
- ჰიდრანტები მილსადენების ქსელზე -- 710 ცალი;
- მილხიდები -- 6 ცალი;
- წყალსაგდებები და დამცლელი ჭები -- 100 ცალი.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:
- მიწის სამუშაოები (თხრილი და ყრილი) --95 100 მ³;
- მონოლითური ბეტონისა და ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაგებობები - 1485 მ³;
- ლითონკონსტრუქციები და მოწყობილობები (ფარები, ურდულები) - 337,4 ტ;
- ფოლადის მილსადენების მონტაჟი (D=114-630 მმ )- 20,6 კმ;
- არხის ტრასის გაწმენდა მცენარეებისაგან - 23,1 ჰა.

ლოტი 2: კონტრაქტი N2 - ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია (2763 ჰა), IV უბანი (კონტრაქტი N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006/02).

სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს მაგისტრალურ არხზე 39.84 კმ უბნის წმენდასა და 26 წყალამღების რეაბილიტაციას და მეორე რიგის გამანაწილებლების (67,5 კმ) აღდგენას 2763 ჰა ფართობზე:
- ღია არხები -- 30,48 კმ;
- დახურული მილსადენების ქსელი -- 37,02 კმ;
- არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეკეთებასა და ახლების მშენებლობას:
- წყალამღებები მაგისტრალურ არხზე -- 26 ცალი;
- წყალგამშვებები მეორე რიგის გამანაწილებლებზე -- 151 ცალი;
- ჰიდრანტები მილსადენების ქსელზე -- 211 ცალი;
- მილხიდები -- 44 ცალი;
- წყალსაგდებები და დამცლელი ჭები -- 74 ცალი.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:
- მიწის სამუშაოები (თხრილი და ყრილი) --813 500 მ3;
- ზედაპირის მოშანდაკება -- 212 000 მ2;
- ხრეშოვანი მომზადება -- 2925 მ³;
- მონოლითური ბეტონისა და ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაგებობები - 4158 მ3;
- ლითონკონსტრუქციები და არმატურა - 24,2 ტ;
- ფოლადის მილსადენების მონტაჟი - 907 ტ;
- ჰიდრომექანიკური მოწყობილობა (ფარები, ურდულები) - 110,7 ჰა.

ლოტი 3: კონტრაქტი N3 - ტაშისკარის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია (2155 ჰა), IV უბანი (კონტრაქტი N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006/03).

სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს ტაშისაკარის მაგისტრალური არხის 13,76 კმ-იანი მონაკვეთის და მეორე რიგის გამანაწილებლების (48,26კმ) აღდგენას:
- მიწის არხები -- 31,56 კმ;
- ბეტონის არხები -- 15,64 კმ;
- ასაწყობი ღარები -- 0,69 კმ;
- დახურული მილსადენების ქსელი -- 0,37 კმ;
- არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეკეთებასა და ახლების მშენებლობას:
- წყალამღებები მაგისტრალურ არხზე -- 93 ცალი;
- გადამღობი ნაგებობები მაგისტრალურ არხზე და მეორე რიგის გამანაწილებლებზე -- 331 ცალი;
- წყალგამშვებები მეორე რიგის გამანაწილებლებზე -- 317 ცალი;
- მილხიდები -- 118 ცალი;
- ხიდები და ღვარსაშვებები -- 48 ცალი;
- წყალმზომი ნაგებობები მაგისტრალურ არხზე -- 21 ცალი.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:
- მიწის სამუშაოები (თხრილი და ყრილი) --121 000 მ3;
- ბეტონის ძველი ნაგებობების დანგრევა - 1 257 მ³;
- ხრეშოვანი მომზადება - - 1040 მ³;
- ასაწყობი რკინაბეტონისა და მონოლითური ბეტონის ნაგებობები - 7725 მ³;
- არმატურის ღეროები და ბადეები - 42,8 ტ;
- ფოლადის მილსადენების მონტაჟი -- 271,1 ტ;
- ლითონკონსტრუქციები და ჰიდრომექანიკური მოწყობილობები (ფარები, ურდულები) - 57,3 ტ.

კონკურსის მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება ერთ ლოტზე ან ლოტების კომბინაციაზე ან სამივე ლოტზე ერთად. საკონკურსო წინადადება თითოეული ლოტისათვის უნდა იყოს სრული. არასრული წინადადებები უარყოფილი იქნება. საკონკურსო წინადადებების შეფასდება ცალკ-ცალკე თითოეული ლოტისათვის.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე. დამატებითი განმარტებების მისაღებად დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის ჩატარდება წინასაკონკურსო შეხვედრა ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 26 ივნისის 11 საათზე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ინგლისურ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 90 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ კონტრაქტი N1-სათვის, 290 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ კონტრაქტი N2-სათვის, 330 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ კონტრაქტი N3-სათვის, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანაგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, EURO/USD ანგარიშის ნომერია 115086086, მიმღები ბანკი - "თიბისი ბანკი", თბილისი, საქართველო, SWIFT: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი - 9499096, შუამავალი ბანკი - BANKER TRUST COMPANY, New York, SWIFT: DREUTDEFF.

თუ კონკურსის მონაწილე, რომელმაც წარმოადგინა ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე წინადადება ერთზე მეტ კონტრაქტზე, აკმაყოფილებს ორი ან სამი კონტარქტის კომბინირებული შეფასების კრიტერიუმებს, მოცემულს საკონკურსო მონაცემების N9, 10 და 11 პუნქტებში, მას მიენიჭება ყველა კონტრაქტი. თუ კონკურსის მონაწილე, რომელმაც წარმოადგინა ყველაზე დაბალი შეფასებული ფასის მქონე წინადადება ორ ან სამივე კონტრაქტზე ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კომბინირებული შეფასების კრიტერიუმებს, მას დამკვეთის შეხედულებისამებრ მიენიჭება სამიდან ერთი ან ორი კონტრაქტი ეკონომიურად ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტის საფუძველზე.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია კონტრაქტი N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006/01 - სათვის, 170 000 (ას სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია კონტრაქტი N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006/02 - სათვის, 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია კონტრაქტი N PCC/IDCDP/CW/ICB/15-2006/03 - თვის, და მიტანილი უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 2006 წლის 14 ივლისის 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი კონტრაქტორები უფლებამოსილნი არიან მიიღონ პრეფერენციული შეღავათი 7,5 პროცენტის ოდენობით საკონკურსო წინადადებების შეფასებისას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული

საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224

ტელ: +995 32 989924 / 935169

ფაქსი: +995 32 989924 / 934921

ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**საკონტეინერო ტერმინალის მოწყობის მიზნით, შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "სადგური თბილისი-სატვირთოს" საკონტეინერო მოედნის (19305 კვ.მ. მიწის ფართი და მასზე განლაგებული ტექნიკური საშუალებები) დროებით სარგებლობაში იჯარით გაცემის თაობაზე**

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

**- საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი -** ქ. თბილისი, ვანის ქ. N1.

**- საკონტეინერო მოედნის იჯარით გასაცემი ფართი - 19305** კვ/მ.

**- საკონტეინერო მოედნის დახასიათება - საშუალო ტონაჟიანი საკონტეინერო მოედანი აშენებულია 1954 წელს, ფართი 5770 კვ.მ, იჯარით გაიცემა მთლიანად.; მძიმეწონიანი საკონტეინერო მოედანი, აშენებულია 1999 წელს, ფართი 13535 კვ.მ, იჯარით გაიცემა მთლიანად.**

**- საკონტეინერო მოედანზე განლაგებული იჯარით გასაცემი ტექნიკური საშუალებები და მათი დახასიათება - ხ/ა კკ-სწ 1983 (აშენებულია 1986 წელს); ხ/ა კს-5042 338/1624 (აშენებულია 1988 წელის; ხ/ა კკ-20 N41 (აშენებულია 1984 წელს); სპრედერი სპ. 40ტ. N0015 (აშენებულია 1999 წელს); სპრედერი სპ. 20ტ. (აშენებულია 1989 წელს); ავტოჩასაბმელი მოწყობილობა (აშენებულია 1992 წელს);**

**- საწყისი წლიური საიჯარო ქირა 400 000** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.

**- "ბე" 50 000** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**- იჯარის ვადა -** 10 წელი.

**- განაცხადების მიღების ადგილი-**ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ: 56-33-48; 56-53-18.

**- განაცხადების მიღების ვადა -** კონკურსის ჩატარების თარიღამდე 45 კალენდარული დღე, 2006 წლის 3 ივნისიდან 2006 წლის 17 ივლისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო -** 2006 წლის "-----" "-----------", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები -** სს "გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალი N3, ანგარიშსწორების ანგარიში N5553407, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ საწარმოებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს საბაჟო ტერმინალის (საწყობის) საქმიანობის განხორციელება.

- კონკურსი ტარდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 19 ნოემბრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების" მოთხოვნათა შესაბამისად.

*2. კონკურსის პირობები*

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა მოხდება საანგარიშო თვის დასაწყისში თანაბარწილად.

- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების დადებიდან 4 თვის ვადაში იჯარით აღებულ ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლქვემდებარე ტვირთების გადამუშავებისათვის საჭირო საბაჟო საკონტეინერო ტერმინალის მოწყობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს არანაკლებ იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე.

- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს საბაჟო საკონტეინერო ტერმინალის გამოყენებით შპს "საქართველოს რკინიგზით" "სადგური თბილისი-სატვირთოს" დანიშნულებით ან ამ სადგურიდან იჯარის პირველი წლის განმავლობაში ჯამში არანაკლებ 10 000 ოც ფუტიანი დატვირთული კონტეინერის გადაზიდვა, ხოლო მომდევნო 9 წლის განმავლობაში არანაკლებ 20 000 ოც ფუტიანი დატვირთული კონტეინერის გადაზიდვა ყოველწლიურად. ამასთან თუ გადაზიდვა განხორციელდება 40 ფუტიანი კონტეინერებით, მაშინ ერთი 40 ფუტიანი კონტეინერი ექვივალენტურია ორი 20 ფუტიანი კონტეინერისა.

- მოიჯარემ საკონტეინერო მომსახურების პუნქტში, იჯარით გაცემულ ობიექტზე უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი კლიენტის მომსახურება შემდეგი ტარიფებით: 20 ფუტიანი კონტეინერის მიღება, სარკინიგზო შემადგენლობიდან ტერმინალში გადმოტვირთვა, დამუშავება, შენახვა (3 დღის ვადით) და ცარიელი კონტეინერის სარკინიგზო შემადგენლობაზე დატვირთვა - არაუმეტეს 70 ა.შშ. დოლარის ექვივალენტი თანხისა ლარებში, 40 ფუტიანი კონტეინერის მიღება, სარკინიგზო შემადგენლობიდან ტერმინალში გადმოტვირთვა, დამუშავება, შენახვა (3 დღის ვადით) და ცარიელი კონტეინერის სარკინიგზო შემადგენლობაზე დატვირთვა - არაუმეტეს 90 ა.შშ. დოლარის ექვივალენტი თანხისა ლარებში, ხოლო 3 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ყოველი მომდევნო დღე: 20 ფუტიანი კონტეინერის შენახვა არაუმეტეს 2 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში, 40 ფუტიანი კონტეინერის შენახვა არაუმეტეს 4 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში.

- მომსახურების ზემოაღნიშნულ მაქსიმალურ ტარიფებში ცვლილების შეტანა მოიჯარეს შეუძლია მხოლოდ შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ამასთან მოცულობითი, პირობითი ან სხვა სახის ფასდაკლების განხორციელების შემთხვევაში თანაბრად განავრცოს ყოველ კლიენტთან გამონაკლისის გარეშე.

- მოიჯარე იხდის მიწის, კომუნალურ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადებს, აგრეთვე უზრუნველყობს საიჯარო ქონების დაცვასა და დაზღვევას იჯარის ვადის განმავლობაში.

5. დაინტერესებულ, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო სამმართველოს უფროსის მოადგილესთან ბ-ნ გია დიასამიძესთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები მოიცავს: სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს 9.010.000 ლარს; დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

7. სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის შეძენა ინგლისურ ან ქართულ ენაზე დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის შესაძლებელია ქვემოთმითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. საავტომობილო გზების დეპარტამენტი
საიდენტიფიკაციო კოდი: **302003000**
სალარე ანგარიში: 200122900
სავალუტო ანგარიში: 001189362
მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი: **220101107**
გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი.

სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ პრეტენდენტებს მათი ხარჯებით.

8. სატენდერო დოკუმენტები უნდა მოწოდებული იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 19 ივლისის დღის 12 საათისა. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენტენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას 2006 წლის 19 ივლისს, დღის 12 საათზე.

9 ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების არანაკლებ 2%-ის ოდენობით.

10. ზემოთ მითითებული მისამართი შემდეგია:
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (მე-13 სართული)
სამმართველოს უფროსის მოადგილე გია დიასამიძე
29ა, გაგარინის ქუჩა, თბილისი, საქართველო, 0160
ტელ: (995 32) 37-65-06 ext.444
ფაქსი: (995 32) 31-30-34
ელ-ფოსტა: roadep@caucasus.net
Shalva-Matatashvili@yahoo.com

# Invitation for Bids

## (IFB)

Georgia
Secondary and Local Roads Project
Credit Number 3938-GE
Rehabilitation Works for the Secondary Road
Rehabilitation of the road Sh19
Cholaburi bridge - Terjola - Tkibuli
0 Km to Km 29 (29km)

ICB Number: SLRP/CW/ICB-10

1. This Invitation for Bidding follows the General Procurement Notice for this Project that appeared in Development Business Online and DgMarket on 7 October 2004.

2. Georgia has received a credit from the International Development Association toward the cost of Secondary and Local Roads Project, and intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract No SLRP/CW/ICB-10 for Rehabilitation Works in the Georgia.

3. The Roads Department of the Ministry of Economical Development of Georgia (RDMED) now invites sealed bids from eligible and qualified bidders for preparatory and earth works, rehabilitation of road pavement, structures, junctions and road furniture on the Secondary Road Cholaburi bridge - Terjola - Tkibuli The delivery/construction period is 15 months.

4. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the World Bank's Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits (May 2004 edition), and is open to all bidders from Eligible Source Countries as defined in the Bidding Documents.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Mr.G. Diasamidze Head, deputy head of Tender Directorate, RDMED, and inspect the Bidding Documents at the address given below from 10:00AM to 17:00PM.

6. Qualifications requirements include: An average annual financial amount of construction work over the last five years shall be of 9.010.000 Georgian Lari (At Least); documentary proof that bidder is not involved in any litigation in respect of its bankruptcy, readjustment or liquidation..

7. A complete set of Bidding Documents in English or Georgian languages may be purchased by interested bidders on the submission of a written Application to the address below and upon payment of a non refundable fee 200 Georgian Lari or its equivalent in USD. The method of payment will be direct deposit to account number:

Beneficiary: Treasury of the Ministry of Finances of Georgia. Roads Department
Identification Code:302003000
Account in Georgian Lari: 200122900
Account in international currencies:001189362
Recipient Bank: National Bank of Georgia
Code: 220 101 107
Purpose of transfer: Tender fee.

The Bidding Documents will be sent by courier mail on the expense of bidder.

8. Bids must be delivered to the address below at or before 12:00 on Wednesday, 19 July, 2006. Electronic bidding shall not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened physically in the presence of the bidders' representatives who choose to attend in person at the address below at 12:00 on Wednesday, 19 July, 2006.

9 All bids shall be accompanied by a Bid Security of 2(two) percent of the total price of the bid in Lari

10. The address referred to above is:
RDMED
Office of Tender Directorate (XIIIth floor, room 13)
G. Diasamidze , Head, Tender Vice Directorate
29a, Gagarin Street, Tbilisi, Georgia, 0160
Tel: (995 32) 37-65-06 ext.444
Fax: (995 32) 31-30-34
E-mail: roadep@caucasus.net
Shalva_Matatashvili@yahoo.com

# სატენდერო მოწვევა

**საქართველო**
**შიდასახელმწიფო და ადგილობრივი გზების პროექტი**
**კრედიტის ნომერი 39380-GE**
**სარეაბილიტაციო სამუშაოები**
**ზუგდიდი-ანაკლია**
**შიდასახელმწიფო გზის მონაკვეთზე K1კმ-35კმ (34კმ)**
**სატენდერო მოწვევის ნომერი: SLRP/CW/ICB-10**

1. წინამდებარე სატენდერო მოწვევა მოსდევს ზოგად შეტყობინებას შესყიდვების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა "დეველოპმენტ ბიზნესის" ინტერნეტ გამოცემაში და "დიჯი მარკეტში" 2004 წლის 7 ოქტომბერს.

2. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან შიდასახელმწიფო და ადგილობრივი გზების პროექტის ხარჯების დასაფარავად და განზრახული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოსშიდასახელმწიფო გზის ზუგდიდი-ანაკლია 1კმ-35კმ (34კმ) განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტის ასანაზღაურებლად.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე და კვალიფიცირებული პრეტენდენტებიდან, მოსამზადებელი და მიწის სამუშაოების, გზის საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების და გადაკვეთების, გზის კუთვნილების და მოწყობილობის აღდგენა-განახლების სამუშაოების შესასრულებლად შიდასახელმწიფო გზის ზუგდიდი-ანაკლია 1კმ-35კმ (34კმ) მონაკვეტზე. სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადაა 15 თვე.

4. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: შესყიდვები განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით, და ღიაა ყველა პრეტენდენტისათვის იმ ქვეყნებიდან რომლებსაც სატენდერო დოკუმენტები განსაზღვრავს, როგორც უფლებამოსილს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

5. დაინტერესებულ, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო სამმართველოს უფროსის მოადგილესთან ბ-ნ გია დიასამიძესთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები მოიცავს: სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს 6.080.000 ლარს; დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

7. სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის შეძენა ინგლისურ ან ქართულ ენაზე დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის შესაძლებელია ქვემოთმითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. საავტომობილო გზების დეპარტამენტი
საიდენტიფიკაციო კოდი: **302003000**
სალარე ანგარიში: 200122900
სავალუტო ანგარიში: 001189362
მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
კოდი: **220101107**
გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი.

სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ პრეტენდენტებს მათი ხარჯებით.

8. სატენდერო დოკუმენტები უნდა მოწოდებული იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 19 ივლისის დღის 12 საათისა. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენტენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას 2006 წლის 19 ივლისს, დღის 12 საათზე.

9 ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების არანაკლებ 2%-ის ოდენობით.

10. ზემოთ მითითებული მისამართი შემდეგია:
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (მე-13 სართული)
სამმართველოს უფროსის მოადგილე გია დიასამიძე
29ა, გაგარინის ქუჩა, თბილისი, საქართველო, 0160
ტელ: (995 32) 37-65-06 ext.444
ფაქსი: (995 32) 31-30-34
ელ-ფოსტა: r
Shalva-Matatashvili@yahoo.com

# Invitation for Bids

## (IFB)

**Georgia**
**Secondary and Local Roads Project**
**Credit Number 3938-GE**
**Rehabilitation Works for the Secondary Road**
**Rehabilitation of the road Sh8 Zugdidi to Anaklia**
**1 Km to Km 35 (34km)**

ICB Number: SLRP/CW/ICB-09

1. This Invitation for Bidding follows the General Procurement Notice for this Project that appeared in Development Business Online and DgMarket on 7 October 2004.

2. Georgia has received a credit from the International Development Association toward the cost of Secondary and Local Roads Project, and intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract No SLRP/CW/ICB-09 for Rehabilitation Works in Georgia.

3. The Roads Department of the Ministry of Economical Development of Georgia (RDMED) now invites sealed bids from eligible and qualified bidders for preparatory and earth works, rehabilitation of road pavement, structures, junctions and road furniture on the Secondary Road Zugdidi to Anaklia The delivery/construction period is 15 months.

4. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the World Bank's Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits (May 2004 edition), and is open to all bidders from Eligible Source Countries as defined in the Bidding Documents.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Mr.G. Diasamidze Head, deputy head of Tender Directorate, RDMED, and inspect the Bidding Documents at the address given below from 10:00AM to 17:00PM.

6. Qualifications requirements include: An average annual financial amount of construction work over the last five years shall be of 6.080.000 Georgian Lari (At Least); documentary proof that bidder is not involved in any litigation in respect of its bankruptcy, readjustment or liquidation.

7. A complete set of Bidding Documents in English or Georgian languages may be purchased by interested bidders on the submission of a written Application to the address below and upon payment of a non refundable fee 200 Georgian Lari or its equivalent in USD. The method of payment will be direct deposit to account number:

Beneficiary: Treasury of the Ministry of Finances of Georgia. Roads Department
Identification Code:302003000
Account in Georgian Lari: 200122900
Account in international currencies:001189362
Recipient Bank: National Bank of Georgia
Code: 220 101 107
Purpose of transfer: Tender fee.

The Bidding Documents will be sent by courier mail on the expense of bidder.

8. Bids must be delivered to the address below at or before 12:00 on Wednesday, 19 July, 2006. Electronic bidding shall not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened physically in the presence of the bidders' representatives who choose to attend in person at the address below at 12:00 on Wednesday, 19 July, 2006.

9 All bids shall be accompanied by a Bid Security of 2(two) percent of the total price of the bid in Lari

10. The address referred to above is:
RDMED
Office of Tender Directorate (XIIIth floor, room 13)
G. Diasamidze , Head, Tender Vice Directorate
29a, Gagarin Street, Tbilisi, Georgia, 0160
Tel: (995 32) 37-65-06 ext.444
Fax: (995 32) 31-30-34
E-mail: roadep@caucasus.net
Shalva_Matatashvili@yahoo.com

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ლაგოდეხის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახური და შპს "მუნიციპალპროექტი" აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ქ. ლაგოდეხის მდ. შრომის ხევის წყალსადენის სათავე ნაგებობების რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 7 თვე ხელშეკრულების გაფორმებიდან.
3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება, საკვალიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური და საფინანსო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად დალუქულ კონვერტებში 2006 წლის 23 ივნისის 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი №2, ოთახი 404. საკონტაქტო ტელეფონებია - 33-21-01, 899 50-50-82 ნუგზარ არდაზიშვილი, 899 45-12-65 ალექსანდრე სანაძე.
ტენდერი ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი 0179, რადიანის ქ. №12.
პროექტის დამფინანსებელია შვეიცარიის რეგიონული განვითარებისა და თანამშრომლობის სამხრეთ კავკასიის ოფისი (s.d.c.).
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პირის საქმიანობის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, აგრეთვე გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის პროცესის არარსებობის შესახებ.
4.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმიანობა.
4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით);
ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).
5. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ არდაზიშვილი ტ. 33-21-01, 899 50-50-82. მისამართზე: ქ. თბილისი, 0171, 26 მაისის მოედანი №2, ოთახი 404.

**სატენდერო კომისია**

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №7
3-4 ივნისი, 2006



მახლას! 7

**გულახდილად**
საბედისწერო
შეცდომებს
არ იმეორებენ



4

**ბუზღუნა**
უშველეთ
სასწრაფოს!



6

**შვიდნახადი**
თეთრი
აჩრდილი 6

**დროთა კავშირი**
ანბანი
და პოლიტიკა 10

**საკითხავი**
უჩინარი
ქალაქები



12

**სტილი**
ზაფხული
ჩვენს
ეზოში



15

## “ბარბაროსები“ ღვინის ქვეყანაში




2-3

# “ბარბაროსები” ღვინის ქვეყანაში



მარი ჭავახიშვილი

დარწმუნებული ვარ, თბილისის ქუჩებში ნებისმიერ გამვლელს რომ ჰკითხოთ, 4 ივნისს “ლოკომოტივის” სტადიონზე რა მატჩი შედგება, უკლებლივ ყველა - კაცი თუ ქალი, ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა, ფეხბურთისა თუ კალათბურთის, მით უმეტეს რაგბის მოყვარული დაუფიქრებლად გიპასუხებთ, რომ ღვინის ქვეყანაში ბარბაროსები მოდიან.

თბილისს ბარბაროსთა შემადგენლობა გუშინ გამთენიისას დაგვიანებით ეწვია. პარადოქსია, მაგრამ ამჯერად სტუმართა დაგვიანების მიზეზი მათივე არაპუნქტუალურობა გახდა - პირველ რეისზე ნაკრების რამდენიმე მოთამაშეს... ჩაეძინა.

თითქმის 5 საათიანი მგზავრობითა და თბილისური სიცხით გათანგულები “ქორთიარდ მარიოტში” დაბინავდნენ. საუზმეზე, რომელიც მსუბუქი რაციონისგან შედგებოდა, ექსპრომტად ქართული ღვინოც დააჭაშნიკეს. მერე კი მას-მედიისთ-



გუნდის პრეზიდენტი მიკ სთილ-ბოჭერი





ქართული სასმელი “ბარბაროსებთან” ერთად




მარიკა ბუხრიძის ფოტოები






ვის საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციამდე, ბოტანიკურ ბაღში განრიგით დაგეგმილი თავისუფალი დროის გატარება გადადეს და ამას ისევ ძილი და დასვენება ამჯობინეს.

თუმცა, არ დაგვზარდნენ და საუზმის შემდეგ პირველი შთაბეჭდილება გაგვიზიარეს: "ჩვენთვის დიდი პატივია საქართველოში ყოფნა. მოხარულები ვართ, რომ მოგვეცა აქ ჩამოსვლის შესაძლებლობა. მანამდე თქვენი ღვინო არასოდეს გამისინჯავს, მაგრამ ვიცი, რომ რუსეთმა რაღაც შეზღუდვები დაგიწესათ. პირადად მე ამ წუთას დავრწმუნდი, რომ ქართული ღვინო ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ საუზმეზე მხოლოდ ნატურალურ წვენს გეახლებით ხოლმე, ტრადიცია დავარღვიე და სიამოვნებით დავაგემოვნე შავი ღვინო, ოღონდ, სამწუხაროდ სახელწოდება ჯერ ვერ დავიმახსოვრე", - განგვიცხადა "ბარბაროსთა" თავკაცმა ავსტრალიელმა პეტ ჰოვარდმა, რომელიც თავის დროზე ავსტრალიის ნაკრებისა და ზე 12-ის კლუბ "ბარმბზის" ყოფილი 12 ნომერი გახლდათ. პრემიერშიპის საუკეთესო მოთამაშეობას კი ახალგაზრდობაში ორჯერ გამოჰკრა ხელი.

თითქმის ნახევარდღიანი შესვენების შემდეგ, ექვსი საათისთვის მთელი გუნდი ისნის "შევარდენის" სტადიონისკენ სავარჯიშოდ გაემართა.

პირველი, რამაც "შევარდენზე" თავმოყრილი ჟურნალისტები გაგვაკვირვა - "ბარბაროსთა" შემადგენლობის აღნაგობა გახლდათ - უკლებლივ ყველა მათგანი საშუალოდ ალბათ, ას კილოს იწონის, საშუალო სიმაღლე 190-195 სანტიმეტრია და რაც ყველაზე მეტად იყო თვალშისაცემი - მათი რაღაც განსაკუთრებული სპორტული წყობა.

ვარჯიში მცირე მოთელვით დაიწყეს, თუმცა თანდათან მოუმატეს და შერკინებისა და აუტების დახვეწაზე გადავიდნენ. მოედნის ნებისმიერ უბანს სწრაფად ითვისებენ, ყველა მხრიდან უტევენ და რაც ყველაზე მთავარია, ტექნიკურად ზეგამართულები არიან. მოლედ, აშკარაა, რომ ნებისმიერი მეტოქისთვის საკმაოდ ანგარიშგასაწევი და ძალისმიერი გუნდია. ერთი სიტყვით, სტუმრებს ვერავინ შეატყობდა, რომ ვარჯიშზე "ნაბახუსევზე" მოვიდნენ - ჯერ იყო და, ნამგზავრებმა პირდაპირ აეროპორტში დააგემოვნეს კონიაკი, მერე კი თითქმის მთელი დღის მანძილზე "საფერავს" წრუპავდნენ.

მათი ვარჯიშის შემხედვარენი ბარბაროსთა ერთ-ერთმა ლიდერმა დაგვამშვიდა - ნუ ინაღვლებთ, "ბორჯღალოსნებთან" ძალიესმიერ და უხეშ თამაშს არ ვაპირებთ. თქვენს ბიჭებს არაფერს დავუშავებთ და თამაშს მაქსიმალურად კორექტულად წავრმართავთო.

დარჩება თუ არა ტონი მარშის დაპირება ლიტონ სიტყვებად, ამას 4 ივნისს, "ლოკომოტივის" სტადიონზე ვნახავთ. მაგრამ იმას წყალი არ გაუვა, რომ ნაღდი "ბარბაროსისთვის", პირველ რიგში, ჯენტლმენობა და სარაგბო ღირებულებების კაცურად დაცვაა უმთავრესი. "ბარბაროსთა" არსებობის საუკუნეზე მეტხნიანი ისტორიის მანძილზე, მათი მთავარი მიზანი ლამაზი, სანახაობრივი რაგბის დემონსტრირება და ქველმოქმედება გახლავთ.

"თამაშის მართლაც ჩვენებური სტილი გვაქვს - არ ვართ ორიენტირებული ქულების დაგროვებასა და შედეგზე. იშვიათად ვურტყამთ აუტებს, ჯარიმებს კი ზოგჯერ კარშიც არ ვურტყამთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი სანახაობა და ლამაზი რაგბია. მთავარი მიზანი კი ქველმოქმედებაა. ჩვენი არსებობის მანძილზე ვცდილობთ დავეხმაროთ რაგბის მატერიალურად გაჭირვებულ სხვადასხვა გუნდებს. გვინდა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მსოფლიო რაგბის განვითარებაში. პირველ რიგში ეს, რა თქმა უნდა, ბავშვთა რაგბს ეხება. სპორტის ეს სახეობა ხომ მოზარდის ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, მის გონებრივ, ინტელექტუალური არსენალის გამდიდრებასაც უწყობს ხელს. რაგბს მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტების, უხეში ჯანის მქონე კაცი ვერ ეწყობა. მასში ძალ-ღონე, საზრიანობა, მოხერხებულობა და რაც მთავარია, ვაჟკაცობა და კეთილშობილება ბუნებრივადაა ერთურთთან შერწყმული. ესაა რაგბის ძირითადი იდეა და ჩვენ მთელი ძალებით ვცდილობთ მის დანერგვას" - ეს უკვე გუნდის პრეზიდენტი მიკ სთილ-ბოჯერი გახლავთ.

გუნდი, რომელსაც არც საკუთარი მოედანი და არც შენობა აქვს, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული და ყველა ქვეყნის რაგბისტთა საპატიო სტუმარია. მათ მატჩებს უამრავი გულშემატკივარი ესწრება, მით უმეტეს, რომ სტადიონზე მისული ქომაგი ნამდვილი დღესასწაულის მომსწრე ხდება.

"სხვადასხვა ქვეყნებში სათამაშო მოედნის უქონლობის გამო ვმოგზაურობთ. საქართველოში ჩამოსვლა, პირველ რიგში, ბრიტანეთის საელჩოს რეკომენდაციით მოხდა. სწორედ იქ გვითხრეს, რომ ეს საოცრად კარგი, დიდი ისტორიებისა და ტრადიციების ქვეყანაა. მანამდე ქართველ რაგბისტებს არაერთხელ შევხვედრივართ საფრანგეთში და ვიცით თქვენი რაგბისტების შესაძლებლობები. გარდა ამისა, ინგლისს 17 წლამდელთა ნაკრები სტუმრობდა, მათი თამაში ვნახეთ და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს, რაც ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, გვინდა, რომ უკეთ გავეცნოთ თქვენს ქვეყანას და თუ შანსი მოგვეცემა, კიდევ უფრო ხშირად გესტუმროთ" - ისევ პეტ ჰოვარდი.

როგორც წესი, მსოფლიო ნაკრებში სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მოთამაშეა გაერთიანებული. მოთამაშეთა შერჩევის პრინციპი მარტივია - რაც უფრო მეტი ქვეყანა წარმოადგენს ნაკრებს, მით უფრო უკეთესი გამოდის თამაში.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბარბაროსთა მსოფლიო ნაკრები თბილისს წაგებულის მენტალიტეტით ესტუმრა - შოტლანდიელებს მერფილდში სარეკორდო ანგარიშით - 19:66 დანებდა. თუმცა, გუნდის ლიდერი ბობ სკინსტადი მარცხს არაფრად დაგიდევთ და რაგბის ქართველ ქომაგს მიმზიდველ თამაშს ჰპირდება: "შოტლანდიას ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდა და მართლაც სამარცხვინოდ წავაგეთ. მაგრამ თბილისში გპირდებით, რომ კარგ თამაშს გიჩვენებთ, მით უმეტეს, რომ ამინდიც ხელს გვიწყობს".

სტუმრები თბილისში ექვსი დღითა და ექვსი ღამით დაიდებენ ბინას. მანამ, სანამ "ლოკომოტივზე" შეპირებულ დიდ სანახაობას მოგვიწყობენ. თამაშამდე აქციაში, სახელწოდებით "ბარბაროსები ღვინის ქვეყანაში" ჩაებმებიან. რაგბის შემდგომ ეწვევიან მცხეთასა და კახეთს, სადაც კიდევ უკეთ ჩაწვდებიან ქართული სუფრის ტრადიციებსა და ღვინის ჭეშმარიტებას.

ერთი სამწუხარო ფაქტიც უნდა ვთქვათ - ხვალინდელ მატჩში ჩვენი "ბორჯღალოსნები" შესუსტებული შემადგენლობით წარსდგებიან. გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება. გუნდს თემურ სოხაძე, ირაკლი აბუსერიძე, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქიშვილი, კაპიტანი ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე და მახო ურჯუკაშვილი დააკლდებიან. ეს უკანასკნელი ტრავმის გამო საფრანგეთიდან საქართველოში საერთოდ ვერ ჩამოვიდა.

დაბოლოს, ხვალინდელ დღეს რაგბის ყველა ქართველ გულშემატკივარს სასიამოვნო სანახაობასა და ქართველი "ბორჯღალოსნების" გამარჯვებას ვუსურვებ.







# საბედისწერო შეცდომებს არ იმეორებენ

ამას წინათ ჩემი დამხმარე ქალი მოვიდა და მოყვა, რომ ჩემთან მომავალს, გზაში თანასოფლელი შეხვდა. შეხვედრით გახარებულები ერთმანეთს გამოლაპარაკებიან და გაირკვა, რომ თანასოფლელს ქალაქში შესანიშნავი "ბიზნესი" აუწყვია. საკუთარი და მეზობელი სოფლებიდან ხალხს აგროვებს და ოცდახუთი ლარის საფასურად გიორგაძისა და "ანტისოროსელების" მიტინგებზე მოჰყავს. "ბიზნესი" კი იმაში მდგომარეობს, რომ კაცზე ხუთი ლარი მისია. ერთი კვირის წინ ჩემი ექიმი მეგობარი ჩიოდა, რომ ერთ-ერთი ექთანი ყოველდღე სამსახურიდან გარბის და გიორგაძის მიტინგებში 20 ლარად მონაწილეობს. თურმე, ექთანი სხვების აყოლიებასაც ცდილობდა, ვინაიდან ყოველ მოყვანილ ადამიანზე საფასურიც იზრდება. თუ სამას კაცს შეაგროვებ, მაშინ, ამბობენ, საერთოდ ათასებს იხდიანო. ჩემი შვილის კურსელი მეგობრებს გამოუტყდა, რომ მისი უმცროსი ძმა (13-14 წლის), თურმე, გიორგაძის მიტინგებზე ოჯახისგან ჩუმად დადის და ამით საკუთარი ჯიბის ფულს შოულობს, კომპიუტერის ყიდვა უნდა.

ეს ამბავი, მგონია, სიახლე არავისთვის არის. სოროსის ფონდის წინ, გიორგაძის მიტინგების "ანაზღაურებადობის" შესახებ, ალბათ, ყველას მოგიკრავთ ყური. გაგონილის გაზიარებით არაფრის დამტკიცება არ მინდა. ამ შემთხვევაში, ყველაფერი დამტკიცებული და ნათელია. აბსოლუტურად განსხვავებული ასაკის, სოციალური ფენის, აპოლიტიკური ადამიანების მიერ მოყოლილი ერთი და იგივე ამბავი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ თუნდაც ძალიან კარგად დაფინანსებული გიორგაძის პარტია უსუსური და წინასწარ განწირულია. მისი მთლიანი ღირებულება კი 20 ლარს არ აღემატება. ამგვარი "დაფინანსებული" მიტინგების, მოძრაობების უბადრუკობაში საქართველოს უახლესმა ისტორიამ არაერთხელ დაგვარწმუნა. გიორგაძის მთელი მოძრაობა, მათი კოსტიუმირებული კლოუნადები, გაუგებარი წარმომავლობის დროშები და, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი, გაჭირვებაში "გამოცდილი" ლიდერები (არადა, თითოეულ მათგანზე საკმაოდ მრავალფეროვანი, საინტერესო, მაგრამ ამავე დროს ძალიან ტიპური ბიოგრაფიული წერილის დაწერა შეიძლება), უბრალოდ, თანაგრძნობის ღიმილსა და იგნორირებას გამოიწვევდა, უკიდურესი საზოგადოებრივი აღშფოთება რომ არა. აღშფოთება იმაზე, რასაც ელემენტარული თავხედობა ჰქვია.

ჩვენთვის არც იგორ გიორგაძე, არც ვინმე ჟორჟოლიანი, არც სარიშვილი და არც, მით უმეტეს, ნიკოლეიშვილი "მტრის ხატი" არ არის და ვერც იქნება. საკუთარ თავსაც არ ვაკადრებთ. ჩვენთვის "მტრის ხატი" ის უწყებაა, რომელიც ჩვენი ბაბუებისთვის, მამებისთვისაც "მტრის ხატი" იყო. უწყება, რომელსაც საუკუნის დასაწყისში ძერჟინსკის მეთაურობით ჩაეყარა საფუძველი; რომელმაც სისხლიანი, მილიონობით უდანაშაულო ადამიანების გვამებიანი გზით ათწლეულები იარა; რომელმაც ათასობით ქალი, ბავშვი, გლეხი, კულაკი, ოფიცერი, ექიმი, მეცნიერი, პოეტი, კომპოზიტორი, ინჟინერი და მათი ოჯახების წევრები სიცოცხლეს გამოასალმა; რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში განუმეორებელი სისასტიკითა და მხოლოდ მისთვის გასაგები "იდეით" დღემდე მოაღწია. ჩვენი "მტრის ხატი" ის უწყებაა, რომელმაც შეიძლება სახელწოდება, მაგრამ არა არსი, მეთოდები შეიცვალა და რომელსაც იგორ გიორგაძე დღესაც აქტიურად ემსახურება და მისი, აბსოლუტურად ტიპური სახეა. მთელი ქართული და არამარტო ქართული საზოგადოებისთვის "მტრის ხატი" ის მორალი, ცინიზმი, სიყალბეა, რომელიც ერთ ღამეში ათიათასობით სასულიერო პირის დამხვრეტი ორგანიზაციის მოსამსახურეს დღეს ეკლესიაში შესვლისა და პირჯვრის გადაწერის უფლებას აძლევს. ცინიზმია КГБ-ს თვალზე დანახული ცრემლიც, რომლის არავის სჯერა და რომელიც საკუთარი ცოდვებით უფრო უნდა იყოს გამოწვეული, ვიდრე სამშობლოს სიყვარულით, მონატრებით, ან მასზე ზრუნვით. ბოლშევიკებს, ჩეკისტებს, ენკავედეშნიკებს, კაგებეშნიკებს სამშობლო არასდროს ჰქონიათ და დღესაც არ აქვთ. იყო წლები, როდესაც ისინი ამას დიდი სიამაყითა ამტკიცებდნენ. საკუთარი ქვეყნის მიწა-წყალს განსაკუთრებული, საჩვენებელი ხელგაშლილობით გასცემდნენ, საუკეთესო, საამაყო თანამემამულეებს ხვრეტდნენ, მშობლიურ ენასაც კი უარყოფდნენ. დღეს დრო, საზოგადოება შეიცვალა და ახალ დროს ახალი, მორწმუნის, პატრიოტის, სენტიმენტალური მტირალას, ნოსტალგიით შეპყრობილის ნიღაბი დასჭირდა. მაგრამ არსებობს ქვეყნის ისტორია, რომელსაც, შეიძლება ძალიან უნდათ, მაგრამ ვერ ცვლიან; არსებობს საზოგადოების მეხსიერება, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, რომ შეეძლოთ, სიამოვნებით წაშლიდნენ; მილიონობით ადამიანის კეფაში ნასროლი მაუზერის ლულა ჯერ კიდევ ცხელია და ისევ წვავს, როგორც წარსულ 30-იან, 50-იან, ან, თუ გნებავთ, 80-90-იან წლებში. ჩვენთვის "მტრის ხატი" ის უწყებაა, რომლის შესახებ ყველას ყველაფერი გვახსოვს, ვიცით და ვერანაირი ცრემლებით შენიღბულ-სახეცვლილი ჩეკისტური თავხედობა შეცდომაში ვერავის შეიყვანს. არ არსებობს ისეთი თანხა, რომელიც საქართველოსადმი КГБ-ს, სხვადასხვა ჩინის გიორგაძეების მიერ მიყენებული ჭრილობის საფასურს უდრიდეს. არასდროს მოვა ის დრო, როდესაც ამ უწყებისადმი საზოგადოების ზიზღი შემცირდება, მისი პროპაგანდის მიმართ აღშფოთება განელდება. არსებობს კაცობრიობისადმი უპატიებელი დანაშაული და დამნაშავეები.



**P.S. КГБ** ათწლეულების განმავლობაში ზომბების არმიას ზრდიდა, რომლებსაც, აბა, დააკვირდით, თითქოს ერთი და იგივე მანერები, საუბარი, კდბ-ს სკოლაში ნასწავლი ერთნაირი ღარიბული, მაგრამ ვითომ გამართული რუსული, ერთნაირი უსამშობლობა, უძრაობა, მორალი, უფრო სწორად კი "ამორალურობა", ერთნაირი ცივი "სათნოება" და, რაც მთავარია, ერთნაირი თვალები აქვთ. თვალები, რომლებიც არაფერს გეუბნება, არაფერზე მეტყველებს. თვალები, რომლებიც გვინახავს, გვახსოვს, გვეზიზღება, გვაშინებს, გვაღშფოთებს. თვალები, რომელთა მსგავსი კაცობრიობამ პირველად ძერჟინსკის შეამჩნია და რატომღაც ვერ ამოიცნო. მაგრამ ხომ ნათქვამია, "შეცდომებზე სწავლობენო". ასეთ საბედისწერო შეცდომას საზოგადოება აღარ დაუშვებს. ჩვენ თავისუფლების გემო გავიგეთ.

# ჩემი შვილი მართალი ყოფილა!

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტ "ALMA MATER"-ის სატელევიზიო შემოქმედებითი სახელოსნოს, მისი ხელმძღვანელის თემურ ფაფერაშვილის შესახებ ჩემი უფროსი ქალიშვილისგან არაერთხელ მსმენია და მისი ხასიათის კრიტიკულობიდან გამომდინარე, შვილის აღფრთოვანებით-მადლიერ-პატივისცემითი შეფასებები, ტონი, უნდა გამოგიტყდეთ, მიკვირდა კიდეც. ამ თვეში ფაფერაშვილის მიწვევით სტუდიის წლიურ მუშაობასთან გაცნობის პერმანენტული საშუალება მომეცა. მაისის თვის თითქმის ყოველ შაბათ დღეს სტუდიაში მივდიოდი და სტუდენტების ჯერ თეორიულ, მერე პრაქტიკულ და ბოლოს კი შემაჯამებელ საუკეთესო ნამუშევრებს ვნახულობდი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი შვილის შეფასებების სიზუსტეში სრულიად დავრწმუნდი. ასეთი თეორიული ბაზით, შემოქმედებითი პროცესით, მათი ერთობლიობით, დღევანდელი ტელეარხების უმეტესობა ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. აშკარად გამოხატული ინდივიდუალიზმი, აზროვნება, მრავალმხრივი ხედვა, მკაფიო პოზიცია, ღირებულებები, კონცეფციის აუცილებლობა, სხვადასხვა სახის პროფესიონალური უნარები - შესანიშნავი მონტაჟი, მხატვრული ოპერატორული ნამუშევარი, გემოვნებიანი მუსიკალური რედაქტირება, საინტერესო რეჟისურა და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ჟინი, ენთუზიაზმი, ხალისი და, თუ გნებავთ, მაქსიმალიზმიც, სტუდიის აღსაზრდელების თითოეულ ნამუშევარს ახასიათებდა. კონტრასტებზე აგებული მძაფრი სოციალური პრობლემები, უსინათლო ბავშვების სკოლა, ქალთა ციხე, "მასკულტურა" და მისი გაორება, ღამის ან წელიწადის სხვადასხვა დროის თბილისის ჩანახატები, თვითკმაყოფილი, ნარცისიზმით შეპყრობილი პოლიტიკოსის ან შიო მღვიმელის სათნო, კეთილშობილი მოხუცი ქალიშვილის პორტრეტი, თურქეთში მცხოვრები ლაზი მომღერალი, თბილისის ქუჩების მათხოვრები, ღამის სატვირთო მატარებლის მძიმე რეალობა - ეს იმ თემების ნაწილია, რომლებიც "ALMA MATER"-ის თითოეულმა სტუდენტმა თავისებურად დაინახა, დაინტერესდა, გააანალიზა და მოგვაწოდა. მოკლე ტელესიუჟეტებიდან ზოგიერთი ცრემლს მოგრევს, ზოგიერთს ეთანხმები და ზოგს არა, ვიღაცას გაყვარებს, გაცნობს, ვიღაცაზე აზრი გეცვლება, ზოგი რამით ამაყობ, ზოგი - გტკივა, მაგრამ ყველა მათგანი იმ ნაფიქრით, ანალიზით არის გამსჭვალული, რომელიც დღეს ზოგადად დიდ დეფიციტს წარმოადგენს. სრულიად დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ სადიპლომო-საკურსო ნამუშევართა უმეტესობა ნებისმიერ წამყვან ტელეარხს დაამშვენებდა. მას უფრო საინტერესოს, ღრმას, მოაზროვნეს, ახალგაზრდულსა და შემოქმედებითს გახდიდა.



თემურ ფაფერაშვილის სატელევიზიო სახელოსნოს, მისი აღსაზრდელების ნამუშევრების მეშვეობით მე პირადად, რეალურად დავინახე, რომ აქ მიმდინარეობს სწორი, გემოვნებიანი, დახვეწილი შემოქმედებითი პროცესი, რომლის შედეგად ქართული ტელესივრცე, ადრე თუ გვიან, მართლაც რომ სანდო ხელში აღმოჩნდება.




# უშველეთ სასწრაფოს!

*ინტერვიუ თბილისის სასწრაფო სამედიცინო ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან, ბატონ* ***ლევან ტურძელაძესთან***

**- თქვენ სასწრაფოს პროფესიონალი ბრძანდებით. რა როლი უკავია თქვენს მძღოლს მძიმე ავადმყოფის გადარჩენაში?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, მისი შრომა მკურნალი ექიმის როლს უტოლდება. უბრალო მაგალითს მოგიყვანთ: ავადმყოფი მიოკარდის მწვავე ინფარქტით მიგვყავდა დიღომში - თერაპიის ინსტიტუტში. დიღმის ტრასაზე მოვხვდით საცობში და ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა. 35 წუთი მძღოლი გამოსავალს ეძებდა და რომ არა მისი ოსტატობა, ავადმყოფის მდგომარეობა ძალიან დამძიმდებოდა. ერთი პრობლემაა - ავადმყოფს სათანადო წამალი შეურჩიო, და მეორე - არანაკლებ მნიშვნელოვანი - მძიმე ავადმყოფის მიყვანა სტაციონალურ მკურნალობის ადგილზე...

**- ხშირად ჩივიან თქვენი მძღოლები? მათ ხომ ერთი მხრივ, უსაფრთხოდ უნდა იარონ, თანაც, დრო არ აძლევთ საშუალებას დიდხანს იფიქრონ, ანუ უნდა აირჩიონ უმოკლესი გზა, იცოდეს, რომელი ქუჩა არის დაზიანებული და ა.შ.**

- თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა დატვირთვა აქვს სასწრაფოს მძღოლს. პრობლემა ჩვენი სამსახურიდან გამოსვლისთანავე იწყება. ასფალტი ვეძისში არ ვარგა, ნუცუბიძის პირველ პლატოზე უარესია, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ეს ყველაფერი მოქმედებს როგორც მძღოლზე, ისე ავადმყოფზე, მაგრამ, ღმერთის წყალობით, გზაში ჯერ არც ერთი ავადმყოფი არ გარდაცვლილა.

**- ბევრ ქუჩაზე დაიგო ახალი ასფალტი, წელსაც დაგეგმილია ეს სამუშაოები. კიდევ რა შეფერხებებს ელოდებიან თქვენი პროფესიონალი მძღოლები?**

- ჩვენი მანქანის უსაფრთხო მოძრაობა დამოკიდებულია არამარტო ასფალტის საფარზე, არამედ სხვადასხვა ფაქტორზე. მაგალითად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანას არავინ უთმობს გზას. ამ პრობლემაზე განსაკუთრებულად მინდა შევჩერდე, იმიტომ, რომ ის ხალხი, რომელიც საჭესთან ზის, არ ფიქრობს, რომ სასწრაფო ბრიგადის მანქანაში შეიძლება მათი ნათესავი ან ახლობელი იყოს. ესეც რომ არ იყოს, იმის შეგნება ხომ უნდა ჰქონდეს, რომ ხვალ, ღმერთმა დაიფაროს, თვითონ მოხვდება ამ მანქანაში და არავინ დაუთმობს გზას... ერთი სიტყვით, მძღოლები ნაკლებად ფიქრობენ სხვის გასაჭირზე...

**- რას ყვებიან თქვენი მძღოლები, კიდევ რა უშლით ხელს?**

- თქვენ ალბათ ვერც კი წარმოიდგენთ, რომ თბილისში არსებობს ქუჩები, რომლებიც არ არის დანომრილი. მაგალითად, ჯიქიას ქუჩა. წყნეთში არა მარტო ნომრები, ქუჩის დასახელებაც არ არის. ზოგჯერ გამსვლელი ბრიგადა საათის განმავლობაში ეძებს ქუჩას, ადგენს ნომერს. ანდა, კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი, დოლიძის ქუჩაზე №28-ში კორპუსების ეზოში არასწორად აშენებული ავტოფარეხების გამო შეუძლებელია შესვლა. მე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ძალიან ხშირად კორპუსებს შორის ეზოში გასასვლელი ბოძებით არის გადაკეტილი.

მაგრამ, ადამიანი იმედით ცოცხლობს. აგერ ასფალტის დაგება დაიწყეს, ხვალ-ზეგ ალბათ ყველა ქუჩის დასახელება და ნომრები გახდება ცნობილი. როგორც ვხედავ, ქალაქის მესვეურები დააჩქარებენ ამ პროცესს.

ბუზღუნამ საინტერესო საუბრისთვის დიდი მადლობა გადაიხადა და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ძალისხმევით სასწრაფოს ამ კუთხით აღარ დასჭირდება დახმარება.

**ოფიციალური მონაცემებით, 2004 წელს საქართველოში მოხდა 2 936 ავტოსაგზაო შემთხვევა. დაიღუპა 637 ადამიანი, დაშავდა 4 069, აქედან 1 038 ქვეითად მოსიარულე, აქედან კი გარდაიცვალა 219.**

**2005 წელს მოხდა 3 870 ავტოსაგზაო შემთხვევა. დაიღუპა 581, დაშავდა 5 546, აქედან 1 598 ქვეითად მოსიარულე, აქედან გარდაიცვალა 153.**

## ინტერაქტიული გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ სასწრაფო დახმარების მძღოლები

*რუბრიკამ "მოძრაობის უსაფრთხოება - ეს ეხება ყველას" ჩაატარა ინტერაქტიული გამოკითხვა იმ უნიკალურ კონტინგენტთან, რომელსაც "სასწრაფო დახმარების მძღოლი" ჰქვია. მათი უნიკალურობა იმით არის გამოწვეული, რომ ისინი ყოველთვის ფრთხილად ჩქარობენ, იციან თბილისის ყველა კუთხე. ბიზლუნამ სთხოვა მათ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხათ:*

1. შეკითხვაზე: **ხშირად ხვდებით საცობებში?** პასუხი იყო: საცობებში სასწრაფოს ბრიგადები ყველაზე ხშირად გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ჯავახეთის ქუჩაზე, გამსახურდიასა და კოსტავას ქუჩებზე, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ელიავას ბაზრობაზე, გაგარინის მოედანზე შუქნიშანთან ხვდებიან.

2. შეკითხვაზე: **რა გიშლით ხელს მოძრაობის დროს?** პასუხი იყო: ავტომანქანების სიმრავლე, ასფალტის საფარი გლდანი-ნაძალადევში (მეორეხარისხოვან ქუჩებზე), მძღოლთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევა, ჯავახეთის და კალაუბნის შუქნიშანზე, იქვე ნიშანი "მხოლოდ მარჯვნივ" უნდა მოიხსნას. სასწრაფოს მძღოლებს არ უთმობენ გზას სასტუმრო "აჭარის" წინ, "26 მაისის" მოედანზე არასწორად არის დახაზული, ვაჟა-ფშაველას კვარტლებში შიდა ქუჩები დანგრეულია, არ არის განათება, არ არის კორპუსებისა და სადარბაზოების ნუმერაცია, ნუცუბიძის I-III მ/რაიონის ქუჩები დანგრეულია, ბაგებში კერძო დასახლება გაუნათებელია და დაუნომრავია, იგივე ხდება ჯიქიას ქუჩაზე. ყველა რაიონის პერიფერიულ ქუჩებზე სავალალო მდგომარეობაა.

3. შეკითხვაზე: **გქონდათ თუ არა შემთხვევა, როცა საცობის გამო ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა?** პასუხი იყო: მძღოლების 99 პროცენტი ყოველდღე ხვდება საცობში და ამის გამო ხშირია პაციენტის მდგომარეობის გაუარესება.

4. შეკითხვაზე: **რომელ რაიონში რა უნდა გაკეთდეს, რათა თქვენ და სხვა მძღოლებს მოძრაობა გაგიადვილდეთ?** პასუხი იყო: გლდანი-ნაძალადევის მეორეხარისხოვან ქუჩებზე ასფალტის საფარი აღარ არსებობს, იგივეა ვარკეთილის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს მიწისქვეშა გადასასვლელი. აქ ხშირია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები. საბურთალოს ქუჩაზე გავლა არ შეიძლება. ნუცუბიძის და ბუდაპეშტის ქუჩების გადაკვეთაზე შემოწმდეს შუქნიშნის მუშაობა, დაიხაზოს ეს მონაკვეთი. მე-8, მე-9, პირველ საავადმყოფოებთან და თვალის კლინიკასთან მისასვლელი გზა დანგრეულია. აფრიკის დასახლებაში დაიგოს ასფალტის საფარი, ასევე მეორე ნავთლუღის დასახლებაში, ზმკ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამრეწველო დასახლებაში, სადგურ "ველის" მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან და ა.შ., სასურველია განიტვირთოს "დიდუბისა" და "ახმეტელის" მეტროსთან მდებარე ტერიტორიები, ასევე ელიავას ბაზრობის ირგვლივ ტრანსპორტის მოძრაობა. ნაძალადევის რაიონში, განსაკუთრებით სვანიჯის, ხევსურეთის, ღრმაღელის, გვაზაურისა და ა.შ. ქუჩებზე ასფალტის საფარი აღარ არსებობს და ა.შ.

როცა ბუზღუნამ გაიგო, რამდენი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა 2004 და 2005 წლებში და რამდენია დაღუპული ამ ავარიებში, ის თვითონ ჩავარდა შოკში. მერე იფიქრა - ახლა კი ნამდვილად გავიგებ, ვისი ბრალია, ან რატომ იღუპება ამდენი ხალხი... ასე აღმოჩნდა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში". მოდი და დაუძახე ახალგაზრდა, მაგრამ ცოდნით ძალიანაც მდიდრულად გამოიყურებიან. ბუზღუნას ესმის, რომ როცა ამდენი სატრანსპორტო ერთეული დადის თბილისის მოუწყობელ ქუჩებზე და ავარია მოხდება, მაგრამ მისი კითხვა მარტივი იყო: **თუ ავარია გამოწვეულია საგზაო ნიშნებით, შუქნიშნებით ან არასწორი დახაზვით, ან ორმოების გამო, ვინ აგებს პასუხს ამ შემთხვევაში?** ბატონმა ირაკლი ცნობილაძემ გამაგებინა, რომ კანონში "საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ" 9-1 მუხლში, პირველ პუნქტში პირდაპირ მითითებულია, რომ "ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით". მეორე პუნქტში კი ჩამოთვლილია, რას შეიცავს "თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს", სადაც "ს" პუნქტში მითითებულია "საგზაო მოძრაობის დაგეგმარება". ის იყო, ბუზღუნამ გაიფიქრა, რომ ვნახე პასუხისმგებელიო, მაგრამ კანონის 9-1 მუხლში წაიკითხა: ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებები (28.12.2005 №2563) ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე. ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - გამოდის, რომ დღეს თქვენ ღია ლუკში ჩავარდით ან ნიშნების უქონლობის გამო ავარია მოგივიდათ - ნუ ეძებთ პასუხისმგებელს, ის გამოჩნდება მხოლოდ "ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე".

მეორე შეკითხვა უფრო მარტივი იყო: იქ, სადაც არ დგას საგზაო ნიშანი "ფასიანი დგომა", ნიშნავს თუ არა, რომ ეს სადგომი უფასოა და გადახდას არ მოითხოვს? ხომ შეიძლება ვილაცებმა გახსნან სადგომი და ამით ისარგებლონ? პასუხი ასეთი იყო: **საგზაო ნიშანი "ფასიანი დგომა" აუცილებელია, მაგრამ ნიშანი რომც იდგეს და სათანადო ქვითარი არ მოგცენ, შეგიძლიათ არ გადაიხადოთ!**

დასაწყისი იხ. №3, 4, 5, 6

მალხაზ ხარბედია

# არაყი
# თეთრი აჩრდილი

## პირველი ნაბიჯი ჭაჭისკენ

როცა კარგ არაყზე ჩამოვარდება სიტყვა, ქართველებს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჭაჭა გვახსენდება, მნიშვნელობა არა აქვს, ერთნახადი იქნება თუ ორნახადი, კაკლის ულელზე იქნება დაყენებული თუ მუხის ან თუთის გულზე. ისე, ჭაჭა სუფთა სჯობია, "ულელს" მხოლოდ ურჩ, ზედმეტად დახრაკულ ან ძალიან მაგარ ჭაჭას ადგამენ.

ყველაფერი კი დადუღებით იწყება. ბარში ეს ადვილი საქმეა, რადგან თბილა და უკვე გვიან შემოდგომაზე შეუდგებიან ხოლმე გამოხდას, ზემო იმერეთსა და რაჭაში კი, ჭურში ჩაყრილ ჭაჭას მთელ ზამთარს ინახავენ და მხოლოდ ადრე გაზაფხულზე თუ დაიწყებენ არყის სამზადისს (თუმცა არის შემთხვევები, საწნახელში რომ დაუტოვებიათ, ასე უფრო მალე დუღდება). როცა ჭაჭა მზადაა გამოსახდელად, იღებენ ქვევრებიდან და გამოხდას შეუდგებიან. წყალი უმთავრესია არყის გამოხდისას, რადგან თუკი მილი კარგად არ გაცივდა, არყის ნაცვლად ორთქლი გამოვა და მთელი მადლი დაიკარგება. ისეთ ადგილებში, სადაც წყალი ჭირს, თოვლის მოსვლას ელოდებიან და თოვლით აცივებენ, ზოგი წყაროსთან აწყობს სახდელს, სხვებს კი მილით შემოჰყავს წყალი ან ჭით სარგებლობს.

ზემოთ მოკლედ გითხარით უკვე ქვაბის მომზადების შესახებ და ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ და კახური ზაოტობით დავიწყებ.

## ხატობა კახურად

ზაოტობა თითქოს ყველამ ვიცით რასაც ნიშნავს, ბევრი ჩვენგანი კიდეც დასწრებია ამ ამბავს, მაგრამ რომ ჩაეძიო, ზუსტად და დალაგებით იშვიათად რომ ვინმემ მოყვეს. ერთი უბრალო მიზეზის გამო, არ ახსოვთ. აბა ვის გაუგონია, კაცს საკუთარი სიმთვრალე და გატიალება ახსოვდეს, არავის, ჰოდა ამიტომაც თბილისამდე ზაოტობის ამბები ფრაგმენტებად აღწევს, ძველი ბერძნული პოეზიასავით. მე სულ ორჯერ ვარ ნამყოფი ზაოტში (ეს სიტყვა რუსული "ზავოდიდან" მოდის, ვიღაცეები კი ამბობენ, მაგ სიტყვას არქაული, წარმართული ძირები აქვსო, მაგრამ მე არა მჯერა), ერთხელ საგარეჯოში და ერთხელაც გურჯაანში, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ნამდვილი ზაოტობა ჯერ კიდევ არ მინახავს.

ზაოტი ვინმეს სახლში გამართული სახდელი ქარხანაა, სადაც ყველას თავისი ჭაჭა მიაქვს და ერთად ხდიან. ხანდახან იმდენი ხალხი იყრის თავს, ხატობა გეგონება. ისმის ბავშვების ჟრიამული, არის ერთი ხორხოცი, ბევრი ხუმრობა და ბლომად ღვინო. რაც მთავარია, ყველა კარგ ხასიათზეა, ყველა ხარობს, არავინ ჩხუბობს. არჯალასა და უხიაგს ზაოტში არ მიესვლება, თუ ვინმემ გაუტია, თავზე ტომარას წამოაცვამენ და ცოლ-შვილს ჩააბარებენ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ზაოტი ვინმეს სახლში გამართული სახდელი ქარხანაა, სადაც ყველას თავისი ჭაჭა მიაქვს და ერთად ხდიან.*

ზაოტის პატრონს თავიდანვე ურიგდებიან ხოლმე და ყველა სოფელში სხვადასხვანაირი ტარიფებია. მაგალითად, თუკი შეშა შენია, შეიძლება 10 ლიტრიდან 1 დაუტოვო, თუ არა და მეტს მოგთხოვს. ზოგჯერ ფულსაც იხდიან ხოლმე. როგორც წესი, ზაოტობაზე წინა წლის ღვინოს სვამენ, თბილ ჭაჭას მხოლოდ გასინჯავენ ხოლმე, დაკლავენ ღორს, შეწვავენ მწვადს და მიდის რამდენიმედღიანი ქეიფი. ხშირია შემთხვევები (განსაკუთრებით დიდ სოფლებში, ბაკურციხე, შილდა, ახალსოფელი), როცა მეზობლები ზაოტობიდან ზაოტობამდე ვერ ხვდებიან ერთმანეთს და ისეც ხდება, რომ არყის ოხშივარი დამდურებულ მეზობლებსაც კი შეარიგებს ხოლმე.

## წითელი წინწანაქარი

არაყს კიდევ ბევრი რამისგან ხდიან. ჭაჭის გარდა, სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, რაჭასა და ქართლში (თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და სვანეთისას ცალკე ვიტყვით) ალუჩისა და ხურმის არაყსაც შეხვდებით, ხდიან თუთიდან, ლეღვიდან და ვაშლიდან, მსხლიდან და ჭანჭურიდან, ღოღნაშოდან და მაყვლიდან. თაფლისაგან განსხვავებით ხილის არაყს ნამდვილად უნდა მეორეჯერ გამოხდა (ბარბარე ჯორჯაძე ხელმეორედ დავოტკავებას ეძახდა ამ პროცესს), რადგან დუღილისას ხილი ლპება და ამიტომ პირველ ჯერზე ბევრი ზეთი და სხვა მინარევი გამოჰყვება სასმელს. მეორე გამოხდილი კი მაგარი გამოდის, 60-65 %.

ახლა ნახეთ, არაყს რა სიტყვებს მოაყოლებენ ხოლმე: მაგალითად, როცა არყის ნაკადი კარგად მოდის, არც მოთქრიალებს და არც საცოდავად მოწანწკარებს, იმერეთში იტყვიან, "კაი კამარაა"-ო, ორთქლი თუ გამოიპარა მილში, "ე ბიჭო, გამობოლა"-ო და კარგად გააცივებენ მილს, ზარფუშის სახელოს კი ახლად დასველებულ ჭინჭს შემოახვევენ ხელმეორედ, ისე, თითქოს სიცხიანს ძმრიან წინდებს აცმევდნენ. ცეცხლმა თუ მოიმატა, ქვაბი ამოიბუყებს, წამოახველებს, შემდეგ კი შეიძლება წამოჩქეფოს კიდევაც, ანუ ჭაჭაც შეიძლება გადმოყვეს არაყს.

პირველ არაყს საიას ან წინწანაქარს უწოდებენ, რომელსაც ცეცხლში ასხამენ და როცა აალდება, ეს ნიშნავს, რომ არაყი უკვე მაგარია და ჭურჭელიც უნდა გამოუცვალო, რათა საიას არ შეერიოს. საერთოდ წინწანაქარს ყველა სხვადასხვანაირად განმარტავს და მისი მნიშვნელობები უცნაურად განსხვავდება კუთხეების მიხედვით. გიორგი შატბერაშვილმა მოზრდილი თავი მიუძღვნა მას წიგნში "თვალადური ქართულის ჭაშნიკი" და მეც იქიდან გავიგე, რომ წინწანაქარი მარტო არყის კი არა, ყველანაირი პირველგამონადენის ზოგადი აღმნიშვნელი ყოფილა. "წინწანაქარი პირველგამონადენი ტკბილია" (საბა), "წინწანაქარი - პირველი გამონადენი დაწურვილი ღვინისა, ან გამოხდილი არყისა" (ნ. ჩუბინაშვილი), არსებობს ერბოს წინწანაქარიც და ლუდის წინწანაქარიც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თუ ქიზიყსა და ქართლში წინწანაქარს წყალწყალა არაყს უწოდებენ, იმერეთში მეორე ნახადის პირველ ჭიქანახევარს ჰქვია ასე და მას სპირტის ნაცლად ხმარობენ. ქეთევან ძოწენიძეს თავის "ზემოიმერულ ლექსიკონში" ასეთი ფრაზებიც მოყავს: "რახს რო ვაბრუნეფთ, სპირტამდეა წინწანაქარი, ცოტა მოწითალოცაა ისი", "სპიტს კ`არ გეტყვიან ქალები, წინწანაქარი ოტკაი გექნება და მომეცი პატარაიო".

პირველი არყის სხვა სახელები: თავარაყი, წინაწვერი, ნათავედი. საერთოდ კი არაყს მრავალი სახელი აქვს ქართულში, ხილაურითა და ჟიპიტაურით დაწყებული - ზახრუმალათი და თლაშოით დამთავრებული. თლაშოი ჭიქის სახელია, მაგრამ ძველ თბილისში შაურიან არაყს ეძახდნენ, ზახრუმალათი ძირითადად ქალები უხმობენ თავიანთი ქმრების საყვარელ სასმელს, ხშირად ეტყვიან ქმრებს, "ამ დილაუთენია ე ზახრუმალა რამ ჩაგაცეცხლა"-ო, ჟიპიტაური კი ბევრის აზრით სოფლის სახელს, ჟებოტას (თიანეთთანაა) უკავშირდება, სხვებისთვის კი იგი უბრალოდ ბოზალუყგადმოყოლილი (ბოზალუყი ნარჩენია ქვაბში, ფაფასავით მასა) არაყია.

არსებობს სადა არაყიც, რომელსაც წმინდა, უტკბილო, უსურნელო და შეუზავებელ არაყს უწოდებენ.

## ბებერი ფიჭები

თაფლის არაყს **რაჭაში**, გაზაფხულზე ხდიან ან შემოდგომაზე. მაგალითად ბიძაჩემი თაფლის არყისთვის ყოველთვის ძველ, ბებერ ფიჭებს იღებს, არანაკლებ 4 წლისას და დიდ ჯამში ამტვრევს. შემდეგ კარგად ჩაზილავს და ისეთ ჭურჭელში ჩაუშვებს, თავი რომ მჭიდროდ ეხურებოდეს. წყალს იმის მიხედვით ასხამს, თუ რამდენი თაფლია ჩარჩენილი ფიჭებში. დუღილს თაფლის "საარაყე" ორ კვირას უნდება, რის შემდეგაც მასალა გამწარდება, თაფლის ღვინოს დაემსგავსება და სუნსაც განსხვავებულს აიღებს. ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი მზადაა მთავარი რიტუალისთვის, გამოხდისთვის.

ქვაბშიც საკმაოდ საინტერესო რამეები ხდება. საქმე ისაა, რომ გახურებისას სანთელი დნობას იწყებს და თაფლიან და წყლიან მასას გზას შეუკრავს ლულისკენ, მაგრამ აბა არაყი რისი არაყია, თუ ეს საფარველი არ ამოხია და ჯერ ზარფუშის სახელურში, შემდეგ კი სამზეოზე არ გამოაღწია. ეს აორთქლილი არაყი თან გაიყოლებს ყვავილის მტვრის უმცირეს ნაწილაკებსაც, რომელსაც განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს. თაფლის არაყი დაბალგრადუსიანია, დაახლ. 30 % და მისი მეორეჯერ გამოხდა მიზანშეწონილი არაა, რადგან ორნახადი ძალიან ბევრ თვისებას კარგავს.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ: მთავარია ქვაბი ძალიან ნელ ცეცხლზე იდგას, ყველა სხვა არაყზე მეტად თაფლისას ჭირდება ტემპერატურის კონტროლი. ჯერ ერთი არაყმა წამორწყევა იცის (რაჭაში ასე ეძახიან წამოდუღებული შიგთავსის გადმონთხევას ლულიდან), მეორე კიდევ, მხოლოდ თანაბარი ცეცხლითაა შესაძლებელი თანაბრად კარგი არყის გამოხდა. "წამოჭიანებებს" არაყი ვერ იტანს, სიმდოვრე და სიდინჯე უყვარს, მითუმეტეს, რაჭულ თაფლის არაყს. მერე კი, მნიშვნელობა არა აქვს, გინდა დილას დალიე "ე არაყი" და გინდა საღამოს, გინდა ერთი ჭიქა და გინდა ერთი "დოქუნა", გემო მაინც მეორე დღემდე გაგყვება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



*თაფლის არყისთვის ყოველთვის ძველი, ბებერი ფიჭები უნდა ავიღოთ, არანაკლებ 4 წლისა.*



*თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.*

*რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.*

*რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.*

*რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.*

*იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.*

*P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.*

# მახლას!



ჟანრი ლოლაშვილი

რუსთაველის თეატრის მსახიობი, მხატვარი

**- გამოჩენილ გერმანელ მწერალს, ჰანს მაგნუს ენცესბერგერს საქართველოში სტუმრობისას ცნობილმა ქართველმა მწერლებმა ინტერვიუ ჩამოართვეს, სადაც სტუმარი აღნიშნავდა, რომ "ქართველი კულტურული ნაცია უფროა, ვიდრე სახელმწიფოებრივი". ამასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნე წერილი სათაურით "სახელმწიფოს შენება კულტურული ერის უპირველესი მიზანია", რომელშიც ვწერდი, რომ ერი, რომელსაც სახელმწიფოს შენების ტრადიცია, ნიჭი და უნარი აქვს, კულტურულ ერად ვერ ჩაითვლება. ერის კულტურა მის სახელმწიფოებრიობაში უფრო ვლინდება, ვიდრე საკუთარი ხელოვნების დემონსტრირების პომპეზურ ენთუზიაზმში. საქართველო, დიდი იმპერიების მეზობელი, არაერთხელ აწიოკებული და დაპყრობილი, ორიათასწლოვანი სამეფოს ისტორიის მქონე, ქრისტეს აქეთ მესამე ათასწლეულს დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით ხვდება და, ამდენად, ნაკლებად სახელმწიფოებრივი ნამდვილად არ ეთქმის. თუ ბატონ ენცესბერგერის ზემოთ აღნიშნული ქათინაურია ქართული ხელოვნების მიმართ, მაშინ გასაგებია, მაგრამ მცირე კორექტივს მაინც საჭიროებს, რადგან სახელმწიფოს შენება კულტურული ერის უპირველესი მიზანია.**

**ქართველი ერი იმდენადაა კულტურული, რამდენადაც იგი სახელმწიფოებრივია. ხელოვნება მისი სავიზიტო ბარათი გახლავთ.**

- ჩვენს მენტალიტეტში არის ისეთი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, თითქოსდა ჩვენისთანა ქვეყანა არსად არ არის და არ არსებობს. უცხოური პოეზიის ნიმუშებში ასეთი რამ ნაკლებად მახსენდება. ჩვენ გვახასიათებს გარკვეული მაქსიმალიზმი. ბერნსს, ედგარ პოს, სხვებს არა აქვთ ასეთი ექსცენტრულობა, პირველობის ასეთი სურვილი, საკუთარი განუმეორებლობის ილუზია, კვარცხლბეკზე დგომისკენ სწრაფვა. ამგვარი დამოკიდებულება ნამდვილად არასწორია. მაგრამ ის, რაც შექმნილია, არ უნდა შეგვილახონ. ბოლოს და ბოლოს, "ჩაკრულოს" ქვეყნიდან ვარ. მე ვუყურებ, ვუსმენ სხვა ქვეყნის მუსიკალურ ნიმუშებს, შემსრულებლებს და ვადარებ კიდეც. პოლიფონიას და ბახს რომ ახსენებენ, მე მაშინვე მაგონდება, რა თქვა სტრავინსკიმ ჩვენს სიმღერებზე. ეს ერთგვარი თავდაცვა და ფარია, რადგან ჩემს ქვეყანაში უდიერად ეპყრობიან ჩემივე კულტურას და გიჩნდება ისეთი სურვილები, რაც არასდროს გქონია. ღონე გინდა, ძალა გინდა, რომ დაიცვა თავიც და შენი კულტურაც ამგვარი თავდასხმებისაგან. უკვე სხვაგან კი არა, საკუთარ სახლში. გადაჭარბებული, რასაკვირველია, არაფერი არ ვარგა, მაგრამ ვადარებ რაღაცებს... ვთქვათ, გლენ გულდი რომ ბახს უკრავს, ჩემთვის ეს საოცრებაა, მაგრამ ჩვენი ელისო ვირსალაძე მოცარტს რომ უკრავს, ეს არანაკლები მნიშვნელობის მოვლენაა. ჩვენი მუსიკალური სტრუქტურა, საფუძველი, ჰარმონია, შესრულების მანერა, კონცეფცია გამორჩეულია და მოდი, ამ სიამაყეს ნურავინ ჩამიკლავს.

**- რა თქმა უნდა, ქართული თანამედროვე ხელოვნება უაღრესად მნიშვნელოვანია და, ვფიქრობ, არა მარტო საქართველოსთვის. ბედუკუღმართობამ, ჩაკეტილმა სივრცემ, ჩვენი ქვეყნის განაპირა პროვინციად ქცევამ მოიტანა, რომ მეოცე საუკუნეში ფრთები ვერ გავშალეთ პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ახლა არის ამისი შანსი და სწორედ ახლა, როცა შუბლი გახსნილი უნდა გვქონდეს, ვულიმოდეთ ერთმანეთს და უნდა სხვებსაც ვაჩვენებდეთ ჩვენს ხელოვნებას, სრულიად უადგილოა დღევანდელი ურთიერთდაზვერვის ტენდენციები, - წაჭერილი ჰალსტუხები და გამომცდელი მზერა. ქართული საზოგადოება არ დაიზაფრება, მაგრამ ასეთ არაჯანსღ ვითარებაში ველარ მოიცლის იმ თავდადებული შრომისათვის, აპლოდისმენტების მოლოდინისათვის.**

- ჩვენ, მე მგონი, მაინც შემოსევებს გადაგვარჩინა; ხელებზე დადებული ბორკილები ჩამოგვაცილებინა ჩვენმა იუმორის გრძნობამ. იუმორი ადამიანს ყოველთვის იცავს, თუნდაც იმით, რომ ყოყლოჩინობასა და სხვა ერებზე ზემოდან ლაპარაკის სურვილს უკარგავს.

**- იუმორის საუკეთესო გამოვლინება - თვითირონიაა.**

- ჰო, რასაკვირველია. მერე ჩვენში მტერთან სისასტიკე არ იყო თანდაყოლილი თვისება. ბოლოს და ბოლოს, გერმანელ ტყვეებს ჩვენთან აპურებდნენ და ლუკმას უყოფდნენ. სახლში შემოსულ მტერს ვაჟკაცობას და ღირსებას დაანახებდი. ისედაც მწირ დროს, რაც ღმერთმა გიბოძა, დაყოფდი იმასთან. როცა დროს ჩუქნი ადამიანს, ეს ყველაზე დიდი პატივისცემაა. დღესაც არიან სრულიად საწინააღმდეგო აზრის ადამიანები, მაგრამ მე პატივს ვცემ მათ აზროვნებას. მაგრამ მე მინდა, რომ ჩემს აზროვნებასაც პატივი სცეს სხვამ და ასე ამოკვეთილი და ამოგდებული არ უნდა იყოს ჩემი ნააზრევი. მე არ ვიცი, ვინ რამდენი ხმა მიიღო არჩევნების დროს, მაგრამ მე მაინტერესებს საღი აზრი მოვლენებზე.

**- დღევანდელი მოვლენებით ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოს გერბზე მალე წმინდა გიორგისაც ნიღაბს მიახატავენ. ადვილი შესაძლებელია, რომ ვინმეს უნდოდეს საქართველოს გერბზე წმინდა გიორგის ნაცვლად ზოროს გამოსახულება იყოს. ნიღბიანი კაცი არ არის საქართველოს სავიზიტო ბარათი და ვერც იქნება. მისი სავიზიტო ბარათი ქართული კულტურაა, ქართული ხელოვნებაა.**

- ეს არის ჩემი სასიცოცხლო ძალა, ჩემი ოზონი. მარტო ჟანგბადი კი არა, გამდიდრებული ჟანგბადია. მაცოცხლებს ის, რაც ჩემს თვალსაწიერშია ლექსის სახით თუ მუსიკის სახით თუ ვიზუალური სახით. ამითი ვარ ლაღი და ბედნიერი, რადგან პურის და ფულის რაოდენობა არ არის ჩემი ცხოვრება. ჩემი ცხოვრება არის საკვირველი რაღაცების აღქმა. დაინტერესებაა ჩემი ცხოვრება. მოვლენების, ღირებულებების შეფასებაა, არა მარტო ჩემს ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამით განისაზღვრება ჩემი ადგილი მსოფლიოს ხალხთა კულტურაში. მე მინდა მსოფლიო ერთი საერთო სახლი იყოს. საერთო კომუნიკაციებს და ინფრასტრუქტურას კი არ ვგულისხმობ. უნდა დავიცვათ ერთმანეთი. კულტურის მონაპოვარი ამტკიცებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთის გვერდით ყოფნა. თავიდან არავინ არ დაბადებულა ბარბაროსად, არც ერთი ერი არ ჩამოყალიბებულა ბარბაროსად. რაც კაცობრიობა არსებობს, აქტუალურია ის, რომ კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს. ვერა და ვერ გავიკვლიეთ გზა სიკეთისკენ, მაგრამ როცა რამე სტიქიური მოვლენა ხდება, ადამიანები ერთიანდებიან ამის გადასალახავად. მაშინ ვივიწყებთ მტრობას, შუღლს და ერთად ვდგავართ ყველა. ჩვენ მაშინ ვერთიანდებით, როცა საშიშროებაა. როგორც კი საშიშროება მიდის, ისევ ყველაფერი თავიდან იწყება.

**- ხშირად მომისმენია სახელისუფლებო წრეებიდან, რომ ისინი ძალიან ბევრს ფიქრობენ გადაწყვეტილების მიღებამდე, მაგრამ ერთი თუ გადავწყვიტეს რამე, თუნდაც საზოგადოებას სხვა აზრი ჰქონდეს, არაფერს აღარ შევცვლიან. რატომ არ შეცვლიან, თუკი ეს საზოგადოება უფრო მართალია...**

- ამაზე ბევრს ლაპარაკობენ და პირადად თქვენც გითქვამთ - საჭიროა დიალოგი. სახელისუფლებო მონოლოგი უადგილოა.

**- ჩვენს წინაშეა ძალიან სახიფათო გრადაცია საზოგადოებასა და ხალხს შორის. ხშირად ისმის - ვინ არის საზოგადოება, რატომ უნდა დავეკითხოთ მას, ხალხს ვკითხოთ. ჯერ ერთი, თუ ხალხის აზრი გულწრფელად გაინტერესებს, საზოგადოებას უნდა ჰკითხო. თუ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოქალაქემ უნდა თქვას თავის სათქმელი, ამას რეფერენდუმი ჰქვია. ხალხი თავად ქმნის საზოგადოებას, ხალხის წიაღიდან იქმნება საზოგადოება, და ხალხის ბედ-იღბალი ყველაზე უკეთ იცის, რადგან ყველაზე მეტი განმცდელი და გამზიარებელი ხალხის ტკივილისა და დღესასწაულისა არის საზოგადოება.**

**გლეხის ნაცვლად კი არ ფიქრობს ქართული საზოგადოება, გლეხის სულიერ წიაღში ჩადის და მის სათქმელს ამბობს.**

**მახლას, ვინ არის ეს ქართული საზოგადოება, რა სწადია, რას ნაღვლობს, რისკენ ისწრაფვის გამუდმებით... რა ისეთი სარკმლიდან იყურება, რომ ჰგონია, იქიდან ყოველივე უკეთ მოსჩანს..;**

**ვინ არის ეს ქართული საზოგადოება, რომ ზოგი ხელისუფლება ცდილობს მოქრთამოს და გახრწნას იგი, ზოგი უმწეოდ ლამობს, საერთოდ არ შემიჩნიოს მისი არსებობა და თან დააშინოს...**

**ვინ არის, რას ემემკვიდრა, რას ვარ შეელია... ან კი არის საერთოდ... იქნებ ისე გამოიფიტა სულიერად ქართველი ხალხი, რომ ველარ ქმნის საზოგადოებ-**

# მაჰლას!

**ას... და თუ არის, საიდან მოვიდა, რა ისტორია აქვს, საით მიდის და რას ერთგულებს...**

**ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მინდა ხმამაღლა ვიფიქრო თქვენთან ერთად.**

**ღირსება! - აი, მთავარი ნიშანი და თვისება, ერის რჩეული ნაწილისა, რომელსაც იგი სიცოცხლის ფასადაც არ თმობს, - ეს მისი ცხოვრების წესია.**

**ქართული საზოგადოების ისტორიაში ელიტის სათავედ სწორედ სამხედრო არისტოკრატია მესახება.**

**ელიტარულობის უწყვეტობის ჯაჭვი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ფეოდალური ხანა - მეფე, რაინდი (თავადაზნაურობა, ანუ სამხედრო არისტოკრატია) და გლეხი. ეს არის მიწიერი ჰარმონია - სამკუთხედი, რომლის დაშლის შემდეგ არისტოკრატიის ღირსებას, განსწავლულობას, დახვეწილობას, მხნეობას, ანუ ცხოვრების წესს ემემკვიდრა ელიტა, არა მხოლოდ როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოს საზოგადოების ზედაფენა, არამედ როგორც რჩეული საზოგადოება; ხოლო შემდგომად, როცა საბჭოეთის ბილწების ნიაღვარმა რეპრესიებით წალეკა ყოველი მაღალი ღირებულება, ელიტის მაემკვიდრეობა მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ იტვირთა ჩვენმა ინტელიგენციამ, რომელიც, ჩემი აზრით, თითქმის შეეგუა სოცრეალიზმს და მაინც ვერ შეეგუა სოცრეალიზმით გაჟღენთილი ნაცრეალიზმის აღზევებას.**

**მისთვის მიუღებელია საზოგადოებრივი ან პოლიტიკური სექტანტიზმი. ელიტარული ნიშნის კაცს თავი შინაურად შეუძლია იგრძნოს ნებისმიერი სოციალური ფენის გარემოში. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაცაა. იგი ერთნაირი ქომაგია ყველასი და თავისი არსით უპირისპირდება მხოლოდღა უნიადაგო ამბიციას.**

**იგი მატარებელია წრფელი სინდისისა, რომელიც ფოლკნერის სიტყვით ღვთისგან მოვლენილი წყევლაა, რათა ოცნების უფლება მოიპოვო.**

**ელიტარულობა ნებისმიერი ჭირ-ვარამის დროსაც გამორიცხავს მერკანტილურ, გამორჩენით, მდაბიურ ქვენაზრახვებს, რადგან ელიტა თავის არსში ატარებს კაცობრიობის მამოძრავებელ მუხტს, - სწრაფვას სრულყოფილების ხატისაკენ.**

**ელიტა პატრონია ერის კულტურისა, რადგან კულტურის პატრონობა მასზე ზრუნვად და მის მსახურებად მიაჩნია.**

- არა, ამათ ამდენი დრო არა აქვთ.

**- იმდენი დრო ხომ აქვთ, რომ ამ საზოგადოების მნიშვნელობა იცოდნენ.**

- მე მგონი, მაგის დროც აღარ აქვთ. დრო წაიშალა.

**- დიალოგი ქვეყანას სჭირდება და არა საზოგადოებას...**

- იცით რა, სირაქლემას პოზაში ყოფნა არ ვარგა. კარგად ხედავენ, რომ საზოგადოება შეურაცხყოფილია. იქიდან შემოძახილი "ვერ ეღირსებით!" - არაფერი წესი არ არის. მე მინდა, რომ მკლავში მოგკიდო ხელი, შენთან ერთად ვიყო და საუკეთესო რაღაცები ვაშენო შენთან ერთად. და არა ვანგრიო.



**- აგრესია უეჭველად მოსათოკია, რადგან სახელისუფლებო კულუარებში ერთმანეთს რას დაარქმევენ და რაზე წააქეზებენ, მნიშვნელობა არა აქვს. დიდებული ნათქვამია - "წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო". ქვიშა არის ქართული საზოგადოება. ის რა სახელსაც დაარქმევს ამა თუ იმ ხელისუფლების წარმომადგენელს, იმ სახელით შევა ისტორიაში. ნათლია არის ქართული საზოგადოება, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა.**

- ვინც არ აჰყვება საზოგადოებას, იმას არაფერი არ გამოუვა. კი ბატონო, 70 წელიწადი იარსება ქვეყანამ საბჭოთა ცენზურის ქვეშ. იყო შიში, ძრწოლა, დამცირება. საშინელი რაღაცები ხდებოდა, მაგრამ ეს არ არის მარადიული. ისტორიის მაგალითებს ჩვენ არად ვაგდებთ. არსებობს ისტორიული გამოცდილება, ხშირად ჟამთაალმწერელის ნათქვამი რაღაც მოვლენებზე ცოტათი ტენდენციური მგონია ხოლმე. აქაც არის ფიქრი საჭირო. ალბათ გახსოვთ მამარდაშვილის ნათქვამი - სიმართლე სამშობლოზე ძვირფასიაო. სიმართლე უპირველესია. სიმართლის დაცვა ყველაზე დიდი ღირსებაა. ეს გვინდა, რომ მოვშალოთ?

**- საბჭოთა პერიოდში იყო ფსევდოსაზოგადოების შექმნის მცდელობა, სახელოვნებო სამყაროში "ხევისბერების" ინსტიტუტის შექმნა, მათი მხრიდან ხელისუფლების აპრიორული მომხრეობა და ა.შ., მაგრამ რეპრესიების პერიოდშიც კი, ლიკვიდირებულმა, დახვრეტილმა, დაჩეხილმა, საკუთარი სახლების სარდაფებში ჩასახლებულმა ქართულმა საზოგადოებამ ნახევრად ჩაბნელებულ საერთო შუშაბანდებში ჩურჩულით გამოატარა ჭეშმარიტი ღირებულებები და მოიტანა აქამდე. ამ საზოგადოებას თანაგრძნობა სჭირდება და არა აგრესია.**

- დიდი ხნის წინ ჩემთან სარდაფში აღმოვაჩინე "H2SO4" - ჟურნალი, რომელსაც ჩუმად ვკითხულობდი, რადგან აკრძალული იყო. ციხეში გიკრავდნენ თავს ამის კითხვისთვის. გრიგოლ რობაქიძის ხსენებაც აკრძალული იყო. ახლა წიგნები გამოდის. მისი "ენგადი" დიდი მოვლენაა. აი, იქ არის ჯიშის ზეიმი, რასის წარმატებული სვლა, ქართველი კაცის ანთროპოლოგიური მოწყობა.

**- ეგ ცოტა სახიფათო თემა მგონია, რადგან პროვინციალიზმთან საზღვარი მოშიშვლებული აქვს.**

- ჰო, მაგრამ განა მოცარტი მუსიკალური აზროვნების ანთროპოლოგია არ არის? რაღა მაინცდამაინც ვაგნერი ამოიყენა გვერდით ჰიტლერმა? იმიტომ, რომ ცხვირპირი ჰქონდა ვაგნერის მუსიკას. ამას ვერ გაექცევი. რასიზმის საშიშროება ყოველთვის არის, მაგრამ განსწავლული საზოგადოება ამას არ დაუშვებს. ისტორიული გამოცდილება არაფერს არ აძლევს ადამიანს? კაცობრიობის ისტორია არაფერს გვაძლევს?

**- ცეცხლს ცეცხლით ვერ ჩააქრობ. მრისხანებაზე სიკეთე არ იზრდება.**

- მე ასე მგონია, რომ ერის სიამაყეს როცა ებრძვი, გინდა ეს ერი დამორჩილებული გახდეს. ეს ამაო ცდაა. ამით ვერ დააჩოქებ საზოგადოებას.

**- რასაკვირველია, ასეთი მცდელობა ამაოა. თქვენ იყავით "კავკასიური ცარცის წრის" "წამყვანი" და ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ "კავკასიურმა ცარცის წრემ" კავკასიური ცარცის წრე გაარღვია.**

- ამ სპექტაკლმა ქვეყანა დიდი წარმატებით შემოიარა. მანდ ზოგადსაკაცობრიო თემებზეა ლაპარაკი. იქ მარადიულ ღირებულებებზეა ლაპარაკი. მოკლე ჩანგლით და ლახვრით მარადიულობას ვერ დათრგუნავ, ვერ დაიმორჩილებ. ვიღაცას ჰგონია, რომ დღევანდელი მოვლენები პირველია. არ მესმის, რა ნათქვამია - "პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში", "პირველად...". როგორ შეიძლება, რამე პირველად მოხდეს ამდენი საუკუნის განმავლობაში? ადამიანის აზრი არის პირველი. როგორც ბიბლია გვეუბნება, სიტყვაა პირველი. სიტყვა აზრის გარეშე არ არსებობს. ნიშანს გვაძლევს - შენი ადგილი იცოდე, ადამიანო, შენი ეგზისტენციური "მე" მოიშალე ამ მარადიულ ცნებასთან კავშირში. აზრი მარადიული არ განიკითხება. ტაბუ რატომ ჰქონდათ ადამიანებს. არის ფანტასტიკური მეგრული სიტყვა "ვაშინერს", რაც ნიშნავდა ლაპარაკის გაგრძელების აკრძალვას, ნიშნავდა ტაბუს. ამაზე ლაპარაკი, განხილვა, მსჯელობა არ შეიძლებოდა.

**- მერე მოვიდა ქრისტე და სიყვარულის უკვდავება უქადაგა ადამიანებს.**

- სიყვარულის განცდის ბედნიერება. სიყვარული გინდა მოკლა? ერთმანეთის დაცვა და გატანა? ერთმანეთის გატანაზე უკეთესი რა არის? ეს გინდა, რომ მომიშალო? არ გამოვა.

**- ახლაც, რუსთაველის თეატრის დღევანდელ რეპერტუარში კიდევ ერთი წამყვანი როლი გაქვთ - ლუარსაბ თათქარიძე. ესეც მარადიული თემაა.**

- ერთხელ ტელევიზიით ვთქვი, რომ ლუარსაბ თათქარიძეს ისეთი არაფერი ჩაუდენია. ჭამა-სმა უყვარდა, როგორც ბევრ ქართველს. ეს ჩვენს მენტალიტეტში არის, მოქეიფე ხალხი ვართ. გურმანები ვართ. ღვინო იმიტომ მომყავს, რომ საურთიერთოდ მინდა.

**- ღვინო დღესასწაულის სრუფლებიანი, შეუცვლელი მონაწილეა. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ღვინო გაარღვევს რუსეთის მიერ შემოხაზულ კავკასიურ ცარცის წრეს და სხვადასხვა ქვეყნის ხალხს აიყოლებს სადღესასწაულოდ.**

- ჰო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაკქანალიები გავმართო. მაგრამ საშუალებას მაძლევს, სტუმარს დავხვდე, პატივი ვცე მის ნააზრევს, ვადიდო ჩემი ქვეყნის ღირსეული შვილები, მადლობა ვუთხრა ჩემს ქვეყანას, სახელმწიფოს. ხშირ შემთხვევაში მეფე ერეკლეს, ან დავით აღმაშენებელს. რა, მეფე ერეკლე არ იყო ხელისუფალი? არ სვამდნენ ხელისუფალთა სადღეგრძელოს? რატომ დღეს არ უნდა ვადღეგრძელო ჩემი ქვეყნის მთავარსარდალი? ვაქებ და ვადიდებ, და ბედნიერების ცრემლიც მომადგება თვალზე, თუ მომცემს შესაძლებლობას, განწყობას შემიქმნის, რომ მიყვარდეს და შეიძლება, მოვკვდე ამ სიყვარულში. მომაწყობინე ისე, რომ გადღეგრძელო და მტრებისგან დაგიცვა. მე უნდა დაგიცვა, მე! შენ უნდა აშენო ქვეყანა ჩემი ხელშეწყობით. მე კი უნდა დაგიცვა და მაშინ ყველაფერი გასწორდება. მიმიყვანე იქამდე, რომ წინ აგეფარო და დაგიცვა. მომეცი ამის უფლება, ჩემგან, ჩემი სიტყვისგან ნუ იცავ თავს, პირიქით, მე უნდა დაგიცვა. რა არის ამაში რთული. მე უნდა აგირჩიო, მე უნდა დაგიცვა, მე უნდა გადაგეფარო. და უნდა ვიცოდე, რომ შენი ნანახი სიზმარი ჩემი შესასწორებელი არ არის, შენ ნანახ სიზმარს პატივი უნდა ვცე, მაგრამ ეს სიზმარი აკვიატებული არ უნდა იყოს. ყველა ერთსა და იმავე სიზმარს რომ ხედავდეს, კაცობრიობა დაიღუპებოდა. ჩვენ სხვადასხვა სიზმარს ვხედავთ, მაგრამ დილით ერთმანეთს ვუამბობთ, კოშმრად ქცეულ სიზმრებს წყალს ვატანთ. იმიტომ, რომ გვტკივა, ვბორგავთ. ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ წუხს, ქვეყნის ტკივილს წუხს. ამ დროს არიან ადამიანები, ვინც ერის ფსიქიკაზე მუშაობენ. არის საგანგებო დოქტრინები, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპატაჟს, რათა გაიგონ, რას ფიქრობ და მოშალონ მათთვის მიუღებელი აზროვნება. არსებობს უცხოური ზღვა მასალა იმის შესახებ, თუ როგორ მოშალონ ქვეყნის, ადამიანის ცნობიერება, რანაირი ფორმებია საჭირო. ასეთი რამ მსოფლიოში თავისთავად მოხდა. ეპატაჟი მალევიჩის "შავი კვადრატით" იწყება. ხელოვნებაში ასეთი რამ შესაძლებელია, მალევიჩს სხვა რამეებიც ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ "შავი კვადრატი" ადამიანების ცნობიერებაში შევიდა, როგორც ახალი მოვლენა, ევრიკა ხელოვნების ამ დარგში. გზა სხვაგან. ეს "სხვაგან" არის უჩვეულო მოვლენა. მას მოჰყვება უამრავი რამ. ადამიანის ფსიქიკის შესაცვლელი სავარჯიშოებიც კი არის. უნარჩვევების სახით რაც შემოვიდა, ეს არის სავარჯიშოები ფსიქიკის შესაცვლელად სწავლების პერიოდშივე. ჩვეულებრივ ადამიანს თუ შეურაცხყოფას მიაყენებ, მერე ამის გამო ფული უნდა წაართვა. ოღონდ ფულის გამო კი არა, იმიტომ, რომ დაამცირო, დააკნინო, დააჩოქო, და სარგებელიც მიიღო. თუ ქვეყანაში არ არსებობს მეორე ადამიანი, ვისაც მოსამართლე ჰქვია და ამ საქმეს გაარკვევს, ის ქვეყანა დაღუპულია.

**- იქნებ, მარტო მოსამართლის კი არა, ხშირად ადამიანის იგნორირება ხდება.**

- დიახ, საერთოდ ადამიანის იგნორირება ხდება, და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის აზრების ჩაბეჭდვა ცნობიერებაში. მე არა მგონია, რომ ჩვენი ცხოვრების პირველ ნახევარში უფრო საშინელი ცენზურა იყო. ცენზურა ახლაა; თან სწორედ ბოლშევიკური. ეს ნეობოლშევიზმის რაღაც ფორმაა. შეიძლება, რაღაც კეთდება, მაგრამ უამრავი კითხვის ნიშანი ჩნდება, რადგან თანმიმდევრული არ არის ეს ყველაფერი. თითქოს ყველამ ვიცით, რა რის ხარჯზე და როგორ უნდა ხდებოდეს. ვიცით, რომ სახელმწიფო ჩვენია, რომ ეს ჩვენი ფულია. თუნდაც წყალს რომ

# მახლას!

კალაპოტს შეუცვლი, ის წყალი ქართველი კაცისაა და მას უნდა დაეკითხო, მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ცვლილებაში, დღეს ყველაფრის ნიველირებაა გაბატონებული. არავის აზრი არ აინტერესებთ. მჯიღს იცემენ მკერდში და ამბობენ, ჩვენ ვიცით ყველაფერიო.

**- უნარ-ჩვევები, აღნიშნულ სახელმძღვანელოში განა გონებრივ სისხარტეს არ გამოუმუშავებს ყმაწვილს?**

- იქ ბევრი საინტერესო რამ არის, მაგრამ ერის მენტალიტეტსა და ფსიქიკაზე სრულიად დამანგრეველად მოქმედებს.

**- ეს არ არის "დედაენისა" და მშობლიური ლიტერატურის ალტერნატივა. ასე არ უნდა განვიხილოთ. ჩემი აზრით, მას აქვს კონკრეტული, მკაფიო ამოცანა, - ყმაწვილი აზროვნების სისხარტეს შეაჩვიოს, გამოსავლის ძებნა ასწავლოს და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ თვითონ ამ ლიბერალურ ფასეულობებს, დემოკრატიულ ღირებულებებსა და ქართულ ტრადიციას და ქართული კულტურის ისტორიას შორის არავითარი კონფლიქტი არ არის. შეიძლება ამ კონფლიქტის ილუზია იყოს იმიტომ, რომ ამის განმხორციელებლები ხშირად არ იცნობენ და არც განცდილი აქვთ ქართული სახელმწიფოს და ქართული კულტურის ისტორიას, ანუ ქართველი ერის სულიერი თავგადასავალი. მეორე მხრივ, ზერელე და ზედაპირული წარმოდგენა აქვთ იმ ლიბერალურ ღირებულებებსა და დემოკრატიულ ფასეულობებზე, რომლის მოსარჩლეებადაც თავი დაუდიათ. კონფლიქტი შეიძლება თვითონ ამ ადამიანებში იყოს, ჩემი აზრით, და არა დასავლურ ღირებულებებსა და ქართული კულტურის ტრადიციებს შორის.**

- ესენი განმხორციელებლები კი არ არიან, არამედ ეს არის ერთი საზოგადოება, ჩამოყალიბებული საზოგადოება, რომელსაც აქვს მიზანი - ადამიანის ფსიქიკაზე მუშაობა.

**- თქვენი აზრით, არის წადილი უვარგისად მიიჩნიონ ის, რისი თანაზიარიც თვითონ ვერ გახდნენ?**

- ვიმეორებ, ეს მიზანმიმართული ქმედებაა. მე ვერ ვიჯერებ, რომ ეს ხალხი არ არის რაღაცის თანაზიარი, და არ მოსწონს, ვთქვათ, შოთა რუსთაველი, ან ილია ჭავჭავაძე, ან არა აქვს ვაჟა-ფშაველას გენიალურობის ადეკვატური შეგრძნება. წერისას ორთოგრაფიული შეცდომისაგან ან მეტყველებისას რაღაც ლაფსუსისაგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ მე ვერ ვიჯერებ, რომ ამ ხალხს არა აქვს განცდა ჩვენი, ფანტასტიკური ქართული ღირებულებებისა.

**- თუ განცდა არის, ამან არ შეიძლება, უკვალოდ ჩაიაროს.**

- არ შეიძლება, მაგრამ ადამიანის ყურადღება რომ მოასუსტოს, უნდა დაგიპყროს და ისე გაკეთებინოს თავისი საქმე.

**- ამ განზრახვის გაჩენას თუკი ადამიანის ბიოგრაფიაში ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ის განცდილი, მშობლიური სამყარო თავისი ლიტერატურით, თავისი ფრესკული ხელოვნებით, თავისი საგალობლებით, მაშინ ეს ადამიანი ამ საქმეს ვერ მოკიდებს ხელს, რანაირი მითიური დირექტივაც არ უნდა დაუსახონ.**

- მაგაშია საქმე, რომ ვერ იზამს. მე არ მჯერა, რომ ის განცდა არა აქვს და რაღაც არ მოსწონს საოცარი სიცხადით. პირიქით, ვიცი ადამიანები, ვისაც აქვთ ქართული კულტურით სიხარულის განცდა და ჩაეწერნენ ამ ფსიქოლოგიურ ომში. ხელოვნებამ ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა ქვეყანაში აჯობა პოლიტიკას. ადამიანისთვის ხელოვნება დიდი მოვლენაა. მე არ მჯერა, რომ ამათ ეს განცდები არ ჰქონდეთ, მაგრამ სწორედ რომ დირექტივებია, დოქტრინებია შემოსული იმის თაობაზე, როგორ გაანადგურონ ადამიანი ისე, რომ არ დაუტოვონ ხვალინდელი დღის შეგრძნება და შენებაში არ მიაღებინონ მონაწილეობა. უნდა აგიყოლიოს, მაგრამ შენ არ გეკითხება, გინდა თუ არა ამის შენება და სხვა რამის ნგრევა. არ გეკითხება. ესაა მთავარი. შიშის ფენომენი შემოაქვს. გაშინებს. მსოფლიო ჩემპიონებს, ვინც გუშინ ალტაცებას გვგვრიდა, დღეს რომ მიწაზე თავს არტყმევინებენ და ამას გაჩვენებენ, რომ დაითრგუნო.

**- ხელოვნებას და პოლიტიკას შევეხეთ. ხელოვნება ხანდახან მეტ ტვირთს და მისიას იღებს, ვიდრე მშვენიერებასთან ზიარებაა და ადამიანის სულიერი ამაღლება. აი, ახლა, რა თემებზე ვსაუბრობთ. ლექსის მწერალი ვესაუბრები არტისტს და მხატვარს. და ვლაპარაკობთ ისეთ თემებზე, რაზეც ადრე არასდროს გვილაპარაკია. ეს კარგიც არის და ცუდიც.**

- ჰო, მაგრამ მათი გ ზები და აზროვნების მიმართულება ჩემთვის მიუღებელია. ხელოვნების მიმართაც მათი არაადეკვატური დამოკიდებულება მიუღებელია. როცა სჭირდებოდათ "წვიმის მუსიკოსები", რევოლუციისთვის ცაში აიყვანეს და ხელით ატარეს. ახლა ეს მუსიკოსები ქუჩაში დარბიან და პასუხს თხოულობენ - ჩვენ ამას არ ველოდით, გაგვაგებინეთ, რა ქვეყანას აშენებთო. არ შეიძლება წელიწადნახევარში თუ ორ წელიწადში ადამიანებს ასე გაუცრუო იმედი. თქვენც მხარს უჭერდით რევოლუციურ ცვლილებას, ამ ვითომ მშენებლობის პროცესებს, მაგრამ ახლა თქვენგან ნათქვამი სამი ფრაზით მივხვდი ყველაფერს, როცა ტელევიზიით თქვით, რომ ხალხის ჩანაცვლება მოხდა და ცვლილება მკაფიოდ არ ჩანს.

**- ერთი აზრი მქონდა ამასთან დაკავშირებით მაშინაც და ახლაც. ხომ საშინელებაა დღევანდელი განუკითხაობა და სისხლის მდინარეები ქალაქის ქუჩებში, მაგრამ ამ სისხლის ნაკადებით ძველი ხელისუფლება თავისი აქტიური თუ პასიური მხარდამჭერებით თავის ცოდვა-ბრალს ვერ გარეცხავს. ერთის ცოდვა მეორეს ვერ აცხოვნებს. მაგრამ, სიტყვა - შურისძიება, ჩემს კარაბადინში არ წერია. ჩემი განზრახვა იყო, საქართველოში არ შექმნილიყო პრეცედენტი, რომ ერთ კაცს მთელი სიცოცხლე თავის ნება-სურვილზე ეტარებინა ქვეყანა, ერი, და ასე ხალხის მონურ შემგუებლობაში გაესრულებინა თავისი "ვალი". როცა ქუჩაში გავედი, ამ პრეცედენტის დაშვება არ მინდოდა, შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. ჩემი ღრმა რწმენით, სამომავლოდ არ ივარგებდა, თუკი ერთ ადამიანს ასეთი რამ გაუვიდოდა, რადგან ეს უკვალოდ არ ჩაივლიდა და ერის ფსიქიკაზე დამღუპველად იმოქმედებდა. ახლაც მეუბნებიან, ერთი წელიღა იყო დარჩენილი და დაგვეცადაო. ერთი დღეც რომ ყოფილიყო დარჩენილი, ქუჩაში გავიდოდი, რომ ეს პრეცედენტი არ შემდგარიყო. ეს იყო მთავარი ამოცანა და კიდევ ის, რომ აღარ ჰქონდა ქვეყანას შანსი, და გაჩნდა შანსი. ეს შანსი ახლაც ცოცხალია და ჩვენი ვალია გამოვიყენოთ. იქ, როგორც მერე გაირკვა, სხვადასხვა განზრახვით იყო ხალხი მოსული. ყველაფერი დრომ გაარკვია - ზოგი თურმე პოლიტიკური კარიერის გაკეთების, ზოგიც - საშოვარზე, ზოგი - ვიღაცის ჩანაცვლების, ზოგი, საზოგადოების უმეტესი ნაწილი კი - მართლა ცვლილების სურვილით. ესეც გამოჩნდა. ამას იმ წუთში, რაც არ უნდა თქვა, ან დაგიჯერებენ, ან არა, მაგრამ მერე დრო საგულდაგულოდ გაჩხრეკს ყველაფერს, შენ რა განზრახვა გქონია და სხვას - რა. მე თამამად მაშინ ვიტყვი, რომ ძირეული ცვლილება მოხდა, როცა სასამართლო სრულ დამოუკიდებლობას მიაღწევს და ჩინოვნიკსაც იგივე სიფრთხილე გაუჩნდება, როგორც სხვა მოქალაქეს. თუმცა ყოველთვის დავიტოვებ ხელოვანისთვის დამახასიათებელ იმ პრინციპს, რომელიც ლადო ასათიანმა გამოხატა სიტყვებით: "ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა". ეს მუხტი თუ გაქრა ხელოვანში და მეორე ადამიანისთვის გადამდები არ შეიქნა, პროგრესი გამორიცხულია.**

- არაჩვეულებრივი სიზუსტით ჩამოაყალიბეთ სათქმელი. მე მაინც მრისხანე თვალით ვხედავ ყველაფერს. არ მინდა, რომ ასეთი თვალი მქონდეს. მინდა, რომ ლოიალური ვიყო, მაგრამ რასაც ვხედავ, ეპატაჟია. სულ გამოწვევაა, სულ თითის ქნევაა, სულ შიშის და ძრწოლის თესვაა. ისტორიის არც ერთი გაკვეთილი არ გვასწავლის, რომ უნდობლობა და შიშის თესვა რამეში წაადგებოდეს ქვეყანას. და არც ის შეიძლება, რომ ყველაფერი შენს ნებაზე აკეთო და არავის არაფერს დაეკითხო. კი ბატონო, არის კარგი მოვლენებიც. თუნდაც პატრულის გამოჩენა. რადგან ის ჩემს ღირსებას იცავს ქუჩაში. მაგრამ ამ პატრულსაც ახლა რაღაც სხვანაირი დირექტივები აქვს, რაღაც უცნაური წესები შემოვიდა... ადამიანის პატივისცემაა ჩემთვის მთავარი პრიორიტეტი. აღმშენებლობა და ადამიანის ღირსების დაცვა ერთი პროცესია. ესაა ქვეყნის შენება.

**- ერის კულტურა სახელმწიფოს შენებაშიც გამოიხატება.**

- ხელოვნებაში მთავარია არა ის, თუ რას აკეთებ, არამედ ის, თუ როგორ აკეთებ. სიტყვა "როგორ?" ჩემთვის ხელოვნებაში მთავარი დირექტივაა. ამაში ჩანს პროფესიონალიზმი, დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, ეს არის დაგროვებული გამოცდილების გამოტანა. გამოტანა კი ნიშნავს, რომ შენი აზრი მაინტერესებს. და ამიტომ ველოდები აპლოდისმენტებსაც. ამის მიხედვით ვაფასებ, ღირსეული იყო თუ არა ის, რაც შემოგთავაზე. მოხდა თუ არა ჩვენ მიერ ერთმანეთის დაფასება. სცენაზე თამაშისას უნდა გამოჩნდეს რაღაც დამოკიდებულება; ბიბლიური წესით ვცხოვრობთ ყველანი. ეთიკურ ნორმებზე როცა ვლაპარაკობთ, გვახსენდება, რომ კოდექსთა კოდექსი არის ბიბლია. იქ საყოველთაო გაფრთხილებაა ადამიანებისადმი და ეს მარტო მე კი არ მეხება, ყველას ეხება. სიტყვა "მდაბიო" ჩემთვის არ უნდა არსებობდეს. ადამიანის ფენებზე ლაპარაკი საერთოდ მომაკვდინებელია.



**- ანტიკური ხანიდან დაწყებული, თეატრი მიისწრაფვოდა კათარზისისკენ და ზოგადად ხელოვნების დანიშნულება იყო კათარზისი, განწმენდა. ხელოვნების დანიშნულება ყოველთვის იყო, ყოველდღიურ პრობლემებში ჩაძირულ ადამიანს მთავარი გაახსენოს. ახლა პირიქით ტენდენციას ვხედავ - მთავარი ის კი არ არის, რაც ხელოვნების დანიშნულება იყო და არის - მარადიული ღირებულება, არამედ მთავარი "გახდა" ყოველდღიური, ყოფითი აქცენტები პარლამენტში თუ ხელისუფლებაში სკანდალური მოვლენებისა. ერთი სიტყვით, ღირებულებათა აღრევა ხდება. მთავარი ყოველთვის სულიერი ამაღლება იყო, სულიერი გადარჩენა, ახლა კი მთავარი რომელიმე თუნდაც ძალზე მნიშვნელოვან ორგანიზაციაში გაწევრიანება გახდა. ისეთ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომელიც სიკეთეს მოუტანს შენს ქვეყანას, კარგია, მაგრამ ეს არ არის მთავარი, ეს, უბრალოდ საშუალებაა და უნდა ემსახურებოდეს მთავარს.**

- მე მინდა, რომ ჩემი ქვეყნის ნააზრევი, კულტურა გავაგებინო მსოფლიოს. მე ვარ კულტურის მედიატორი. მინდა, რომ ჩემი ქვეყანა სხვამაც დააფასოს. მე შუაში ვდგავარ და იმ სხვას ჭოგრიტი უნდა მივცე ხელში, რომ კარგად დავანახო, რისი პატრონი ვარ. მაგრამ ამისთვის მე მხარში ამოდგომა მჭირდება. და იმ საზოგადოებაში გაწევრიანებაც იმისთვის მინდა, რომ უკეთესად მოვუარო იმ დიდ საგანძურს, ქართული კულტურა რომ ჰქვია.

> ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა
>
> *ბენედეტო კროჩე*

# ანბანი და პოლიტიკა

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეზარაშვილი**

ვინ შექმნა რუსული დამწერლობა? ამ კითხვაზე ყველას მზა პასუხი აქვს თესალონიკელმა ძმებმა, მოციქულთა სწორმა წმინდანებმა, კირილემ და მეთოდემ. კაცმა რომ თქვას, ისინი ასე უნდა მოვიხსენიოთ: მეთოდე და კირილე (უფროსობით), ან სულაც მიხეილი და კონსტანტინე, რადგან სწორედ ასე ერქვათ დრუნგარი ლეონის ვაჟებს, სანამ სასულიერო წოდებას მიიღებდნენ. სტრატიგოსის თანაშემწე (დრუნგარი) ლეონი საკმაოდ მაღალი ჩინის მფლობელი იყო ბიზანტიის იმპერიაში. მის გარდა კი ძმებს, რომელთა შორის ასაკობრივი განსხვავება თორმეტი წელი იყო, მფარველად ჰყავდათ ყოვლისშემძლე ლოგოთეტი, საჭურისი თეოქტისტე. ეს მფარველი იმდენად გავლენიანი იყო, რომ მიხეილმა ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო მშობელზე უფრო მაღალი თანამდებობა და თემის სტრატიგოსი გახდა, ანუ ბიზანტიის მმართველი ელიტის პირველ ორმოცდაათეულში შევიდა. თეოქტისტეს პროტექციები იქით იყოს, მიხეილი მშვენივრად უძღვებოდა საქმეს, რადგან მნიშვნელოვანი ორგანიზატორული ნიჭი გამოადგა. ამ ნიჭს ყოველთვის იყენებდა: ძმასთან ერთობლივი მოღვაწეობისას და მოგვიანებითაც, კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ. როდისღა მოასწრო დარწმუნება, რომ ყოველივე ამსოფლიური ამაოება არს, როგორც მისი ჰაგიოგრაფიული ცხოვრებანი ირწმუნებიან? ეს მეტად საინტერესო ვითარებაში მოხდა: მიხეილი უკვე ორმოცს იყო გადაცილებული, როცა 856 წელს მცირეწლოვანი იმპერატორის სახელის მატარებელი მმართველი ტრიუმვირატი დაიშალა — მისი დედის, თეოდორას ბიძა, მანუილი გარდაიცვალა, თვით თეოდორა ძალაუფლებას მოწყურებულმა პატრიკიოსმა ვარდამ მონასტერში ჩაკეტა, დიდი ლოგოთეტი თეოქტისტე კი მოაკვლევინა. ვარდა მცირეწლოვანი მიხეილ მესამის ერთადერთი წარმომადგენელი გახდა და, ბუნებრივია, ძველი მმართველების რიგებში წმენდა დაიწყო. პოლიტიკური დევნის შავმა ჩრდილმა გადაურბინა თეოქტისტეს პროტეჟეებს: სწორედ რომ სათანადო დროა ამა სოფლის ამაოებაში დასარწმუნებლად, მონასტერი კი არცთუ ყველაზე უარესი საშუალებაა სიცოცხლის გადასარჩენად.

დასკვნა შემდეგია: დევნისაგან თავის გადასარჩენად ორმოცდაერთი წლის მაღალჩინოსანი საკუთარ სიცოცხლეს მონასტერში ინარჩუნებს და მეთოდეს სახელით ბერად აღიკვეცება. ეს ნაბიჯი სულაც არ ნიშნავს ჩიხს: სასულიერო ასპარეზზე კარიერა საეროზე არანაკლებ წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს.

რაც შეეხება უმცროს ძმას, კონსტანტინეს, მასზე ამბობენ, რომ ბავშვობიდან ძალიან ნიჭიერი იყო და სულ საღვთო საგნებზე ფიქრობდა. და მაინც, სასულიერო სასწავლებელში კი არ შევიდა, არამედ ლეონ მათემატიკოსის მიერ დაარსებულ მაგნავრის უნივერსიტეტში, იმპერიის უმაღლესი კადრების სამჭედლოში. უცნაური არჩევანია? უცნაურობები აქ არ მთავრდება —



მოციქულთა სწორნი - კირილე და მეთოდე. თანამედროვე ხატი.



სწორედ ასეთი ლუზა შეაბეს კისერზე წმინდა კლიმენტს

# ცენტნერიანი ბილეთი რომისკენ

საინტერესოა, რომ მორავიიდან კირილე და მეთოდე კონსტანტინოპოლში კი არ დაბრუნდნენ, არამედ რომში გაემგზავრნენ პაპის, ნიკოლოზ პირველის მოწვევით. ამ მგზავრობის შესახებ მრავალი თვალსაზრისი არსებობს. ჰაგიოგრაფიული ლეგენდები სხვადსხვა ვერსიას გვთავაზობენ: პაპი აღფრთოვანებული იყო ძმების მოღვაწეობით და ამიტომ მიიწვია ისინი, თან კირილეს რომში ჩასვლის აღთქმაც ჰქონია დადებული, სხვათა აზრით, რომში საღვთო წერილის სლავური თარგმანი წარადგინეს (ნეტა ვინ შეაფასებდა?!), ყველაზე გაბედული თვალსაზრისით ნიკოლოზმა ძმები იმიტომ მოიხმო, რომ ღვთის ანგელოზებად მიიჩნევდა მათ.

ისტორიკოსები კი სხვას ფიქრობენ, მაგალითად, პროფესორი ნ. გრაციანსკი წერს, რომ ყველაფრის მიზეზი ვენეცია იყო, საიდანაც უფრო ადვილი იყო კონსტანტინოპოლში დაბრუნება, მაგრამ სწორედ იქ მიიღეს ძმებმა პაპის მოულოდნელი მოწვევა. მაგრამ, ვენეცია კი არა, ბულგარეთი იყო უფრო ადვილი გზა: თუნდაც იმიტომ, რომ ძმებს მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ მეფე ბორისთან. და მაინც, რომში ჩავიდნენ. ამის გასაგებად უნდა გავიხსენოთ ერთი ამბავი, რომელიც კირილეს ხერსონესულ პერიოდს ეხება.

იქ, შავი ზღვის ნაპირზე იპოვა კირილემ რომის მეოთხე პაპის, წმინდა კლიმენტის ძვლები. ჰაგიოგრაფიის თანახმად, კლიმენტი წარმართებმა რომიდან ჯერ ხერსონესში გადაასახლეს, მერე კი ქრისტიანობის ქადაგებისთვის ყელზე ლუზა შეაბეს და ზღვაში დაახრჩვეს. ბერძნულ ენაზე დაწერილი აპოკრიფული "წამება" მოგვითხრობს, რომ იმ ადგილებში ზღვა ორი მილით უკან იხევდა წელიწადში ერთხელ და სახილველი იქმნებოდა ღვთაებრივი ძალით შექმნილი სარკოფაგი მოწამის ძვლებით. ეს ისტორია IV საუკუნეზე უფრო ადრე დაწერილი ვერ იქნება. მართალია, მოქცევის სიმაღლე შავ ზღვაში არასოდეს აღემატება 20 სანტიმეტრს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი რეჟიმი მხოლოდ მას შემდეგ დამყარდა, რაც კირილემ IX საუკუნეში კლიმენტის ძვლები ამოიღო.

ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში ლუზა ქვისგან მზადდებოდა და ხშირად გამოიყენებოდა მეზღვაურებისა და მეთევზეების საფლავის ქვად. შესაძლოა, სწორედ ამგვარი საფლავიდან ამოიღო კირილემ ძვლები და მერე თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში თან ატარებდა. რატომ არ დატოვა კონსტანტინოპოლში? რატომ წაიღო თან მორავიაში?

იმიტომ, რომ სწორედ რომი იყო მისი საბოლოო მიზანი. რომში კი აგროვებდნენ რელიკვიებს, აგროვებდნენ ძვლებს, პირველი პაპების ნაქონ ნივთებს, ყველა, სულ მცირე მოწმობასაც კი, რომელიც მთელ საქრისტიანოს დაუმტკიცებდა მარადი ქალაქის ეკლესიის პირველობას. პოლიტიკაში მშვენივრად გარკვეულმა ძმებმაც იცოდნენ, რომ ძვლები, რომლებსაც ლუზას მოაყოლებენ, საუკეთესო საშუალება იქნებოდა დასავლური ქრისტიანობის ცენტრში მისასვლელად. მით უმეტეს, რომ დღესაც კათოლიკურ ენციკლოპედიაში შავით თეთრზე წერია: "ლუზა არის წმ. კლიმენტი რომაელის რელიკვიის იდენტურობის ერთადერთი ნიშანი".

## ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

თვით ჰაგიოგრაფიულ ცხოვრებებშიც კი ჩამოთვლილია კონსტანტინეს ინტერესები: გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, ჰომეროსის პოეზია და სხვა ელინური ზღაპრები. ამავე დროს ნათქვამია, რომ ყრმა მუდამ საღვთო საგნებზე ფიქრობდა. როგორ ავხსნათ ეს შეუსაბამობა? კაცმა რომ თქვას, IX საუკნის ბიზანტიაში ჯერ არ ყოფილა ისე ფესვგადგმული სამონასტრო ცხოვრება და გემოვნება, როგორც ამას გვიან შეთხზული ჰაგიოგრაფია ამტკიცებს. მაშინ პატრიარქებადაც იმპერატორის კარის ჩინოვნიკებს ირჩევდნენ და არა ასკეტური ცხოვრებით გამორჩეულ ბერებს. ასკეტიზმმა თურქების გამოჩენის მერე მოიკიდა ფეხი, როცა საერო ცხოვრების ღრმა კრიზისი დაეტყო ბიზანტიას. ასე რომ, კონსტანტინეს საღვთისმეტყველო ინტერესები სულაც არაა გამოგონილი რამ: უნივერსალური ინტერესების მქონე ახალგაზრდა, უბრალოდ ვერ აარიდებდა თავს მაშინდელი კულტურული ცხოვრების ამ მეტად საინტერესო და აქტუალურ სფეროს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სასულიერო წოდების მიღება მას სულ სხვა გარემოებებმა აიძულა. ეს დაახლოებით 847 წელს მოხდა. თეოქტისტემ განიზრახა კონსტანტინეს დაქორწინება, თავის ნათლულზე. ამგვარი კავშირი, სხვათა შორის, დიდი თანამდებობისკენ გზას გაუხსნიდა ყმაწვილს, მაგრამ ქორწინება რატომღაც დაუძლეველ სიძნელედ მოეჩვენა ყმაწვილს. ერთადერთი გზა, არ ეწყენინებინა დიდი მფარველისათვის, ბერად აღკვეცა იყო. კონსტანტინეც აღიკვეცა კირილეს სახელით და წმინდა სოფიას ტაძრის საპატრიარქო ბიბლიოთეკის მცველის თანამდებობა მიიღო.

აქ არის ერთი ეპიზოდი: ცხოვრებანი მოგვითხრობენ, რომ კირილე ბიზანტიას განეშორა და ხერსონესის (დღევანდელი სევასტოპოლის) მონასტერში დასახლდა. სინამდვილეში ბერი ყირიმის შორეულ მხარეს თვითნებობისთვის გადაასახლეს, მაგრამ მალევე შეუნდეს და კონსტანტინოპოლში დაბრუნებული მაგნავრის უნივერსიტეტში დანიშნეს ფილოსოფიის მასწავლებლად. ამასობაში, 858 წელს მისი ახლო მეგობარი, ფოტი გახდა ბიზანტიის პატრიარქი და თესალონიკელმა ძმებმა ახალი გავლენიანი მფარველი შეიძინეს.

აქ კი მცირე შესვენება გვმართებს. ყველა დიდი იმპერია ან თუნდაც, ცივილიზაცია ყოველთვის ცდილობდა საზღვრებს გარეთ საკუთარი კულტურული გავლენის გავრცელებას. ქრისტიანობის მატარებელი მისია შორეულ ქვეყნებში ყოველთვის ამ მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ, აქ შეინიშნება არცთუ მცირე განსხვავებები. მაგალითად, დასავლეთი ყოველთვის ცდილობდა ჯერ საკუთარი თავის, მერე კი სხვათა გაერთიანებას ლათინური ენის დუღაბით. ეს მცდელობა თავისი იდეალური ფორმით წარუმატებელი აღმოჩნდა. გაცილებით უფრო ვერაგულად და ეფექტურად მოქმედებდა ბიზანტია: ის ენებს კი არ ახვევდა თავზე, არამედ ანბანს, თანაც მოდიფიცირებული სახით. ეროვნული ენა ამგვარად განვითარების ახალ სტიმულს იძენდა, კულტურული გავლენა კი სულაც არ აღიქმებოდა დამპყრობლის ძალადობად. იგივე მეთოდები აითვისა საბჭოთა კავშირმაც — ბიზანტიის იმპერიის რეციდივმა ინდუსტრიულ ეპოქაში. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ემახსოვრებათ რუსული ანბანის ბაზაზე შექმნილი ჩეჩნური, ოსური, აფხაზური, იაკუტური, ბურიატული თუ სხვა დამწერლობები. ამით იქმნებოდა ლოკალური პატრიოტიზმები და საბჭოთა იდეოლოგიაც შეუმჩნევლად დგებოდა ეთნიკურ ნიადაგზე. ან იქნებ, ეთნიკური სულისკვეთება იმსჭვალებოდა საბჭოთა იდეოლოგიით, ახლა ვინ გაარკვევს ამას... ბიზანტიაც ამგვარ მეთოდს მისდევდა, რომელიც მშვენივრად ამართლებდა საკუთარ თავს: ჯერ ერთი, მეორე ენის სწავლა ყველას ეზარება, რაც არ უნდა მაღალი კულტურის მატარებელი იყოს, მეორეც, მეზობლები, რომლებსაც საერთო ენა არ გააჩნიათ, ძნელად მორიგდებიან ერთმანეთში შენს წინააღმდეგ. ასე



*მე-11 საუკუნის სლავური სახარება. გლაგოლიცაზე დაწერილი.*

რომ, ბიზანტიის ლოიალობას ეროვნულ ენებზე ღვთისმსახურების მიმართ არაფერი ეცხო არც უანგარობისა და არც ტოლერანტობისა — ეს "გათიშე და იბატონეს" ადგილობრივი ვარიაცია იყო მხოლოდ.

აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბიზანტიური ეკლესია, დასავლურისგან განსხვავებით, არასოდეს კრებდა გადასახადს მოსახლეობისგან. ფორმალურად იგი ნებაყოფლობით შეწირულობებზე არსებობდა, რეალურად კი ადგილობრივ ხელისუფალთ აწერდა თანხებს. კონსტანტინოპოლში ეკლესია კარგა ხანია ქცეული იყო "სარწმუნოების სამინისტროდ" და ჩაწერილი იყო სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სტრუქტურაში.

აქედან გამომდინარე, ქრისტიანული მისია ყოველთვის იყო ბიზანტიისთვის დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და ეფექტური სფერო და საგანი. ყოველი დიპლომატი მისიონერი იყო და ყოველი მისიონერი — დიპლომატი. ასე რომ, ვერავითარი პოლიტიკური დევნა ვერ ათქმევინებდა იმპერიას უარს კირილესა და მეთოდეს ნიჭიერებაზე. იმპერატორი მიხეილ მესამე (მეტსახელად ლოთი) და პატრიარქი ფოტი ძმათა უნარიანობას მშვენივრად იყენებდნენ, მსგავსად იმისა, როგორც სტალინი იყენებდა, მაგალითად, ფორმალურად დაპატიმრებული ავიაკონსტრუქტორების, იაკოვლევისა და კოროლიოვის კომპეტენციას.

IX საუკუნის მეორე ნახევარშიც არ იყო ძალიან დაწყნარებული პოლიტიკური კლიმატი ბიზანტიის ირგვლივ: სამხრეთიდან არაბები უტევდნენ, ჩრდილოეთში ხაზართა კაგანატის იუდაური სახელმწიფო ყოველთვის ერთობ ძნელ მეზობლობას უწევდა კონსტანტინოპოლს, დასავლეთში რომის პაპი ნიკოლოზ პირველი ამრეზით უყურებდა ფოტის, რადგან ამ უკანასკნელის პოლიტიკური კონკურენტის, ეგნატე ასბესტასის მეგობრებმა აურიეს გონება. ამგვარ ვითარებაში კი მართლაც საჩუქრად გამოჩნდა მორავიის თავადის, როსტისლავის ბიზანტიაში მოულოდნელი ვიზიტი. გერმანელებისაგან თავის დასაცავად დღევანდელი ჩეხეთის წინამორბედმა ქვეყანამ ბიზანტიას მიმართა. გამოჩნდა არნახული პერსპექტივა: ცენტრალური ევროპის ნათლობა ბიზანტიური წესით და ამ ტერიტორიაზე პოლიტიკური გავლენის გავრცელება.

ამ საქმის განსახორციელებლად კი კირილესა და მეთოდეზე უკეთესი კანდიდატურები მაშინდელ იმპერიას არ გააჩნდა. ძმებიც მალე გაემგზავრნენ მორავიაში და იქ თავიანთი მისია შეასრულეს. დიახ, დღევანდელ კათოლიკურ ჩეხეთში შეიქმნა სლავური დამწერლობა და არა ბულგარეთში, როგორც ბულგარელთა უმრავლესობას ჰგონია. თანაც საკმაოდ ბანალური მიზნით: ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა დროს იქმნებოდა უდმურტული და ბაშკირული ალფაბეტები. ამგვარი "ეროვნული" დამწერლობის შექმნამ ხანგრძლივად შეაჩერა რუსეთის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და კულტურული განვითარება, საქრისტიანოს პროვინციად აქცია ის XVII საუკუნის ბოლომდე, როცა მოსკოვის ტახტზე პეტრე პირველი ავიდა და დაიწყო პეტერბურგის პერიოდი — ყველაზე ბრწყინვალე, მაგრამ ორაზროვანი ხანა რუსეთის ისტორიაში.

თუმცა, ამაში თესალონიკელ ძმებს ბრალი ნამდვილად არ მიუძღვით. IX საუკუნის მეორე ნახევარში არავინ იცოდა, რომ 988 წელს კიევის დიდი მთავარი ვლადიმირ სვიატოსლავიჩი მოინათლება ბიზანტიური წესით და ცოლად ბასილევსების დას შეირთავს. არავინ ფიქრობდა, რომ კიევის რუსეთში ქრისტიანობასთან ერთად კირილიცად წოდებული სლავური ანბანი შევა და საუკუნეთა განმავლობაში წყნარ ოკეანემდე მიაღწევს. არც ის იცოდა ვინმემ, რომ 1453 წლის 29 მაისს დიდ კონსტანტინოპოლში თურქები შევლენ, 1461 წელს კი დაეცემა ტრაპიზონის ციხე-სიმაგრე, ბიზანტიის ბოლო პლაცდარმი.

მაგრამ, მაინც საოცარი რამ მოხდა: ლამაზია დასავლური იდეა — მისცე ერთიანი საკომუნიკაციო ენა ევროპას. მაგრამ, ეს იდეა პოლიტიკური თვალსაზრისით საბოლოოდ უტოპია აღმოჩნდა (მერე რა, რომ ლათინური ენა დღემდე ცოცხალია მრავალ სამეცნიერო დისციპლინაში). სამაგიეროდ, ენათა გაყოფის ბიზანტიური მეთოდი დღემდე ცოცხლობს: ახალი, განსხვავებული დამწერლობის შექმნა ახალ, განსხვავებულ სამყაროს ქმნიდა. ეს სამყარო კმაყოფილი იყო თავისი განვითარების ნახტომით და ამ კმაყოფილებაში ვერ ამჩნევდა საკუთარ პროვინციულობას, აზრადაც არ მოსდიოდა პირველობისკენ სწრაფვა. უფროსი ძმის მიერ შექმნილი დამწერლობით გაერთიანებული ადამიანები ვერ ხედავდნენ თავიანთ მოკვეთილობას, იმის აინუნში არ იყვნენ, რომ მაღალი ცივილიზაციის მონაპოვრებთან არავინ უშვებდათ. სწორედ ასე არიგებდნენ მერე მესამე რომის, მოსკოვის წარმომადგენლები სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს "ნაცმენთა" შორის. ამგვარი წოდებების მფლობელნი მეექვსე გრძნობით, ცხოველური გუმანით ცნობენ თვიანთ პატრონს და ამიტომაც მიუწევთ გული იგორ გიორგაძის მიტინგებისა და "ანტისოროსის" მსვლელობებისკენ.

ბიზანტიურ ყაიდაზე შექმნილი კულტურები მიტროპოლიის ყურმოჭრილი მონები ხდებოდნენ და, მეათასეჯერ ვიმეორებთ, ვერც ამჩნევდნენ ამას. მაგალითად, "პერესტროიკის" დროს ერთმა მღვდელმა რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ მეორის ცოლის შესახებ განაცხადა, რომ მან (ქალწულობაში გერმანელმა პრინცესამ, ალისა ფონ ჰესენ-დარმშტადტმა) რუსეთში ჩამოსვლისას "ქრისტიანობა მიიღო". არა მართლმადიდებლობა, არამედ ქრისტიანობა! — თითქოს მანამდე წარმართი ყოფილიყო.

და კიდევ: არსებობს ერთი ენა — სერბო-ხორვატული. მასზე ლაპარაკობენ სერბები და ხორვატები. ოღონდ სხვადასხვანაირად წერენ: სერბები კირილიცაზე, ხორვატები — ლათინური ასოებით. სადაა განვითარებისა და ცხოვრების დონე უფრო მაღალი? — იმედია, ზუსტი პასუხი საჭირო არაა.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: 1920-იან წლებში ბოლშევიზმის ძირითადი განწყობა მსოფლიო რევოლუცია იყო. ეს აშკარად დასავლური იდეაა, ამიტომაც მზადდებოდა რუსული ენის ლათინურ ანბანზე გადასვლის რეფორმა, რომელსაც ბრწყინვალედ გაართვა თავი აკადემიკოსმა ნიკოლოზ თეოფანეს ძე იაკოვლევმა (1892-1974). მაგრამ,1931 წლიდან იოსებ სტალინმა ბიზანტიური მოდელი არჩია: სოციალიზმის აშენება ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში, სხვა სიტყვებით, იდეოლოგიური იზოლაცია და სატელიტი ეთნოსების ჩამოყალიბება-წახალისება მოდიფიცირებული ალფაბეტების მეშვეობით. ამიტომაც ისმის სულ უფრო ხშირად ხმები, რომ სტალინი გულის სიღრმეში მართლმადიდებელი იყო: აქაც ბიზანტიული სულის მონები იდუმალი გეშით, ცხოველური გუმანით გრძნობენ თავიანთ პატრონს და ისწრაფვიან მისკენ. თუმცა მკვდრები, როგორც ვიცით, ღვთის უშუალო ჩარევის გარეშე არ ცოცხლდებიან.

იტალო
კალვინო



# უჩინარი ქალაქები

ლელა ბერიძის
თარგმანი იტალიურიდან

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №1, 2, 3, 4, 5, 6

## VII თავი

ყუბლაი: - არ ვიცი, როდის მონახე დრო და მოასწარი ყველა იმ ქალაქის მონახულება, მე რომ აღმიწერ. მგონი, ამ ბაღიდან ფეხიც არ გაგიდგამს.

პოლო: - ყველაფერს, რასაც ვხედავ და ვაკეთებ, აზრი ეძლევა მხოლოდ გონების სივრცეში, სადაც ისეთივე სიწყნარე სუფევს, როგორც აქ, ისეთივე მსუბუქი ჩრდილი, ისეთივე სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ფოთლების ფაჩიფუჩი თუ გადაკვეთს. იმ წამს, როცა საფიქრელად მოვიკრებ გონებას, ყოველთვის ამ ბაღში აღმოვჩნდები ხოლმე, საღამოს ამ დროს, შენი იმპერატორული უდიდებულესობის წინაშე, თუმცა შეუსვენებლად მივუყვები ნიანგებით გადამწვანებულ მდინარეს ან დამარილებული თევზის კასრებს ვითვლი, ტრიუმზე რომ ჩამოცლიან.

ყუბლაი: - მეც არა ვარ დარწმუნებული, რომ აქ ვარ და პორფირის შადრევნებს შორის ვსეირნობ, თან წყლის ჭავლის ექოს ვისმენ, და ცხენზე ამხედრებული ოფლ- და სისხლშემხმარი არ მივუძღვი ჩემს ჯარს, არ ვიპყრობ იმ ქვეყნებს, შენ რომ უნდა აღმიწერო, ან თითებს არ ვასხეპავ თავდამსხმელებს, რომლებიც ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის გალავანზე მიცოცავენ.

პოლო: - იქნებ ეს ბაღი მხოლოდ ჩვენი დახრილი წამწამების ჩრდილის ქვეშ არსებობს, და არასოდეს შეგვიწყვეტია შენ - ბრძოლის ველზე ბუქის დაყენება, მე - შორეულ ბაზრებზე პილპილის ტომრების ფასზე ვაჭრობა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა შუა ხორხოცსა და ჭყლეტაში თვალებს მოვხუჭავთ, უფლება გვეძლევა, აბრეშუმის კიმონოებში გამოწყობილები აქ განვცალკევდეთ, რათა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, რასაც ვხედავთ და განვიცდით, რომ დასკვნები გამოვიტანოთ, შორიდან განვჭვრიტოთ.

ყუბლაი: - იქნებ ეს ჩვენი საუბარი ორ გლახაკს შორის ვითარდება, მეტსახელად ყუბლაი ხანსა და მარკო პოლოს რომ ეძახიან, ისინი ნაგვის გროვაში იქექებიან, აგროვებენ დაჟანგულ ნატეხებს, ქსოვილების ნაკუწებს, მაკულატურას, და ორი ყლუპი საძაგელი ღვინით მთვრალებს აღმოსავლეთის მთელი განძეულობების ბრწყინვალება ეჩვენებათ თავიანთ გარშემო.

პოლო: - იქნებ სამყაროსგან მხოლოდ ნაგვით დაფარული ერთი გაურკვეველი მიწაღა დარჩა და დიდებული ხანის სამეფო სასახლის დაკიდებული ბაღი. ჩვენი წამწამები ჰყოფენ მათ ერთმანეთისგან, მაგრამ არავინ იცის, რაა გარეთ და რა - შიგნით.

## ქალაქები და თვალები. 5.

მდინარეს გადატოპავს, უღელტეხილს გადალახავს, და კაცი ერთბაშად ქალაქ მორიანას პირისპირ აღმოჩნდება. ეს არის ქალაქი ალებასტრის ჭიშკრებით, გამჭვირვალენი რომ ხდებიან მზის შუქზე, მარჯნის სვეტებით, რომლებსაც სერპენტინით მოპირკეთებული ფრონტონები უჭირავთ, აკვარიუმებივით სულ მინის ვილებით, სადაც მედუზასფორმიანი ჭაღების ქვეშ ვერცხლისფერქერცლიანი მოცეკვავე ქალების ჩრდილები ცურავენ. თუ ეს კაცის პირველი მოგზაურობა არაა, მან უკვე იცის, რომ ამნაირ ქალაქებს უკუღმა პირიც აქვთ: საკმარისია, ნახევარწრე გაიარო, რომ მორიანას დაფარულ სახეს დაინახავ: დაჟანგული ფურცლოვანი რკინით დაფარულ სივრცეს, ტომრის ტილოს, ლურსმნებით სავსე ფიცრებს, შავად გაჭვარტლულ მილებს, ქილების გროვებს, ყრუ კედლებს გახუნებული წარწერებით, საჯდომჩავარდნილი სკამების ჩონჩხებს, მხოლოდ საიმისოდ ვარგის თოკებს, რომ მომპალ მორზე ჩამოიხრჩო თავი.

ერთიდან მეორე მხარისკენ რომ მიდიხარ, ქალაქი თითქოს პერსპექტივაში გაგრძელდება და თავის გამოსახულებების რეპერტუარს ამრავალფეროვნებს: სამაგიეროდ არა აქვს სისქე, მხოლოდ წაღმისგან და უკუღმისგან შედგება, როგორც ქაღალდის ფურცელი, აქეთ-იქით თითო-თითო ფიგურით, რომლებსაც არც ერთმანეთისგან მოშორება შეუძლიათ და არც ერთმანეთისთვის შეხედვა.

## ქალაქები და სახელი. 4.

სახელოვან ქალაქ კლარიჩეს ტანჯული წარსული აქვს. იგი რამდენჯერმე დაკნინდა და ისევ აყვავდა, ყველანაირი ბრწყინვალების უბადლო მაგალითად ყოველთვის პირველი კლარიჩე ჰქონდა, რომელთან შედარებითაც ქალაქის ამჟამინდელი მდგომარეობა სწორედ რომ დანანების გრძნობას ბადებს ვარსკვლავების ყოველ მოქცევაზე.

დეგრადაციის საუკუნეებში ჭირიანობისას იცლებოდა ქალაქი, კოჭების სისტემისა და კარნიზების მოშლის გამო სიმაღლეშიც დაბლდებოდა, ამას მეწყერებიც ერთვოდა, იჟანგებოდა და იჭედებოდა ტექნიკური პერსონალის დაუდევრობის თუ უსასრულო არდადეგების გამო, მერე კი მაინც ნელ-ნელა ისევ ივსებოდა მოსახლეობით: ნახევარსარდაფებიდან და ბუნაგებიდან ამოდიოდნენ გადარჩენილების ურდოები, რომლებიც თაგვებივით ხორხოცებდნენ ქექვისა და თქვლეფის მანიით აღძრულნი, იმ ჩიტებივით პოვნისა და ჩხირკედელაობის სურვილით შეპყრობილნი, რომლებიც ბუდეს იკეთებენ. ეჯაჯგურებოდნენ ყველაფერს, თუ რისი საიდანმე მოძრობა და სხვაგან წაღება შეიძლებოდა სხვა რამეში გამოსაყენებლად: ფარჩის ფარდები ზეწრებად იხმარებოდა; მარმარილოს ფერფლის ურნებში ოხრახუშს რგავდნენ; ნაჭედ რკინის გისოსებს ჰარამხანების ფანჯრებს მოადღლეზდნენ და ამით კატის ხორცს წვავდნენ ინტარსირებული ხის ცეცხლზე. გამოუსადეგარი კლარიჩეს შეუთავსებელი ნაწილებისაგან შენდებოდა და კოწიწდებოდა გადარჩენის კლარიჩე, მთლიანად ხუხულებით და ქოხმახებით, ინფიცირებული ღელეებით და კურდღლების გალიებით სავსე.

და მაინც ანტიკური კლარიჩეს დიდებულებისაგან თითქმის არაფერი დაკარგულიყო, ყველაფერი სახეზე გახლდათ, მხოლოდ განსხვავებული წესრიგით გაწყობილი, თუმცა მცხოვრებლების მოთხოვნილებებს წინანდელზე არანაკლებად მისადაგებული.

სიღარიბეს უფრო სიხარულიანი ეპოქები ენაცვლებოდა: საუცხოო პეპელა კლარიჩე ჩამოღლეტილი პეპლის ჭუპრი კლარიჩედან ამოძვრებოდა; ახალი სიუხვე ქალაქს ახალი მასალებით, შენობებით, საგნებით გადაავსებდა; მოაზღვავებდა ახალ ხალხს გარედან; არაფერსა და არარავის ესაქმებოდარამე წინანდელ კლარიჩესთან თუ კლარიჩეებთან; და რაც უფრო ტრიუმფალურად და მოხერხებულად ჯდებოდა ადრეული კლარიჩეს ადგილსა და სახელში ახალი ქალაქი, მით უფრო ამჩნევდა, რომ შორდებოდა ძველს, თაგვებზე და ხავსზე არანაკლებ სწრაფად ანგრევდა მას: ახალი ფუფუნებით კი ამაყობდა, მაგრამ გულის სიღრმეში უცხოდ, შეუთავსებლად, დამპყრობად გრძნობდა თავს.

და მაშინ ისევ გადააადგილებდნენ ადრეული დიდებულების გადარჩენილ ნაფლეთებს, რომლებიც იმან გადაარჩინა, რომ ყველაზე ბნელ მოთხოვნილებებს მიესადაგნენ, აი, ისინიც, მინის თავსახურების ქვეშ დაცულები, დაფებში ჩაკეტილები, ველვეტის ბალიშებზე დასვენებულები, ისინი გადარჩნენ არა იმიტომ, რომ კვლავ რამეში იყვნენ გამოსადეგნი, არამედ იმიტომ, რომ მათი საშუალებით იმ ქალაქის თავიდან აწყობა იქნებოდა შესაძლებელი, რომლისაც აღარავის გაეგებოდა რამე.

დაკნინება-აყვავებები ერთმანეთს მიეწყვნენ კლარიჩეში. მოსახლეობა და ტრადიციები რამდენჯერმე შეიცვალა; რჩება სახელი, ადგილმდებარეობა და საგნები, რომლებიც ყველაზე ძნელად ტყდება. თავისი სუნებითა და სუნთქვით ცოცხალი სხეულივით შეკრული ყოველი ახალი კლარიჩე ყელსაბამის დარად გამოამზეურებს ყველაფერს, რაც ფრაგმენტული და გარდაცვლილი ანტიკური კლარიჩეებისგან გადარჩენილა. არავინ იცის, როდის იყო კორინთული კაპიტელები მისი სვეტების თავზე - მხოლოდ ერთი მათგანილა შემორჩა ხსოვნას, რომელზეც მრავალი წლის მანძილზე ერთ საქათმეში კალათი იდგა, სადაც ქათმები კვერცხებს დებდნენ, იქიდან კაპიტელების მუზეუმში გადავიდა, კოლექციის სხვა ეგზემპლარებს მოუდეს გვერდში. ერათა თანმიმდევრობის რიგი არეულია; გავრცელებულია აზრი, რომ ერთი პირველი კლარიჩე არსებობდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები არ მოიპოვება; კაპიტელები შეიძლება ტაძრებზე უფრო ადრე საქათმეებში იყო, მარმარილოს ურნებს კი შეიძლება თავიდან მიცვალებულების ძვლებისთვის კი არა, ოხრახუშის მოსაყვანად იყენებდნენ.

დარწმუნებით მხოლოდ ამის თქმა შეიძლება: საგანთა გარკვეული რაოდენობა ერთ გარკვეულ სივრცეში გადაადგილდება, ხან ახალი საგნების რაღაც სიმრავლეშია დაძირული, ხანაც ხურდის გარეშე გახარჯულ-გაცვეთილი; აქედან წესი: ყოველ ჯერზე აურიეთ ისინი და თავიდან სცადეთ მათი ერთმანეთთან დაკავშირება. იქნებ კლარიჩე ყოველთვის იყო დამტვრეული, ცუდად ასორტირებული, გაფუჭებული ხლამის უწესრიგო გროვა.

## ქალაქები და წასულები. 3.

არ არსებობს ცხოვრებით ტკბობისკენ ეუსაპიაზე მეტად მიდრეკილი ქალაქი და მასზე მეტად იმაზე მზრუნველი, რომ დარდს გაექცეს. და საიმისოდ, რომ ნახტომი ყოფნიდან არყოფნაში ნაკლებად მკვეთრი იყოს, აქურებმა თავიანთი ქალაქის იდენტური ასლი ააშენეს მიწისქვეშ. აქ ჩამოაქვთ ისე გამომშრალი გვამები, რომ მათგან მხოლოდ ყვითელკანგადაკრული ჩონჩხილაა დარჩენილი, ჩამოაქვთ, რომ მათ მათი წინანდელი საქმიანობები გააგრძელონ. ამათგან უდარდელ მომენტებს ენიჭებათ უპირატესობა: მათ უმრავლესობას გაწყობილი სუფრების გარშემო სხამენ, ბუკზე დაკვრის ან საცეკვაო პოზაში. მაგრამ ცოცხლების ეუსაპიას ყველა სავაჭრო საქმიანობაც და ხელობაც არ წყდება მიწისქვეშ, ან ამათგან ისინი მაინც, რომლებიც ცოცხლებმა უსურვილოდ კი არა, გარკვეული კმაყოფილებით შეასრულეს: მესაათე დგას თავისი ჯიხურის ყველა გაჩერებულ საათს შორის და პერგამენტივით გამომშრალ ყურს ერთ აშლილ ქანქარას უახლოებს; დალაქი გამხმარი ფუნჯით საპნავს ერთი მსახიობის ლაწვის ძვალს, როცა ეს მსახიობი როლს იმეორებს და ამოჭმული თვალებით იყურება პიესაში; ერთი მოცინართავისქალიანი გოგონა ხბოს ჩონჩხს წველის.

მართალია, ბევრია ისეთი ცოცხალი, რომელიც მერე, მიცვალებულობაში სხვა ბედს მოითხოვს, იმისგან განსხვავებულს, რაც უკვე ხვდა წილად: ნეკროპოლისი გადავსებულია ლომებზე მონადირეებით, მეცოსოპრანოებით, ბანკირებით, მევიოლინეებით, დუკესებით, ხარჭებით, გენერლებით, იმაზე ბევრად მეტით, ვიდრე ეს ოდესმე ჰყოლია ცოცხალ ქალაქს.

გარდაცვლილების ქვემოთ ჩაცილების და მათი ადგილზე მოწყობის დავალება ერთ ბერების რელიგიურ საძმოს აქვს მინდობილი. სხვას არავის შეესვლება გარდაცვლილთა ეუსაპიაში და ყველაფერი, რაც ცნობილია ქვემოდან, მათგანაა ცნობილი.

ამბობენ, რომ ასეთივე საძმო არსებობს გარდაცვლილებშიც და რომ ისინი ამათ საკმაოდ ეხმარებიან; საძმოს წევრები რომ გარდაიცვლებიან, მუშაობას ქვედა ეუსაპიას იმავე სამსახურში გააგრძელებენ; იმასაც ირწმუნებიან, რომ ზოგი მათგანი უკვე გარდაცვლილია და ზემოთ-ქვემოთ მიმოსვლას მაინც განაგრძობს. ცხადია, ეს კონგრეგაცია ცოცხლების

ეუსაპიაში ერთობ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს.

ამბობენ, რომ ყოველ ჩასვლაზე რაღაც ცვლილებებს აღმოაჩენენ ხოლმე ქვედა ეუსაპიაში; გარდაცვლილებს სიახლეები შეაქვთ თავიანთ ქალაქში; სიახლე ბევრი არაა, მაგრამ კარგად აწონილ-დაწონილი ფიქრის ნაყოფია და არა წარმავალი კაპრიზებისა. როგორც ამბობენ, წლიდან წლამდე გარდაცვლილების ეუსაპიას ველარ იცნობ. და მათ რომ არ ჩამორჩნენ, ცოცხლებსაც უნდათ, ყველა ის სიახლე დანერგონ, რის შესახებაც მათ საძმოს წევრები უამბობენ გარდაცვლილებზე. ასე შეუდგა ცოცხლების ეუსაპია თავისი მიწისქვეშა ასლის კოპირებას.

ამბობენ, ეს მარტო ახლა კი არ ხდებაო: საერთოდაც გარდაცვლილებს აუშენებიათ ზედა ეუსაპია თავიანთი ქალაქის მსგავსადო. ამბობენ, რომ ამ ორ ტყუპ ქალაქში ველარანაირად ველარ გაარჩევ, ვინ ცოცხალია და ვინ - მკვდარი.

## ქალაქები და ცა. 2.

ბერსაბეაში გავრცელებული თქმულების თანახმად, არსებობს ცაში გამოკიდებული სხვა ბერსაბეაც, სადაც ქალაქის სათნოებანი და ყველაზე ამაღლებული გრძნობები ჰაერში ლივლივებენ, და თუ მიწიერი ბერსაბეა მაგალითად ზეციურ ბერსაბეას აიღებს, მას შეუერთდება. წარმოდგენა, რომელსაც ამის შესახებ ავრცელებს ტრადიცია, არის ვერცხლის ჭანჭიკებიანი და ალმასის ჭიშკრებიანი მონოლითური ოქროს ქალაქი, ქალაქი-სამკაული, მთლიანად ინტარსიებითა და მოჭედილობებით შემკული, ყოველივე ეს შეიძლება წარმოიქმნას უძვირფასესი მასალების გამოყენებით, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მუყაითად შესწავლილი და მაქსიმალურად გამოკვლეული იქნება ისინი. ამ თქმულების ერთგული ბერსაბეელები პატივს მიაგებენ ყველაფერს, რაც მათ ზეციურ ქალაქს მოაგონებთ: ახვავებენ ძვირფას ლითონებს და იშვიათ ქვებს, უარს ამბობენ ეფემერულ თავდავიწყებებზე, ამუშავებენ რთული ჰარმონიულობის ფორმებს.

აქაურებს იმისიც სჯერათ, რომ კიდევ ერთი ბერსაბეა უნდა არსებობდეს მიწისქვეშ, ყოველივე იმის სამკვიდრებელი, რაც საძაგელი და უღირსია, მაგრამ მათ სჭირდებათ, მათი მუდმივი ზრუნვის საგანია, ქვედა ტყუპისცალთან ყველა კავშირი თუ მსგავსება წაშალონ ზედა ბერსაბეადან. წარმოუდგენიათ, რომ ქვედა ქალაქს სახურავების მაგივრად ამოტრიალებული სანაგვე ყუთები აქვს, საიდანაც ყველის ნამცეცები, გაქონილი ქაღალდები, ფხები, თეფშების ჩამონარეცხი, სპაგეტის ნარჩენები, ნახმარი სახვევები ცვივა. ან რომ იგი იმ კუპრივით მრუმე, წელვადი და სქელია, რომელიც კლოაკების გავლით ეშვება ქვემოთ და ადამიანის ნაწლავების გზას აგრძელებს, შავი ნახვრეტიდან შავი ნახვრეტისკენ, სანამ არ გამოეყოფა უკანასკნელ მიწისქვეშა სიღრმეს, და რომ სწორედ კრენდელის ფორმის უსიცოცხლო გადამუშავებული საჭმელების ფენებისგან აღიმართებიან ქვემოთ ფეკალური ქალაქის შენობები, რომელსაც სპირალური ფორმის ქონგურები აქვს.

ბერსაბეას თქმულებაში არსებობს ერთი ნამდვილი და მეორე მცდარი ნაწილი. ნამდვილი ისაა, რომ ქალაქს თავისი თავის ორი სურათი ახლავს თან, ერთი - ციური და მეორე - ჯოჯოხეთური; მაგრამ მათი შემადგენლობის თაობაზე კი ცდებიან. ბერსაბეას ულრმეს მიწისქვეშეთში დაბუდებული ჯოჯოხეთი ის ქალაქია, რომელიც ყველაზე ავტორიტეტულმა არქიტექტორებმა ბაზარზე არსებული ყველაზე ძვირი მასალებით შექმნეს, და რომელიც ყველა მის მოწყობილობა-მექანიზმში და გადაბმულობაში ფუნქციონირებს, ყველა მილსა და ბარბაცაზე გამობმულ-დაკიდებული ფოჩებითა და მაქმანებით მორთულ-მოკაზმული.

ცდილობს რა, დაახვავოს თავისი სრულყოფილების კარატები, ბერსაბეას სიქველე ჰგონია ის, რაც დიდი აკვიატებულობა და გახელებაა, ეს კი მის ცარიელ ჭურჭელს ავსებს; არ იცის, რომ მისთვის აზრიანი განმუხტვის ერთადერთი საშუალებაა: დაივიწყოს, დათმოს, გააბნიოს. და მაინც, ბერსაბეას ზენიტს აწვება ერთი ციური სხეული, რომელიც ქალაქის მთელი სიკეთით ბრწყინავს და გადაყრილი საგნების საგანძურშია ჩაკეტილი: ესაა კარტოფილის ქერქებით, გაფუჭებული ქოლგებით, გაცვეთილი წინდებით, მინის ნამსხვრევების ბრჭყვიალით, დაკარგული ღილებით, შოკოლადის ჭრაჭუნა ქაღალდებით, ტრამვაის ბილეთებით, მოჭრილი ფრჩხილებით და კოჟიჟებით, კვერცხის ნაჭუჭებით მოფენილი პლანეტა. ციური ქალაქი ეს გახლავთ, მის ცაში გაიელვებენ ხოლმე გრძელკუდიანი კომეტები, რომლებიც სივრცეში სატრიალოდ გამოტყორცნილან მხოლოდ



იმ თავისუფალი და ბედნიერი ქმედების წყალობით, რისი უნარიცა აქვთ ბერსაბეას მცხოვრებლებს, ქალაქისა, რომელიც მხოლოდ მაშინ არაა ანგარებიანი ძუნწი გამომთვლელი, როცა კუჭში გადის.

## გაგრძელებული ქალაქები. 1.

ქალაქი ლეონია ყოველდღე განიახლებს თავს: მოსახლეობა ყოველ დილას ახალ თეთრეულში იღვიძებს, ახლადგახსნილი საპნებით იბანს, იცვამს ახალ, ცინცხალ ხალათებს, კიდევ უფრო სრულყოფილი მაცივრიდან ჯერ კიდევ გაუხსნელ რძის ქილას იღებს, და თან უკანასკნელ ლაილაის ისმენს ხელსაწყოს უახლესი მოდელიდან.

ნაგვის მანქანას ქვაფენილზე ელიან ქათქათა ცელოფანის პარკებში შეხვეული გუშინდელი ლეონიას ნარჩენები, არა მხოლოდ კბილის პასტის გაჭყლეტილი ტუბები, გადამწვარი ნათურები, გაზეთები, ყუთები, ფუთები, არამედ აბაზანის გამათბობლებიც, ენციკლოპედიებიც, პიანინოებიც, ფაიფურის სერვიზებიც: იმაზე მეტად, თუ რა იქმნება, იყიდება თუ შეიძინება ლეონიაში, ლეონიას სიმდიდრე იმ ყოველდღე გადაყრილი საგნებით იზომება, რომლებიც ახლებს უთმობენ ადგილს. იმდენად, რომ ხალხი კითხულობს, მართლა ლეონიას გატაცებაა ახალი და განსხვავებული საგნებით ტკბობა, თუ უფრო მათი გადაყრა, თავიდან მოშორება, ციკლური უწმინდურობისგან თავის განწმენდაო.

ფაქტი ისაა, რომ მენაგვეებს ისე ხვდებიან, თითქოს ისინი ანგელოზები იყვნენ, და მათი საქმე - მოაშორონ გუშინდელი არსებობის ნაშთები - მოწიწების გამომწვევი რაღაც რიტუალივით უსიტყვო პატივითაა გარემოცული, ეს შეიძლება მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ერთხელ გადაგდებულ საგანზე აღარავის უნდა ფიქრი.

სად მიაქვთ ყოველდღე მენაგვეებს ეს მათი ტვირთი, არავის აინტერესებს: ცხადია, ქალაქგარეთ; მაგრამ ქალაქი ყოველ წელს ფართოვდება, და ნაგვის გატანაც უფრო და უფრო შორს უწევთ; გადაყრილის მოცულობა კი იზრდება და ასე აღიმართებიან გროვები, იყოფიან შრეებად, უფრო ფართო პერიმეტრზე გადაიჭიმებიან. ამას დაამატეთ ისიც, რომ რაც უფრო გამოირჩევა ლეონია ახალი მასალების წარმოებით, მით უფრო უმჯობესდება ნაგვის ხარისხი, უძლებს დროს, უამინდობას, ფერმენტაციას და წვას. ეს არის ნარჩენების უძლეველი ციხესიმაგრე, რომელიც გარს აკრავს ლეონიას, ყოველი მხრიდან მთების ზეგანივით თავზე დაჰყურებს მას.

შედეგი ასეთია: რაც უფრო ყრის ლეონია საგნებს, მით უფრო აგროვებს მათ; მისი წარსულის ქერცლები ერთმანეთს შეზრდიან იმ ფარად, რომლის მოხსნაც შეუძლებელი ხდება; განახლდება რა ქალაქი ყოველდღე, თავის თავს ერთადერთ საბოლოო ფორმაში იკონსერვებს: ეს არის გუშინდელი ნაგვის ფორმა, გუშინწინდელ და ყოველი დღის და წლის და ხუთწლედის ნაგავზე რომ ხვავდება.

ლეონიას ნაგავი ნელ-ნელა მთელ ქვეყანას დატბორავდა, უსასრულო ნაგავსაყრელზე, უკანასკნელი ქედის იქით, სხვა ქალაქების ასევე გადატვირთული ნაგავსაყრელები რომ არ ყოფილიყო, ისინიც ასევე რაც შეიძლება შორს განაგდებენ თავისი თავიდან ნაგვის მთებს. იქნებ ლეონიას საზღვრებს იქით მთელი სამყარო ნაგვის კრატერებითაა დაფარული, და თითოეული მათგანის ცენტრში თითო მეტროპოლია უწყვეტ ამოფრქვევაში. უცხო და ერთმანეთის არაკეთილმოსურნე ქალაქებს შორის საზღვრები კი ინფექციური ბასტიონებია, რომლებშიც მორიგეობით ერთმანეთს ეყრდნობიან, ერთმანეთზე აღიმართებიან, ერთმანეთს შეერევიან ყველა ქალაქის ნარჩენები.

რაც უფრო იზრდება მისი სიმაღლე, მით უფრო იზრდება ჩამონგრევის საშიშროებაც: საკმარისია, ერთი ქილა, ერთი ძველი ბორბლის სალტე ან ქერქშემოცლილი ბოთლი გამოგორდეს ლეონიასკენ, რომ წყვილ-დაკარგული ფეხსაცმელების, გასული წლების კალენდრების, დამჭკნარი ყვავილების ზვავი ჩაფლავს ქალაქს საკუთარ წარსულში, რომლის განდევნასაც ტყუილად ცდილობდა, იგი არეული იქნება მოსაზღვრე ქალაქების წარსულებში, რომლებიც, როგორც იქნა, გაიწმინდნენ: კატაკლიზმა დააბრტყელებს ტურტლიანი მთების ჯაჭვს, ყოველთვის ახლებში გამოწყობილი მეტროპოლის ყოველნაირ კვალს წაშლის. ახლობელი ქალაქებიდან ორთქლის სატკეცებმომარჯვებულები და ხელში კომპრესორიანები უკვე მზად არიან, რომ მიწა დააბრტყელონ, ახალ ტერიტორიაზე გაფართოვდნენ, საკუთარი თავი გაიდიდონ, ახალი ნაგავსაყრელები უფრო შორს გადატყორცნონ.

პოლო: - ... იქნებ ამ ბაღის ტერასები მხოლოდ ჩვენი გონების ტბას გადაჰყურებს...

ყუბლაი: - ... და რაც უნდა შორს მივყავდეთ სარდლებისა და ვაჭრების მტანჯველ საქმიანობებს, ორივე ვინახავთ ჩვენში ამ ჩუმ ჩრდილს, ამ შენელებულ საუბარს, ამ საღამოს, რომელიც არასდროს იცვლება.

პოლო: - თუ საწინააღმდეგო ჰიპოთეზა არ წამოიჭრება: რომ ისინი, რომლებიც ბანაკებში და პორტებში წელებზე ფეხს იდგამენ, მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ჩვენ ორნი, ბამბუკის ამ ოდითგან უძრავ ზღუდეებში ჩაკეტილნი, მათ წარმოვიდგენთ.

ყუბლაი: - რომ არ არსებობს წვალება, ყვირილები, ჭრილობები, ყროლი, და არსებობს მხოლოდ ეს იელის ხე.

პოლო: - რომ მტვირთავები, ქვისმთლელები, მენაგვეები, მზარეული ქალები, რომლებიც ქათმების შიგნეულობას ასუფთავებენ, ქვაზე დახრილი მრეცხავები, ოჯახის დედები, ბრინჯს რომ ურევენ და თან ჩვილებს ძუძუს აწოვებენ, არსებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მათ წარმოვიდგენთ.

ყუბლაი: - სიმართლე თუ გინდა, მე მათ არასოდეს წარმოვიდგენ.

პოლო: - ე. ი., ისინი არ არსებობენ.

ყუბლაი: - ეს კი არა მგონია, ის ვარაუდი იყოს, რომელიც ხელს გვაძლევს. უამათოდ ვერასოდეს ვიქანავებდით ჩვენს ჰამაკებში თვალგაშტერებულები.

პოლო: - მაშ, ეს ჰიპოთეზა უნდა გამოვრიცხოთ. ანუ მეორე იქნება მართალი: რომ ისინი არსებობენ და ჩვენ - არა.

ყუბლაი: - ჩვენ რომ გვეარსება, აქ ვერ ვიქნებოდით, ეს ხომ დავამტკიცეთ.

პოლო: - მართლაც, ჩვენ ხომ აქა ვართ, არა?

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# "ბეემვემ" მილე მილიას ლეგენდა გააცოცხლა



ბეემვე მილე მილია





ბეემვე 328

მერაბ ლორთქიფანიძე

70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც "ბეემვემ" თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლეგენდარული ავტომობილი, სპორტული მოდელი 328 დაამზადა. ეს ავტომობილი სპეციალურად შეიქმნა იმ დროს მეტად პოპულარულ რბოლა მილე მილიაში (ათასი მილის რბოლა) მონაწილეობისთვის. 328-მ თავისი "მოვალეობა" 1940 წელს, პილოტების, ბარონ ფრიც ჰუშკე ფონ ჰანშტაინისა და ვალტერ ბაუმერის დახმარებით შეასრულა, როცა ათასმილიანი რბოლა რეკორდული სიჩქარით (166.7 კმ/სთ) მოიგო.

მოდელი 328 იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ის 50-იან წლებამდე ახერხებდა რბოლებში გამარჯვებას. ამ ავტომობილს ბავარიული კომპანიის ისტორიაში, ყველა სხვა მოდელზე მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული. მისი უკანასკნელი ტრიუმფი კი რამდენიმე დღის წინ, მილე მილიას ისტორიული ავტომობილების რევიუ-რბოლაში დაფიქსირდა, რომელშიც ძველი დროის ლეგენდები მონაწილეობდნენ.

მილე მილიას რბოლა ათასმილიანი (1600 კმ) იყო. მისი მარშრუტი ქალაქ ბრეშადან რომამდე და უკანა გზაზე გადიოდა. მასში მონაწილეობდა ყველა ავტომწარმოებელი, რომელიც სპორტულ ავტომობილებს სთავაზობდა მყიდველს. მილე მილიას კლასიკურ მარშრუტზე სარეკორდო საშუალო სიჩქარე ლეგენდარულმა ინგლისელმა ავტომრბოლმა, სერ სტირლინგ მოსმა და მისმა შტურმანმა, პროფესიით ჟურნალისტმა დენის ჯენკინსონმა დაამყარეს, რომლებმაც 1955 წელს, ასევე ლეგენდარული "მერსედეს 300 SLR-ით" 157.65 კმ/სთ საშუალო სიჩქარე განავითარეს. აქვე ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მოსმა, ვინც ფორმულა ერთის ყველა დროის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად ითვლება, თავისი ავტოსპორტული კარიერა სწორედ "ბეემვე 328-ით" დაიწყო. ეს 1947 წელს მოხდა, მას შემდეგ, რაც მამამ რბოლებში გამოსვლები აუკრძალა.

ფონ ჰანშტაინისა და ვალტერ ბაუმერის რეკორდული სიჩქარე უფრო მაღალი კია, მაგრამ მათ ის ომის პერიოდში დამოკლებულ, ბრეშას შემოგარენში, 100-მილიან ჩაკეტილ წრეზე რბოლისას დაამყარეს და არა ბრეშა-რომის გზაზე. თანაც, იმ რბოლას ბრეშას დიდი პრიზის სტატუსი მიენიჭა. სამაგიეროდ, მოსმა და ჯენკინსონმა რეკორდული სიჩქარე 15 წლის შემდეგ, გაცილებით მაღალი კლასის ავტომობილით განავითარეს. მათი ტრიუმფიდან ორი წლის შემდეგ კი კლასიკური მილე მილია უკანასკნელად გაიმართა. ამის მიზეზი გახდა რბოლის დროს მომხდარი ტრაგედია, რომელმაც ესპანელი ალფონსო დე პორტაგოს, მისი შტურმანის და რამდენიმე მაყურებლის სიცოცხლე შეიწირა. წინა საუკუნის ბოლოს, კერძოდ კი 1977 წელს, ლეგენდარული რბოლა აღდგა, ოღონდ ახლა მასში მხოლოდ ის ავტომობილები მონაწილეობენ, რომლებიც ოდესღაც ბატონობდნენ იტალიის გზებზე, ახლა კი სამუზეუმო ექსპონატებს წარმოადგენენ.

განახლებულ რბოლაში ყოველწლიურად ოცზე მეტი ავტომობილი მუზეუმებიდან მხოლოდ იმიტომ გამოჰყავთ, რომ მილე მილიას ლეგენდების რბოლაში მიიღონ მონაწილეობა. სულ კი განახლებული რბოლის სტარტზე 375 რარიტეტული ავტომობილი დგება, რომელთა საერთო ღირებულება ასობით მილიონ დოლარს აჭარბებს! რამდენიმე ასეთი რბოლა "ბეემვეს" ლეგენდარულმა 328-მაც მოიგო.

ამ ავტომობილის შექმნის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბავარიელებმა დაამზადეს თავიანთი ლეგენდარული ავტომობილის რეპლიკარი, რომელიც სწორედ მილე მილიას კლასიკის სტარტამდე წარუდგინეს საზოგადოებას.

ახალი კონცეპტუალური ავტომობილის სახელია "ბეემვე მილე მილია", რომელიც გარეგნობით ძლიერ ჰგავს თავის ლეგენდარულ წინამორბედს, აღჭურვილობა კი ბავარიული კომპანიის თანამედროვე შედევრის, კუპე Z4 M-ისგან მიიღო. ამ აღჭურვილობაში შედის 343 ცხენისძალიანი ძრავი, რომელსაც 6 ცილინდრი ერთ რიგში აქვს განლაგებული და რომელთანაც შეწყვილებულია 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი. გარდა ამისა, Z4 M-ისაა დაკიდების სისტემა და საჭის მექანიზმიც. აღსანიშნავია, რომ ძრავის გამოსაბოლქ სისტემას მცირე მოდერნიზაცია ჩაუტარდა, რის შედეგადაც, მას ხმა "დაუბოხდა". "მილე მილია" ალუმინისგან დამზადებულ პლატფორმაზეა ბაზირებული. კონსტრუქტორებმა ძარის დასამზადებლად გამოიყენეს ნახშირბადოვანი ქსოვილისა და კევლარის კომპოზიტები.

გარეგნულად, რეპლიკარი ლეგენდარულ 328-ს კი გვახსენებს, მაგრამ მისგან ბევრი განმასხვავებელიც აქვს. კერძოდ, წინა მაშუქები კვლავ მრგვალია, თუმცა ძარისგან ოდნავაა გამოშვერილი. კაპოტსა და ფრთებს შორის კი მოხვევის მაჩვენებლები და გაბარიტული მაშუქებია ჩაყოლებული.

საქარე მინა საგრძნობლად დახრილია. სამაგიეროდ, ორადგილიანი კაბინა უფრო დაგრძელებული გამოვიდა. შესაბამისად, დამოკლდა კაპოტი. უკანა ბორბლები ამჯერადაც დახურულია, რათა გაუმჯობესდეს ავტომობილის აეროდინამიკა. სხვათა შორის, აეროდინამიკა 328-საც შესანიშნავი ჰქონდა, რაც იმ დროის ავტომობილებისთვის იშვიათი თვისება იყო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ "მილე მილიას" კარები არ გააჩნია. ერთის მხრივ, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ გაზრდილიყო ძარის სიხისტე. მეორეს მხრივ, კარის არქონით შემცირდა ავტომობილის წონა. კარის ნაცვლად ავტომობილს აქვს თვითმფრინავის სანთელის მსგავსი ხუფი, რომელიც წინა მხარეს ეყრდნობა და უკნიდან იხსნება.

ბავარიულ "მილე მილიას" იტალიურ რბოლა-გარბენში (რალიში) მონაწილეობა არ მიუღია. ის ჯერ ამისთვის მზად არ არის. არაა გამორიცხული, რომ "ბეემვემ" ის მომავალი რბოლებისთვის მოამზადოს. თუმცა, ახლავე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ კომპანია ამ ავტომობილის სერიულ წარმოებას არ აპირებს. არადა, რამდენი კოლექციონერი ისურვებდა თავის ფარეხში კონცეპტუალური "მილე მილიას" ხილვას. ისინი ამ სიამოვნებაში აურაცხელ თანხასაც არ დაიშურებდნენ...

P.S. ბოლო ინფორმაციით, "ბეემვე 328-მ" მილე მილიას წლევანდელი რბოლა-რევიუც მოიგო. ფინიშთან თავისი ანტიკვარული ავტოთი პირველი მივიდა 60 წლის იტალიელი მილიონერი ჯულიანო კანე, ვისაც მანამდე კლასიკური ავტომობილების მილე მილია შვიდჯერ ჰქონდა მოგებული. აღსანიშნავია, რომ რვავე ტრიუმფის შემთხვევაში, მას ნავიგატორობას უწევდა მეუღლე, ლუსია გალიანი. აქედან ექვსი გამარჯვება (1996, 1998, 2000, 2002, 2004 and 2006 წლებში) მათ ლეგენდარული "ბეემვე 328-ით" მოიპოვეს.

# პატარა "როლსი" 2009 წლიდან

ულტრა-ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელი ბრიტანული კომპანია "როლს როისის" ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის განყოფილების შეფ აქსელ ობერმიულერის განცხადებით, 2009 წლიდან ბაზარზე გამოჩნდება ახალი, "პატარა" ავტომობილი, რომელმაც საგრძნობლად უნდა გაზარდოს კომპანიის გაყიდვების მოცულობა.

წინასწარი მონაცემებით, ახალი "როლსი" მე-7 სერიის "ბეემვეს" (როლს როისს ბავარიული კონცერნი ფლობს) პლატფორმაზე იქნება ბაზირებული, თუმცა ტექნიკური მახასიათებლებითა და აღჭურვის დონით, ბავარიელთა ფლაგმანს აჯობებს. ამასთან, მისი ფასი გაცილებით მცირე იქნება "როლს როის ფანტომისაზე".

შარშან "როლს როისმა" მხოლოდ 796 ცალი "ფანტომის" გაყიდვა შეძლო. მათ შორის მხოლოდ 148 მყიდველი იყო ევროპელი. აქედან კი ასი ავტომობილი ბრიტანეთში გაიყიდა, დანარჩენი კი - კონტინენტურ ევროპაში (ძირითადად გერმანიასა და საფრანგეთში).

"ფანტომი" ერთადერთი მოდელია, რომელიც "როლს როისმა" მას შემდეგ გამოუშვა, რაც "ბეემვეს" საკუთრებაში გადავიდა. ეს სუპერავტომობილი მეტისმეტად ძვირი ღირს და ამიტომაც ძნელდება დაგეგმილი რაოდენობით (წლიურად 1000) მისი რეალიზება. ობერმიულერი აცხადებს, რომ შედარებით იაფ და მომცროგაბარიტიან მოდელს უფრო მეტი მუშტარი ეყოლება ევროპაში.

"პატარა როლსის" წარმოების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებს "ბეემვეს" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ჰელმუტ პანკე, თუმცა მასვე გერმანულ ჟურნალ "აუტო მოტორ უნდ შპორტთან" საუბარში ნათქვამი აქვს, რომ "ფანტომსა" და მე-7 სერიის "ბეემვეს" შორის არსებობს ნიშა, რომლის დაკავებაც "როლს როისის" ახალი, შედარებით მცირე მოდელისთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

ობერმიულერის თქმით, "ფანტომის" გაყიდვების სიმცირის მთავარი მიზეზი ამ ავტომობილის უსაშველო გაბარიტებია: "პოტენციური მყიდველი უკმაყოფილოა ამ მოდელის ზომებით. ისინი გვარწმუნებენ, რომ "ფანტომით" ევროპულ ქალაქებში გადაადგილება უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული და დიდი სიამოვნებით გახდებიან ჩვენი კლიენტები, თუ უფრო მცირე მოდელს გამოვუშვებთ". იმისათვის, რომ კომპანია მომგებიან საქმიანობაზე გადავიდეს, წლიურად 1000 ავტომობილის გაყიდვაა საჭირო. ამ მიზნის მისაღწევად, კომპანიას სამოდელო გამის გაფართოება აქვს გადაწყვეტილი. კერძოდ, "როლს როისმა" თავის პოტენციურ მყიდველს უკვე წარუდგინა "ფანტომის" გრძელბაზიანი მოდიფიკაცია.

გარდა ამისა, დაგეგმილია ორკარიანი, ოთხადგილიანი კაბრიოლეტის წარმოება, რომლის კოდური სახელწოდებაა RR02. ინგლისელები მალე ამ მოდელის კუპესძარიანi მოდიფიკაციის გამოშვებასაც დაიწყებენ. სხვათა შორის, ამ ავტომობილის კონცეპცია, სახელწოდებით 101EX, ჟენევის წლევანდელ ავტოშოუზე იყო წარმოდგენილი.

კომპანია იმედოვნებს, რომ "პატარა როლსის" მეშვეობით, კონურენციას გაუწევს თავის მონათესავე "ბენტლის", რომელიც ამჟამად "ფოლკსვაგენს" ეკუთვნის.

სხვათა შორის, შარშან "ბენტლიმ" 9810 ავტომობილი გაყიდა. მისი მოდელებიდან ყველაზე უკეთ იყიდება "კონტინენტალ GT" - ლუქსის კლასის სპორტული ავტომობილი, რომელსაც კომპანიის სამოდელო გამაში მოდელ "აძურის" ქვემოთ უკავია ადგილი. "აძური" კი "ფანტომის" კლასის ავტომობილია...



როლსროის 101EX



# ზაფხული ჩვენს ეზოში

**ნატა ჯანბერიძე**
სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი

***ზაფხული, მზიანი დღე და გრილი საღამო, სუფთა ჰაერი, გარემოს ბუნებრივი სილამაზე - ეს არის ფონი ეზოს შესაქმნელად.***



ტერასის კომპიუტერული ვიზუალი. დიზაინი სტუდია "ROOM'S".



გარე სივრცეს ჰყავს სპეციალისტი - ლანდშაფტის არქიტექტორი, რომელიც აპროექტებს ეზოსა თუ ბაღის ყველა ელემენტს, დაგეგმარებით დაწყებული და გამწვანებით, სკულპტურით, განათებით, ავეჯით, წყლის მომენტით და თუ საჭიროა, მსუბუქი გადახურვით დამთავრებული. რადგან, ეზოს დიზაინი ისეთივე ყურადღებას და სიყვარულს ითხოვს, როგორც ინტერიერის გაფორმება. ღია ცის ქვეშაც ისეთივე კომფორტი გვინდა, როგორიც შენობის შიგნით. არსებული ფონი კი საშუალებას გვაძლევს, რომ ხელოვნურად, მაგრამ ჰარმონიულად გავალამაზოთ ბუნება.



სასტუმროს ეზო ჰოლივუდში. Hotel Mondrian. დიზაინი ფილიპ სტარკი.



პლასტიკატის სკამი Lord Yo. დიზაინი ფილიპ სტარკი.

ეზოს ავეჯს არჩევენ გამძლეობის მიხედვით, რადგან არ გაფუჭდეს წვიმაში და მზეზე. მასალა, რისგანაც არის დამზადებული ავეჯი, განაპირობებს მის სტილს. ეს იქნება ტრადიციული - ხის, რკინის ან ქვის ავეჯი, თანამედროვე - პლასტმასის, მინის ან ორგმინის, თუ ეგზოტიკური - ინდონეზიური ხისგან გამოთლილი მასიური ავეჯი. დღეს სწორედ ამ უკანასკნელზე გიამბობთ.

ფრანგი მხატვარი, ჟერომ აბელ სიოგენი უბრალოებისა და მკაცრი გეომეტრიის თაყვანისმცემელია. ჟერომი თავიდან პრიმიტიული ხელოვნების ნივთებს აგროვებდა, შემდეგ დაიწყო ეგზოტიკური მასალებისგან ავეჯის წარმოება. მისი ავეჯი ძირითადად ინდონეზიური ტიკის ხისგან არის დამზადებული. ეს ხე ძვირფასია და რთულად მოიპოვება და მას მზეზე ოცი, ოცდაათი, ზოგჯერ ასი წელიც კი აშრობენ. ამიტომ, ტიკის ავეჯს თავისუფლად იყენებენ ღია ცის ქვეშ - გამძლეა და ბუნებრივად ლამაზი. ჟერომი თავის ავეჯს ინდონეზიური ინსტრუმენტებით და ზეთებით ამუშავებს. იგი სპეციალურად ტოვებს ხის ბუნებრივ ნაპრალებს და არასწორ ზედაპირს, ცდილობს, რომ ხაზი გაუსვას ხის ბუნებრივ სილამაზეს, რაც თავისთავად ხელოვნების ნიმუშია. ერთი მაგიდის დამზადებას ორი თვე ჭირდება. მისი ავეჯი ითხოვს მოვლას და კვებას. ამიტომ, დამკვეთებს ქოქოსის და პალმის ზეთს ჩუქნის. ჟერომის კლიენტებს შორის ცნობილი ადამიანებიც არიან: დონნა კარანი, კენზო, კარლ ლაგერფილდი, რობერტ რედფორდი და ბარბარა სტრეიზანდი.



მოკლედ, ავეჯი ჟერომისგან ძალიან კარგი, მაგრამ ძვირი სიამოვნებაა.

ტერასებისთვის და ეზოსთვის, პრაქტიკული და თანამეროვეა პლასტიკატისგან დამზადებული ავეჯი. მინიმალისტური პლასტიკატის სკამები და მაგიდები მსუბუქი, ფერადი და არც ისე ძვირია. კარგი იქნებოდა თბილისშიც რომ ფუნქციონირებდეს პლასტმასისა და ორგმინის საამქრო, დიზაინერებს მეტი პრაქტიკული გასაქანი გვექნებოდა.

ეზოს თემა მხოლოდ ავეჯით არ შემოიფარგლება, გაუთავებელია გადახურვის თემა, განათება, გამწვანება და ა.შ. დღეს უბრალოდ გთავაზობთ ფოტო კოლაჟს, იქნებ რამე კარგი იდეა დაგებადოთ თქვენი ეზოსთვის.



პლასტიკატის სკამები Little Albert დიზაინი რონ არად.



დონა კარანის ეზო. ტიკის ხის ავეჯი. დიზაინი ჟერომ აბელ სიოგენი.

# აკადემიური რჩევანი

"ახალი ნათების" მენეჯერ
გიორგი ბეკოშვილთან ერთად

განათების თანამედროვე საშუალებებმა ტრადიციული ჭაღებისა და ბრების ეპოქა უკან მოიტოვეს. დღეს უპირატესობა თაბაშირ - მუყაოს შეკიდულ ჭერს ეძლევა და შესაბამისად, განათებაცა და სანათებიც უფრო თანამედროვე - მოდერნისტულია. მიუხედავად ამისა, კლასიკური სტილის პროდუქციაზე მოთხოვნა რა თქმა უნდა მაინც არსებობს. როგორც იტყვიან - კლასიკა უკვდავია, თუმცა, ხანდახან უადგილო და გამაღიზიანებელიც კი. განსაკუთრებით 21-ე საუკუნის რიტმისა და ცხოვრების წესის ფონზე. წორედ კლასიკას უნდა "ვუმადლოდეთ" იმაში, რომ, როგორც წესი, ჭაღის ცნება, ბრინჯაოს ღეროებზე დამაგრებულ სანთლებსა და ბროლს უკავშირდება. თუმცა, უნდა ვიცოდეთ, რომ ჭერზე დაკიდებული ან მიმაგრებული ნებისმიერი სანათი - ჭაღია. დღეისათვის განათებაცა და სანათებიც სულ უფრო მეტად იძენს ფურნიტურისა და დეკორის ფუნქციებს. შესაბამისად, მაგიდის სანათებზე, ტორშერებზე, ლუმინისცენტურ განათებებზე, ანუ ე.წ. ჩამალული ამონათების სანათებზე მოთხოვნაც იზრდება. ამ სფეროში მუშაობის 8 წლიანი გამოცდილება და შესაბამისად, ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მყიდველთა გემოვნების კარგი ცოდნა უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ჩვენში თანდათან ყალიბდება აქამდე პრაქტიკულად არარსებული განათების კულტურა. ამ ბოლო დროს, ქალაქის ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებისა და შენობების ფასადების მხატვრულ განათებაზეც დაიწყეს ზრუნვა და მოთხოვნა ასეთი ტიპის პროდუქციაზეც გაჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას სკვერების, მომრავლებული შადრევნებისა და კერძო ეზოების განათებაზეც. თუ აქამდე ამაზე ფულს არავინ ხარჯავდა, ახლა ყველა ცდილობს, ლამაზად გაანათოს ეზო, რესტორნის მისასვლელი, მაღაზიებისა თუ სხვა სავაჭრო ობიექტების მიმდებარე ტერიტორია. ნებისმიერი სახლისა თუ შენობის სილამაზის აღქმა ხომ სწორედ ეზოდან იწყება. მართალია შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გაჩნდა მოთხოვნა ე.წ. მიწის განათებებზეც, რომლებიც ერთგვარი ბილიკისა და დეკორის ფუნქციას ასრულებენ როგორც გარეთ, ასევე ბინებშიც, განსაკუთრებით კი აივნებზე, ტერასებსა და მაღაზიების შესასვლელებში. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, ასეთი განათების მიმართ ერთგვარი უნდობლობა და სკეპტიციზმია, მეორეს მხრივ კი - ფასი. თვითონ სანათი ძვირი არა არის, მაგრამ რადგან ბილიკის გასაკეთებლად გარკვეული რაოდენობის სანათია შესაძენი, საერთო ჯამში ასეთი "სიამოვნება" არც ისე იაფი ჯდება. რაც შეეხება სკეპტიციზმს, მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამ ტიპის სანათები აბსოლუტურად ჰერმეტულია და გათვლილია ნებისმიერ ამინდზე, მათ შორის წვიმაზეც. უფრო მეტიც, მათზე თამამად შეუძლია გადავლა მანქანას, რადგან ის აბსოლუტურად უსაფრთხოა როგორც მანქანისთვის,- ასევე თავად სანათისთვისაც. ანალოგიური განათების საშუალებები გამოიყენება აუზებისთვისაც და მათში ყოველთვის დაბალი სიმძლავრის -12 ან მაქსიმუმ 24 ვოლტიანი ნათურები იხმარება, რომ გაუთვალისწინებელი დაზიანების შემთხვევაში, მათში გამავალი დენი სიცოცხლისათვის საშიში არ აღმოჩნდეს. განათების საშუალებათა ნაირფეროვნება ჩვენში ასე მომრავლებულ კლუბებს, ბარებს, რესტორნებსა და კაფეებს, ასევე, მაღაზიებსა და გართობისა და დასვენების სხვა ობიექტებს, დიზაინში შეუზღუდავი არჩევანის საშუალებას აძლევს. რაც შეეხება ძირითადად ბარებსა და დისკოთეკებზე გამოყენებულ ტექნო განათებებს, მათზე მოთხოვნა 5 წლის წინ უფრო მეტი იყო. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო განათების ტრადიციული საშუალებების ფონზე. დღეს ჩვენში წმინდა ტექნო სტილის ბარი, დისკოთეკა ან კლუბი პრაქტიკულად არ არსებობს. მათი დიზაინი სხვადასხვა სტილისა და ესთეტიკის ნაზავია და შესაბამისად, განათებაც ეკლექტურია. სამწუხაროდ, განათების კულტურაში, ასე მომრავლებული დიზაინერების ფონზე, მაინც ძალიან ცოტა ერკვევა. არადა, განათებაზეა დამოკიდებული ადამიანის შრომისუნარიანობა, გუნება-განწყობა და თვით ჯანმრთელობაც კი. ბევრმა არც იცის, რამდენი ლუქსი (განათების საზომი ერთეული) უნდა იყოს სამუშაო მაგიდაზე განათება, რომ ადამიანმა ნაყოფიერად იმუშაოს და მალე არ დაიღალოს; რომ პურის, ხორცისა და ბოსტნეულის თავზე განსხვავებული ფერის განათება გამოიყენება, რათა მყიდველმა კარგად დაინახოს და შეაფასოს პროდუქტის ვარგისიანობა და ხარისხი. იგივე ითქმის ოფისების, მაღაზიების ბანკების, საბავშვო ბაღებისა თუ ოთახების, სპორტული მოედნებისა და დარბაზების, აგრეთვე, საცურაო აუზებისა და სტადიონების განათებაზეც. მათი ოპტიმალური განათების გამოთვლა მთელ მსოფლიოში გარკვეული პროგრამებით ხდება და ის დამოკიდებულია გასანათებელი ობიექტების ზომაზე, კედლების ფერზე ჭერის სიმაღლეზე, ფუნქციურ დატვირთვაზე და სხვა სპეციფიკურ ფაქტორებზე. ასე მაგალითად, განსხვავებული სტანდარტები არსებობს სპორტული ობიექტების განათებაზე ვარჯიშის დროს და შეჯიბრებებისას. სამწუხაროდ, ამ სფეროს სპეციალისტები, ანუ განათების ტექნიკოსები და განათების დიზაინერები, პრაქტიკულად არ გვყავს. ამიტომ მათ ფუნქციას, საუკეთესო შემთხვევაში, ან ამ სფეროში შედარებით გარკვეული არქიტექტორ-დიზაინერები ასრულებენ, ან შესაბამისი მიმართულების მაღაზიების კონსულტანტები. და ბოლოს, ბაზარზე ეკონომ ნათურების ნამდვილი ბუმია და არა შემთხვევით. ისინი კარგად ჯდება თანამედროვე დეკორატიული, სხვადასხვა დონის თაბაშირ-მუყაოს ჭერების დიზაინში და მართლაც ძალიან ეკონომიურია - 80%-ით ნაკლებ ელექტროენერგიას წვავს. ოღონდ გახსოვდეთ, ერიდეთ იაფფასიან პროდუქციას, რადგან მათი სიიაფე ხარისხის ხარჯზეა მიღწეული. ჩვენ ბაზარზე არსებული თვით ჩინური წარმოების ეკონომ ნათურების ფასიც კი მინიმუმ 6 ლარის ფარგლებში მერყეობს, ევროპულის კი მინიმუმ 15-16 ლარია. ასე რომ, როდესაც ახალი სახლისა თუ ბინის განათებაზე დაიწყებთ ზრუნვას, ან ძველის განახლება, მაღაზიის, გალერეისა თუ სხვა რამის გახსნა გსურთ, აუცილებლად ჰკითხეთ რჩევა ამ სფეროში გარკვეული გამოცდილების მქონე დიზაინერს ან შესაბამისი მაღაზიის კონსულტანტს, რომ ყველამ დაინახოს და შეაფასოს ჭეშმარიტად ახალი ნათება თქვენს ფანჯრებში.



## კლუბები/რესტორნები

**დღეს**

**ACHEW The Fat! DJs: Friendly; Paul Arnold; Mixo, Ciga, დასაწყისი: 22:00.**
**მუშაობს: პარასკევი/შაბათი; იხსნება: 20:00; DJ ფართი: 24:00;** ერთ დღეს **ქართველი,** მეორე დღეს - **უცხოელი DJ; ფასი:** ბიჭი **25 ლარი,** გოგონა **15 ლარი; 21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია; **მკაცრი "ფეის კონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება.**

**მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;**
საკუთარი ავტოსადგომი.

**იხსნება: 12:00;** ქართულ-აზიურ-ევროპული რესტორანი შესაბამისი ინტერიერითა და კერძებით. **საუკეთესო დასვენებისა და გართობის ადგილი თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის.** აქ შეგიძლიათ მიირთვათ ტრადიციული ქართული, დახვეწილი **ევროპული და ეგზოტიკური აზიური სამზარეულოების დელიკატესები,** ნახოთ ცეცხლოვანი ქართული, აზიური, ბოშური და მუცლის ცეკვები და გემო გაუსინჯოთ სურნელოვანი არომატის მქონე ნარგილეს. რესტორანი **იტევს 160 სტუმარს;** აქვს **VIP დარბაზი,** კარაოკეთი და პროექტორით, გათვლილია 50 სტუმარზე;
**სამზარეულო მუშაობს: 02:00-მდე;** ერთი ადამიანის **კვების საშუალო ღირებულება: 40 ლარი; სიახლე: 1 ივნისიდან 24 საათიანი მომსახურება.** გაატარეთ ღამე აზიურ გარემოში, ჩილიმი, ღამის პროგრამა და ტრადიციულად უგემრიელესი კერძები.

**მტკვრის მარჯვენა სანაპირო 2;**
**ტ.: (+99532) 75 11 88;**
**ფაქსი: (+99532) 75 11 88;**
უფასო ავტოსადგომი.

**09.06.06 - Brett Johnson / USA / Robot Karate / Aesoteric, დასაწყისი: 22:00.**
**იხსნება: 19:00; პარასკევი/შაბათი - დისკოთეკა 22:00; შესვლა: 20 ლ.** გოგონებისათვის უფასოა; **VIP** ადგილი ცალკე შესასვლელით. **ყოველდღე: 22:00** ელექტრონული მუსიკა და დიჯეი ფართი; ქართველი და ევროპელი დიჯეები. **არაბული ნარგილე: 20 ლარი;** მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**ბამბის რიგი 7;**
**ტ: (+99532) 43 90 38**
ავტოსადგომი უფასოა

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 22:00** დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV**; **ყოველ ხუთშაბათს: Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**ყურადღება! 09.06.06-დან 09.07.06-მდე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია კლუბის ყველა მონიტორზე. სტერეო ხმა და სტადიონის ეფექტი ყოველ მატჩს კიდევ უფრო დაუვიწყარს გახდის.**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

## ბარები/კაფეები

**იხსნება: 12:00;** უნიკალური სპორტული ექსპონატებისა და **მსოფლიო სპორტის მეგავარსკვლავების გარემოცვაში,** გიგანტურ ტელეეკრანზე შეგიძლიათ იხილოთ **მსოფლიოს 15 სპორტული არხის საუკეთესო მატჩები** და ტურნირები, იგემოთ ევროპული და ამერიკული სამზარეულოს საუკეთესო კერძები, **ისიამოვნოთ ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების ფართო არჩევანით,** უმაღლესი დონის სერვისითა და კომფორტით; **ლანჩი: 13;00-დან 16:00-მდე;**

**ყურადღება! 09.06.06-დან 09.07.06-მდე მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული სანახაობა ჩვენს ეკრანებზე.** ესტუმრეთ კაფეს და ფეხბურთის ფანებთან და მეგობრებთან ერთად თვალი ადევნეთ ფეხბურთის მსოფლი ჩემპიონატს; უგულშემატკივრეთ საყვარელ გუნდს, გამოხატეთ და დახარჯეთ ემოციები ყველაზე შესაფერის გარემოში. დაჯავშნეთ ბილეთები წინასწარ. **ბილეთის ფასი: 10 ლარი; ღირებულებაში შედის საჩუქარი - 1 ბოთლი საუკეთესო ლუდი-"LOWENBRAU". კაფე მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე;**

**მაიაკოვსკის 5 /მუშთაიდის ბაღის პირდაპირ/;**
**ტ.: 95 02 36; ფაქსი: 95 80 62**

## მაღაზიები

მაღაზიათა ქსელი **გთავაზობთ:** ბელგიური, იტალიური, გერმანული, ჩინური და თურქული წარმოების **საუკეთესო** ფირმების: **Massiv, Philips Lighting, Artemide, Delta Light, Veskan, Ingo Mauer, Targetti, Martini, Egoluce, Opple Lighting** განათებებს **შეკიდული** ჭერისთვის, ჭაღებს, ბრებს, ტორშერებს, მაგიდის სანათებს, **ქუჩებისა და ბაღების** განათების საშუალებებს (ლამპიონები), **შენობების** მინათების და **ე.წ. მიწის (ბილიკი)** და **მორიგი** განათების **(ღამე ოთახებში ორიენტაციისათვის)** სანათებს. **მიღებულია** აღნიშნული პროდუქციის **ახალი კოლექცია!**
**ღიაა: 10:00-დან 19:00-მდე /კვირის გარდა/;**

**ალ. ყაზბეგის 25ა,**
**ტ.: +995(32) 391867, +995(32)311708;**
**დიდუბის 4, + 995 (32) 34 85 30;**
**ი. აბაშიძის 42, + 995 (32) 23 07 63; ხოშარაულის (ელიავას ბაზრობა) 34, მაღაზია N49,**
**ღიაა: 9:00-დან 18:00-მდე;**

### ავეჯი

ევროპული ავეჯის მაღაზია **გთავაზობთ:** სამზარეულო გარნიტურებს და აქსესუარებს (მინის მაგიდები და სკამები), ჟურნალების მაგიდებს, ბარ-სერვისებს, ტელევიზორების მაგიდებს, საოფისე ავეჯს (კომპლექტი), მაგიდებსა და ქრომირებულ სკამებს კაფეებისათვის, ბარებისა და კლუბებისათვის და **პლაჟის** გასაშლელ სკამებს ბავშვებისათვის; **სპეციალური შეთავაზება:** არაჩვეულებრივად პრაქტიკული **ვერზალიტის მაგიდები** სამზარეულოსათვის **(არ იკაწრება, არ იწვება)**; აგრეთვე, **საძინებელი გარნიტურები** და **მასიური ხის ხელით ნაკეთი რბილი ავეჯი** (სამეულები) ნატურალური **ხარის ტყავითა და გობელენით; ხალიჩები** (ბელგია, ეგვიპტე, თურქეთი). **ღიაა:** 10:00-დან 18:00-მდე;

**კერესელიძის 12** (სავაჭრო ცენტრი "მეგალაინი"), **მაღაზიები: 33 და 43**;
**ტ.:899 54 87 40;** საკუთარი ავტოსადგომი.

**იტალიური ავეჯის სახლი** წარმოგიდგენთ 16 იტალიური ფირმის **Arcobaleno, Betamobili, Maistri, Corazzin, Tarocco, Komfort imbotitti, Europoltrona, Talassi, Della Rovere, Bugatti, Serena, Giemme, Pasini, Favero-სა და სხვების** ექსკლუზიურ ავეჯს. **შოურუმში** შეგიძლიათ **ნახოთ** და **შეიძინოთ**: **სამზარეულო გარნიტურები** კლასიკური სტილიდან დაწყებული, მოდერნით დამთავრებული; **სასადილო** და **საძინებელი გარნიტურები,** მათ შორის **ბავშვებისთვისაც; საოფისე** და **რბილი ავეჯი** (სამეულები, დივანი); ცნობილი იტალიური ფირმის **"Bugatti" სახლის აქსესუარები:** ქვაბები, სერვიზი, ყავის მოსადუღებელი აპარატები; **Pasini-ს** კარის(შიდა და შემოსასვლელი) **სახელურები;** აგრეთვე, **განათების** თანამედროვე **სისტემები,** ცნობილი **"მურანოს" ფირმის** ჭაღები, ტორშერები, აბაჟურები, ბრები. აქვე შეგიძლიათ **აირჩიოთ** და **შეუკვეთოთ** თქვენთვის სასურველი **ფერის, ზომისა და დიზაინის** სამზარეულოები მათში ჩამონტაჟებული **უმაღლესი ხარისხის იტალიური ტექნიკით,** სამზარეულოს **მაგიდითა და სკამებით** და **რბილი ავეჯი** შოურუმში **წარმო-**



**დგენილი მასალიდან**(ლამინატი და ნატურალური ხე **სამზარეულოებისათვის;** ბესთის ტყავი, პანამას ტიპისა და ნიცას ნაჭერი **რბილი ავეჯისათვის**); **ფასში შედის** ჩამონტაჟებული ტექნიკის **(გაზქურა, ონკანი, ნიჟარა, ჰაერლუმელი, მაცივარი)** ღირებულება. შეკვეთილი პროდუქციის **ჩამოტანის ვადა** 6 კვირა;

**მალე: "მურანოს" ფირმის (ვენეციური შუშა) ახალი პროდუქცია - დასადგამი დიზაინერული ნივთები ოთახების გასაფორმებლად.**

**წერეთლის 116, III სართული;**
**ტ.:35 51 65, 35 51 95; ფაქსი: 35 51 85; ღიაა: 10:00-დან 20:00-მდე.**

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
**899 95 57 67**